

178
1973



საბჭოთა სამართალი

საქართველოს ახ. საზოგადოებრივი კომიუნისტური პარტიის ბიუროს ბეჭდვით

1973 5

საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1973 წელი

გამოცემის XX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

რ. გრძელძე — სოციალისტური დემოკრატიის განვითარება საეროვნებათაშორისო კავშირთა რეგულირების გაფართოების პოლიტიკური საფუძველი	3
ა. კობახიძე — პირადი საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა	13
ო. გორდელაძე — კინემატოგრაფიაში შემოქმედებით მუშაეთა საკონკურსო წესით სა- მუშაოზე მიღება და სამუშაოდან დათხოვნა	24
რ. კოსტოშვილი — სამართალში მიცემულის დაკითხვის ფსიქოლოგიური საფუძველები	37
თ. დადიანი — საქართველოს სსრ სახარბიტრაჟის საქმიანობის განხილვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის სხდომაზე	47
კ. ჯარიაშვილი — სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფილაქტიკური საქმიანობის ეფექტურობის უმნიშვნელოვანესი პირობა	50
მ. ვეფხვაძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახალი გამოცემა	56
ს. ჯორბენაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის	58
თ. წერეთელი, ე. მისკარიანი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი შავრაზმელ ტერორისტთა წინააღმდეგ	66
გ. ხარატიშვილი — ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის ბიოგრაფიის ერთი ფურცელი	75
გ. ნადარეიშვილი — სხეულებრივი სასჯელები XI—XIV საუკუნეების საქართველოში ოფიციალური მასალა	78
	86

12932

მოწინავეთა პორტრეტები

ა.ლ. ნეკრესელაშვილი — „ქმნა მართლისა სამართლისა“	89
იურიდიული სამსახურის ლეაწლამოსილი მუშაკი	91
ინფორმაცია	92
არბიტრაჟის პრაქტიკა	94

კ. მარქსის სახ.
სახელმწიფო რე-
პუბლიკაციის

СОДЕРЖАНИЕ

Р. Грдзелидзе — Развитие социалистической демократии — политическая основа расширения межнациональных отношений 3

А. Кобахидзе — Гражданско-правовая защита личномуущественного права 13

О. Горделадзе — Прием на работу и увольнение творческих работников кинематографии по конкурсу 24

Д. Джариашвили — Важнейшее условие эффективности профилактической деятельности государственных органов и общественных организаций 50

Р. Чогошвили — Психологические основы допроса подсудимого 37

Т. Дадиани — Рассмотрение на коллегии государственного арбитража при Совете Министров СССР деятельности госарбитража Грузинской ССР 47

М. Вепхвадзе — Новое издание уголовного кодекса Грузинской ССР 56

С. Джорбенадзе — К пятидесятилетию основания юридического факультета ТГУ 58

Г. Церетели, Е. Мискария — Луарсаб Андроникашвили против черносотенцев-террористов 66

Г. Харатишвили — Одна страница биографии А. И. Сумбатова-Южина 75

Г. Надарейшвили — Телесные наказания в Грузии XI — XIV в 78

Официальный материал 86

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

А. Некреселашвили — Народный судья Сагареджойского района Есаяшвили 89

Заслуженный работник юридической службы 91

Информация 92

Практика арбитража 94

К сведению читателей

Опубликованной в четвертом номере журн. «Сабчота самартали» название статьи Б. Пхаладзе должно читаться: «Об относительной самостоятельности права».

სარედაქციო კოლეგია

შეკვ. № 3658
ტირაჟი 17.250
შე 13644

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ზ. ბარათაშვილი, თ. ლაღიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩანია, თ. წერეთელი, ს. ჭორბენაძე.

რედაქცია მისამართი: თბილისი, პლენანგის პროსპ. 107

გადაეცა წარმოებას 15/XI-73 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 13/XII-73 წ., ქაღალდის ზომა 70X1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 საარტიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

სოხილისკვირი ღემოკრავიის გენიოთაკება საერონებათაშორისო კავშირკრთიკრთობის გაფარითობის პოლიტიკური საფუძველი

ღმც. რ. ბრძელობა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საერონებათაშორისო კავშირკრთიკრთობის განვითარებაში, მეცნიერული კომუნიზმის თეორია გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებს. მაგრამ ამასთან ერთად ეროვნული ურთიერობის სფეროში დიდ-მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური ფაქტორი — საზოგადოებრივი ცხოვრების ღემოკრავიაცია, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია.

მართალია, პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა, მაგრამ იგი საზოგადოებრივი ცხოვრების პასიური ძალა როდია. პოლიტიკური სისტემა აქტიურად ზემოქმედებს ეკონომიკაზე, აჩქარებს ან ამუხრუჭებს საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს. ამიტომ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ეკონომიური ბაზისის განმსაზღვრელი როლის აღიარებასთან ერთად ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებდნენ პოლიტიკური ზედნაშენის გარდამქმნელ ბუნებაზე, იმაზე, რომ ყოველი ზედნაშენი უკუზემოქმედებას ახდენს საკუთარ ბაზისზე. ეკონომიური მოძრაობა, — წერდნენ მარქსი და ენგელსი, — საერთოდ და მთლიანად თავის გზას ვაკაფავს. მაგრამ მასზე ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მან თვითონ წარმოქმნა და რომელსაც შედარებით დამოუკიდებლობა აქვს!

ვ. ი. ლენინს მრავალჯერ აქვს აღნიშნული, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის, ერების დაუბრკოლებელი განვითარებისა და დაახლოებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ პირობებს — ღემოკრავიულ წესწყობილებას, რადგან მხოლოდ ღემოკრავიისა და სოციალიზმის საფუძველზეა შესაძლებელი ხალხთა მეგობრული ურთიერობისაგანმომომლობის უზრუნველყოფა, მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება. „ეროვნული ჩავგრის მოსასპობად, — წერდა ვ. ი. ლენინი, საჭიროა საძირკველი — სოციალისტური წარმოება, მაგრამ ამ საძირკველზე საჭიროა კიდევ სახელმწიფოს ღემოკრავიული ორგანიზაცია... გარდაქმნის რა კაპიტალიზმს სოციალიზმად, პროლეტარიატი ეროვნული ჩავგრის სრული მოსპობის შესაძლებლობას ქმნის; ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა „მხოლოდ“ — „მხოლოდ“! — მაშინ, როდესაც ყველა დარგში სრული ღემოკრავია განხორციელდება“².

კომუნიტური მშენებლობის პერიოდში სოციალისტური ღემოკრავიის შემ-

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 37, стр. 417.
² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 412—413.

დგომი განვითარება და სრულყოფა მტკიცე პოლიტიკურ საფუძველს ქმნის სსრ კავშირის ყველა ერისა და ხალხის შემდგომი აყვავებისა და თანდათანობითი დაახლოებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საეროვნებათაშორისო კავშირურთიერთობის გაღრმავებისა და გაძლიერებისათვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება-განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ“ — აღნიშნულია, რომ საკავშირო სახელმწიფოებრიობის და რესპუბლიკების ეროვნული სახელმწიფოებრიობის ურღვევი ერთიანობა და ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული ცენტრალიზმისა და სოციალისტური ფედერალიზმის, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე.

დემოკრატიული ცენტრალიზმი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კავშირურთიერთობასა და ნებაყოფლობითს გაერთიანებაში. დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპების საფუძველზე ხორციელდება ეროვნული და ინტერნაციონალური, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობა და ჰარმონიული შესაბამისობა. სწორედ ამიტომ მიაჩნდა ვ. ი. ლენინს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობად, ურომლისოდაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის და არც შეიძლება იყოს გზა სოციალიზმისაკენ.

დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირობებში შეუძლებელი როდია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ავტონომიისა და ფედერაციის გამოყენება. პირიქით, დემოკრატიული აზრით გაგებული ცენტრალიზმი არა თუ ეწინააღმდეგება ავტონომიის პრინციპს, არამედ გულისხმობს მას. ვ. ი. ლენინი ავტონომიის ცენტრალიზებული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად თვლიდა და წერდა: „როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმი სულაც არ გამოირიცხავს ავტონომიას და ფედერაციას, ასევე იგი სრულიად არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებისა და თვით სხვადასხვა თემების სრულ თავისუფლებას როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვაგვარი ფორმების გამომუშავებაში. იმაზე მკდარი არა არის რა, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის აღრევა ბიუროკრატიზმისა და შაბლონიზაციაში“³...

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ საქვეყნოდ გამოაცხადა და პრაქტიკულად განახორციელა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი პრინციპები: რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა, ერთა თვითგამორკვევის უფლება გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე, ყოველგვარი ეროვნული პრი-

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 238.

ვილგეებისა და შეზღუდვების გაუქმება, ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება, ხალხთა ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირის შექმნის საჭიროება.

კომუნისტურმა პარტიამ დიდი მუშაობა გასწია ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარებისათვის, თავისუფალი და თანასწორი ხალხების ნებაყოფლობითი კავშირის შექმნისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილებამ ბრწყინვალედ დაადასტურა, რომ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და სრულყოფილი ფორმაა, რომელშიც მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესები პარმონიულად არის შეხამებული თვითეული ერისა და ხალხის ინტერესებთან. ეს უზრუნველყოფს როგორც მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, ისე მასში გაერთიანებული საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება-განვითარებას.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში ზოგიერთი მოთხოვნა საბჭოთა რესპუბლიკების კონფედერაციის მსგავსი გაერთიანების შექმნას, რომელსაც არ ექნებოდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანოები, ზოგიერთნი კი აყენებდნენ ეგრეთწოდებული „ავტონომიზაციის“ იდეას, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას ავტონომიური ერთეულების უფლებებით. კომუნისტურმა პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით დასძლია ორივე ეს მცდარი ტენდენცია და საფუძველი ჩაუყარა თავისუფალ ერთა ნებაყოფლობით გაერთიანებას — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

1918 წლის იანვარში საბჭოების სრულიად—რუსეთის მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად ამბობდა: „...მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია და იგი უძლეველია“.⁴

ეს ბრძნული ლენინური წინასწარხედვა საბჭოთა სინამდვილემ შესანიშნავად დაადასტურა. თუ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის დროს მასში მხოლოდ ოთხი რესპუბლიკა შევიდა, ახლა ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში 15 მოკავშირე და 20 ავტონომიური რესპუბლიკაა გაერთიანებული. გარდა ამისა მის შემადგენლობაშია 18 ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება — 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი. 1923 წლისათვის საბჭოთა კავშირში შედიოდა 33 ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეული, ამჟამად კი მათი რიცხვი 53 ერთეულს შეადგენს, რაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებებზე მეტყველებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის ჩაგრული ერების აბსოლუტურ უმრავლესობას მარტო ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ყველა პირობა კი არ შეუქმნა, არამედ—საკუთარი ეროვნული სახელმწიფოც. ახლა საბჭოთა ხალხების 97,6 პროცენტს ამა თუ იმ ფორმით აქვს საკუთარი ეროვნული სახელმწიფო, დანარჩენ 2,4 პროცენტს კი იმ ეროვნებათა წარმომადგენლები შეადგენენ,

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 562.

რომლებიც კომპაქტურად არ მოსახლეობენ და ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არიან გაფანტული.

საბჭოთა ფედერაციამ და ავტონომიამ, როგორც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სახელმწიფოებრივმა ფორმებმა, დიდი როლი შეასრულეს საეროვნებათაშორისო კავშირურთიერთობის განვითარებაში, ხალხებს შორის უნდობლობის აღმოფხვრასა და მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცებაში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმებმა უკვე შეასრულეს მათ წინაშე მდგარი ამოცანები და თავისი განვითარების შესაძლებლობა ამოწურეს, როგორც ამას ზოგიერთი საბჭოთა ავტორი ფიქრობს.

თეორიულად მცდარი, ხოლო პოლიტიკურად მავნეა მოსაზრება კომუნისტური მშენებლობის პროცესში ეროვნული სახელმწიფოებრიობის „დენაციონალიზაციის“ და სახელმწიფოებრივი ფედერალიზმის უნიტარიზმით შეცვლის შესახებ. პირველად ასეთი შეხედულება პ. გ. სემიონოვმა გამოთქვა. მისი აზრით, სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მიღწევები განაპირობებს სსრ კავშირში ეროვნული სახელმწიფოებრიობის დადამავალი ხაზით განვითარებას, „ერების ურთიერთ ასიმილაციას“ არსებითად მოსდევს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიებისა და თვით მოკავშირე რესპუბლიკების დენაციონალიზაცია“, რომ ამის გამო კომუნისმის მშენებლობის პერიოდში „ერები დარჩებიან, ხოლო ეროვნული სახელმწიფოებრიობა სსრ კავშირში კი მოკვდება“ და ა. შ.⁵

ს. ზიმანოვის აზრით, სოციალისტური ერების თანდათანობითი დაახლოების კვალობაზე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების განსაკუთრებული საჭიროება აღარ იქნება. „ეროვნული სახელმწიფოებრიობის კვდომის პროცესი, — დასკვნის იგი, — მანამდე დამთავრდება, ვიდრე საერთოდ სოციალისტური სახელმწიფოებრიობა მოკვდება.“⁶

ზოგჯერ, სამწუხაროდ, ასეთი შეხედულება სახელმძღვანელოდ განკუთვნილ წიგნებშიც გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი წიგნის ავტორი ი. მ. კისლიცინი თვითნებურად განმარტავს ვ. ი. ლენინის დებულებას საბჭოთა ფედერალიზმის გარდა-მავალი ხასიათის შესახებ და ამტკიცებს, რომ ეროვნული ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ფედერალიზმმა თითქოსდა ამოწურა თავისი ისტორიული მისია და უნიტარიზმით უნდა შეიცვალოს. „მოკავშირე რესპუბლიკების გარდაქმნა, წერს იგი, ხალხის ნებასურვილით ავტონომიურ რესპუბლიკებად შეიძლება გამოყენებული იქნას საბჭოთა ფედერალიზმის საბჭოთა უნიტარიზმში გადაზრდის ერთ-ერთ გზად.“⁷

სსრ კავშირში ერებისა და ეროვნული ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპს ი. მ. კისლიცინი განიხილავს როგორც საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი „ეთნიკური შერწყმის“ პერიოდს, რომელიც ქმნის პირობებს საბჭოთა ფედერალიზმის უნიტარიზმში გადაზრდისათვის.

⁵ П. Г. Семенов. Программа КПСС о развитии советских национально-государственных отношений, «Советское государство и право», 1967, № 12, стр. 24—25, Нация и национальная государственность в СССР. «Вопросы истории», 1966, № 7, стр. 81.

⁶ «Некоторые вопросы теории советской национальной государственности». Материалы для обсуждения на Всесоюзной научной сессии. Алма-Ата, 1962, стр. 20.

⁷ И. М. Кислицын. Вопросы теории и практики федеративного строительства Союза СССР. Пермь, 1969, стр. 179.

ზემოაღნიშნული ავტორების (პ. გ. სემიონოვი, ს. გ. ზიმანოვი, ი. მ. კისლი-
ცინი და სხვ.) შეხედულება საბჭოთა რესპუბლიკების „დენაციონალიზაციის“,
ეროვნული სახელმწიფოებრიობის კვდომის და საბჭოთა ფედერალიზმის უნი-
ტარიზმით შეცვლის შესახებ ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის ეროვნულ
პროგრამასა და პოლიტიკას, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებ-
ლობის თეორიას და პრაქტიკას.

სკკპ პროგრამაში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ეროვნული ურთიერთობის
დარგში წამოყენებულია ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმების ყოველი
ღონისძიებით განმტკიცება, მთლიანად გამოყენება და სრულყოფა.⁸

სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის სრულყოფისა
და შემდგომი განვითარების მაჩვენებელია მოკავშირე და ავტონომიური რეს-
პუბლიკების უფლებების გაფართოება სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, ეკო-
ნომიკისა და კულტურის ხელმძღვანელობაში, რაც სკკპ XX ყრილობის გადაწყ-
ვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების
სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა საერთო საკავშირო და რესპუბლიკური ორგა-
ნოების კომპეტენციების თანაფარდობა. მაგალითად, ოცდაათიანი წლებიდან
ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მკვეთრად ვლინდება ცენტრალიზაციის ტენდენცია.
ეს, უპირველესად, შედეგი იყო სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძ-
ველზე გარდაქმნის სიძნელებისა. სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ხელმძღ-
ვანელობის ცენტრალიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი სამამულო ომი-
სა და ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, რაც სავე-
ბით კანონზომიერი იყო.

ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარების გამო
გაფართოვდა საბჭოთა რესპუბლიკების უფლებები სამეურნეო და კულტურულ
მშენებლობაში. სკკპ XX ყრილობის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების უფლე-
ბები გაფართოვდა საერთაშორისო ურთიერთობის, სახალხო მეურნეობის და-
გეგმვისა და დაფინანსების, კაპიტალური მშენებლობის, შრომისა და ხელფასის,
კანონმდებლობისა და სამართალწარმოების სფეროებში. მოკავშირე და ავტონო-
მიური რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება ორგანულად იყო დაკავშირე-
ბული სკკპ XX ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალისტური დემოკრატიის
ყოველმხრივი განვითარების კურსთან.

XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომი-
ტეტმა და სსრკ მინისტრთა საბჭომ 1956 წლის მაისში მიიღეს დადგენილება სა-
ხალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების საწარმოთა მოკავშირე რესპუბლი-
კების გამგებლობაში გადაცემის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო,
რომ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება ხელს შეუწყობს აღ-
გილებზე შემოქმედებითი ინიციატივის უფრო მეტად გაშლას, ჩვენი ქვეყნის
ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცება-განვითარებას. საერთო საკავშირო
დაქვემდებარებიდან მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადავიდა დაახ-
ლოებით 15 ათასი სამრეწველო საწარმო, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა
რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის წილი სსრ კავშირის სამრეწ-

⁸ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1976 წ., გამომც. „საბ-
ჭოთა საქართველო“, გვ. 129.

ველო პროდუქციის საერთო მოცულობაში. თუ 1950 წელს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის ხვედრითი წონა საკავშირო სამრეწველო პროდუქციაში 33 პროცენტს შეადგენდა, 1956 წლისათვის მისი წილი უკვე საკავშირო სამრეწველო პროდუქციის 55 პროცენტი იყო.⁹

სკკპ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებამ დადებითი შედეგები გამოიღო და ასეთი ღონისძიებანი შემდგომაც შეიძლება განხორციელდეს იმის გათვალისწინებით, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდახმარებას.¹⁰

1965 წლის ეკონომიურმა რეფორმამ აღმოფხვრა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის დანაშრეგები სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რაც სახალხო მეურნეობის საბჭოების სისტემასთან იყო დაკავშირებული და მნიშვნელოვანად გააძლიერა მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიური ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია. ამასთან ერთად შემდგომ გაფართოვდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკებს მთელი რიგი უფლებები მიენიჭათ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში. კერძოდ, დაგეგმვის, კაპიტალური მშენებლობის, დაფინანსების, შრომისა და ხელფასის დარგში. 1967 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დამატებით გადასცა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტის უფლებები.¹¹

მნიშვნელოვნად გაფართოვდა აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დარგში.

როგორც სკკპ XXIII ყრილობის მასალებშია აღნიშნული „ახლად შექმნილი ცენტრალიზებული დარგობრივი მართვა კარგად არის შეხამებული მოკავშირე რესპუბლიკების, საწარმოებისა და გაერთიანებების უფლებათა არსებით გაფართოებასთან“.¹²

ამრიგად, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და მომწიფების კანონზომიერი შედეგია. იგი ნაკარნახევია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებით, საბჭოთა ხალხების ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აყვავებით, ეროვნული ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრების შექმნით, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ადგილებზე წარმატებით გადაწყდეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ურთულესი ამოცანები.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ამ მნიშვნელო-

⁹ Э. В. Тадевосян В. И. Ленин о государственных формах решения национального вопроса в СССР, М., 1970, стр. 195—196.

¹⁰ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1967 წ. გვ. 129.

¹¹ СП СССР, 1965 г. № 19—20, стр. 154, 1967 г. № 17, стр. 118.

¹² სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბილისი, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1966 წ. გვ. 49.

ვან ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს უწყობს საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და მათ შორის კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებას, რადგან სოციალისტური ერების სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინება მათი თანდათანობით დაახლოებისა და სრული ერთობის მიღწევის აუცილებელი პირობაა.

კომუნისტური მშენებლობის პროცესში სოციალისტური დემოკრატიის განვითარება კეთილნაყოფიერ პოლიტიკურ პირობებსა ქმნის ყველა საბჭოთა ერისა და ხალხის ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ჰარმონიული შეხამებისათვის, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერნაციონალური ერთობის განმტკიცებისათვის.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენციების გაფართოებასთან ერთად მიმდინარეობს ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმები სულ უფრო მდიდრდება ინტერნაციონალური შინაარსით. „სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფოებრივი ფორმების სულ უფრო მზარდი ინტერნაციონალიზაცია ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების კანონზომიერი ტენდენციაა“.¹³ ამ ტენდენციის მოქმედების შედეგად საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემაში სულ უფრო მრავლდება ისეთი ფორმები, ნიშნები, რომლებიც ყველა საბჭოთა ერებისა და ხალხებისათვის საერთო და მისაღებია.

ყოველივე ეს წარმოშობს მნიშვნელოვან ცვლილებებს საბჭოთა ეროვნულ სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. იზრდება ინტერნაციონალური ფაქტორების როლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ამის შედეგად საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრები, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ პროგრამაში, სულ უფრო კარგავენ თავიანთ წარსულ მნიშვნელობას. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არსებული საზღვრები დღეს უკვე აღარ არის ხალხებს შორის მტრობისა და ეროვნული კარჩაკეტილობის ხელშემწყობი ბუნებრივი ბარიერები როგორც ეს წარსულში, ექსპლუატატორულ საზოგადოებაში იყო, არამედ, პირიქით, ეს საზღვრები ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეროვნებათა კავშირურთიერთობის გაადვილებისა და გაფართოებისათვის, ხალხებს შორის მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა დაუბრკოლებელი გაცვლისათვის, მათი ურთიერთგამდიდრებისათვის.

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფუნქციონირების პროცესში ამა თუ იმ რესპუბლიკის მკვიდრი ერის ან ხალხის ენასთან ერთად სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საეროვნებათაშორისო კავშირურთიერთობის ენა — რუსული ენა. ორენოვნება სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში სსრ კავშირის ხალხთა პოლიტიკური ორგანიზაციის, სახელმწიფოებრიობის ეროვნული ფორმების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელია.

სსრ კავშირის ხალხთა მიგრაციულ მოძრაობას შედეგად მოსდევს მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის მრავალეროვნულობის ზრდა. მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები კი დაუყოვნებლივ აისახება სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში, ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების შემადგენლობაში. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღ-

¹³ «Политическая организация советского общества», М., 1967, стр. 89.



ლესი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში მრავალი ეროვნების წარმომადგენლობა ასევე ეროვნული სახელმწიფოებრიობის ინტერნაციონალიზაციის პროცესის დამადასტურებელია. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემებიდან.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დებუტატთა ეროვნული შემადგენლობა¹⁴

	მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები			ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები		
	1963	1967	1971	1963	1967	1971
დებუტატთა საერთო რიცხვი მათ შორის:	5761	5880	5879	2842	2925	2994
რუსები	1525	1549	1626	956	974	1024
უკრაინელები	628	594	577	67	66	58
ბელორუსები	341	341	363	14	14	18
უზბეკები	401	384	382	46	51	48
ყაზახები	242	241	237	32	22	27
ქართველები	324	323	326	131	140	137
აზერბაიჯანელები	287	320	319	68	77	76
ლიტველები	235	233	243	—	—	—
მოლდაველები	224	219	205	—	1	2
ლატვიელები	233	230	225	6	1	1
ყირგიზები	199	199	202	1	1	1
ტაჯიკები	211	239	234	—	—	—
სომხები	326	341	338	19	15	18
თურქმენები	203	221	213	3	5	5
ესტონელები	149	156	154	3	5	5
აფხაზები	13	13	13	54	53	56
ბაშკირები	12	13	12	86	88	94
ბუღიატები	6	5	4	58	65	60
დაღესტნის ხალხები	13	15	17	124	140	147
ყარაყალპაყელები	12	10	10	51	63	57
კომი	9	3	3	72	72	67
მარელები	3	3	3	57	60	63
მოლდველები	5	5	7	59	68	71
ოსები	10	13	12	83	80	83
თათრები	27	35	31	174	179	177
ჩუვაშები	8	9	8	110	117	115

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების პირობებში სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის წარმომადგენლები.

1971 წელს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში არჩეულია 66 ეროვნების 8873 დებუტატი, ხოლო მშრომელთა დებუტატების ადგილობრივ საბჭოებში 100-ზე მეტი ეროვნების 2,2 მილიონი დებუტატი. 1970 წლის 16 ივლისს სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნა 62 ეროვნების 750 დებუტატი, რომელთა შორის ნახევარზე მეტი მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენელია.¹⁵

¹⁴ Э. В. Талевосян. Советская национальная государственность. М., 1972, стр. 215.
¹⁵ История национально-государственного строительства, т. 2, 1972, стр. 240—242.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ჩვენი ქვეყნის მშრომელები მონაწილეობენ როგორც სსრ კავშირის მოქალაქენი და, ამავე დროს, როგორც ამა თუ იმ ერისა და ხალხის წარმომადგენლები. ეს გამოხატულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორპალატიან სისტემით, სადაც ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებს მხოლოდ ეროვნული ნიშნით ირჩევენ. მოკავშირე რესპუბლიკიდან — 32 დეპუტატს, ავტონომიურ რესპუბლიკიდან — 11, ავტონომიური ოლქიდან — 5, ხოლო ეროვნული ოკრუგებიდან — თითო დეპუტატს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 19 მარტის ბრძანებულებით გადიდდა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობა ეროვნებათა საბჭოში. თუ ადრე ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს ამ პალატაში თვითეული რესპუბლიკიდან 25 დეპუტატი იყო წარმოდგენილი, ამიერიდან ეს რიცხვი 32 დეპუტატამდე გაიზარდა.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში და ადგილობრივ საბჭოებში არჩეული არიან ჩვენი რესპუბლიკის სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის (1971 წ. ივნისი) შემადგენლობაში წარმოდგენილია ათი ეროვნების 400 დეპუტატი, ხოლო ადგილობრივი საბჭოების მე-თოთხმეტე მოწვევის (1973 წ. ივნისი) შემადგენლობაში არჩეულია 37 ეროვნების 49131 დეპუტატი.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და მრავალეროვანი საერთო-სახალხო სახელმწიფოს სოციალური საფუძვლების გაფართოებასა და განმტკიცებასთან, სახელმწიფოებრივ მმართველობაში კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ამძღვლებსთან, მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდასთან. ახლა საბჭოთა სახელმწიფოებრიობის სოციალური საფუძველია არა მარტო ამა თუ იმ ერის ან მთელი ქვეყნის მშრომელი მასები, როგორც ეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში იყო, არამედ მთელი ერი, ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ერთიანი და მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა ხალხი — ნათქვამია ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, ლენინის დაბადების 100 წლისთავის გამო — პრინციპულად ახალი ინტერნაციონალური ერთობაა, სსრ კავშირის ყველა მშრომელის — ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის, ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა სოციალისტური კავშირია, რომელიც მრავალეროვანი საერთო-სახალხო სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს შეადგენს.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მთელ საბჭოთა საზოგადოებას და მასში შემავალ ყველა ერსა და ხალხს აქვს ერთიანი სოციალური სტრუქტურა, რომელიც შედგება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესში საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები ხდება. მუშათა კლასის წამყვანი როლის შენარჩუნების პირობებში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოების შესამჩნევი პროცესი, სულ უფრო გარკვევით დამკვიდრდა და გაძლიერდა სოციალისტური საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება. სულ უფრო აქტიურად იწლება არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშა-

კებს შორის, ქალაქად და სოფლად ცხოვრებისა და შრომის პირობებს შორის.¹⁶ ყოველივე ეს მტკიცე სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს ქმნის ეროვნებათა ეკონომიური და კულტურული კავშირურობის გაძლიერებისათვის, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოსა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომ სრულყოფისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის.

ამრიგად, ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აცხადებს, მაგრამ პრაქტიკულად არასოდეს არ ახორციელებს ეროვნულ და რასობრივ თანასწორობას, სოციალისტური დემოკრატია ყოველგვარ პირობებს ქმნის ეროვნული პრობლემის მთლიანად და საბოლოოდ გადაწყვეტისათვის, თავისუფლებისა და ნებაყოფლობის საფუძველზე ხალხთა გაერთიანებისათვის, საბჭოთა ერების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონეთა თანდათანობით დაახლოებისათვის.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ისტორიულმა პროცესმა ნათელყო, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა, რაც ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული, მრავალეროვანი სახელმწიფოს წარმატებით ფუნქციონირების ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმაა, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთიანობას, საერთო სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-სპეციფიკური ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას, სოციალისტური ერებისა და ხალხების ყოველმხრივ განვითარება-დაახლოებას.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება და სრულყოფა დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობის განვითარების ახალ ეტაპთან, რომლის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერებაა საეროვნებათაშორისო კავშირურობის გაღრმავება და განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება და სრულყოფა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებისა და კომპეტენციების გაფართოება, კომუნისმის მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ინტერნაციონალიზაცია ფრიად კეთილნაყოფიერ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსა ქმნის ეროვნებათა კავშირურობის განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის მტკიცე შეკავშირებისათვის, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ერთიანობის განმტკიცებისათვის.

¹⁶ ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წელი, თბილისი, საქ. კ. ცკ-ის გამომცემლობა, 1972 წ. გვ. 78.

პირადი საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა

ბ. კობახიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

პირადი საკუთრების უფლება მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული და დაცული უფლებაა. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ მოქალაქეთა პირადი საკუთრება კანონით არის დაცული.

პირადი საკუთრების უფლებას იცავს მთელი საბჭოთა სოციალისტური სამართალი. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელის ღონისძიებებს მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე თავი (150—158 მუხლებით) ამ სახის დანაშაულს ეხება. სისხლის სამართლის წესით ისჯება პირადი ქონების არა მარტო ისეთი ხელყოფა, როგორცაა ქურდობა, გაძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება, მეგავშეობა, არამედ მოქალაქეთა პირადი საკუთრების განზრახი და გაუფრთხილებელი განადგურება ან დაზიანება.

ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით დადგენილია დარღვეული პირადი საკუთრების უფლების აღდგენა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების დახმარებით. წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ პირადი საკუთრების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საკითხებს.

პირადი საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი წესით დაცვა ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით. მათ შორის ძირითადია სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის მისი კუთვნილი ქონების სხვისი უკანონო მფლობელობიდან უკან დაბრუნების უზრუნველყოფა. მესაკუთრეს უფლება აქვს სარჩელით გამოითხოვოს თავისი კუთვნილი ქონება ნატურით სხვისი უკანონო მფლობელობისაგან. ასეთ სარჩელს ეწოდება სავინდიკაციო სარჩელი. გარდა ამისა, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მისი უფლების ისეთი დარღვევის აღიკვეთა, რომელიც დაკავშირებული არ არის მფლობელობის წართმევასთან (ე. წ. ნეგატორული სარჩელი). როგორც სავინდიკაციო, ისე ნეგატორული სარჩელი სანივთო სარჩელებია, რამდენადაც ისინი დაკავშირებულია ნივთის ზღვრეულობის დაცვასთან. სანივთო სარჩელებთან ერთად პირადი საკუთრების უფლების დაცვა ხორციელდება ვალდებულებით — სამართლებრივი ნორმებით (მიყენებული ზიანის ანაზღაურება, უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების ღირებულების დაბრუნება).

ცივილისტურ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, მიეკუთვნება თუ არა ვალდებულებით-სამართლებრივი სარჩელები საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა ხორციელდება მხოლოდ სანივთო სარჩელებით და არ შეიძლება ვალდე-

ბულებით-სამართლებრივი სარჩელები ჩავთვალოთ საკუთრების უფლების დაცვის საშუალებებად¹.

ავტორთა უფრო დიდი ნაწილის აზრით კი, საკუთრების უფლება დაცულია არა მარტო სანიეთო-სამართლებრივი, არამედ ვალდებულებით — სამართლებრივი ნორმებითაც².

ჩვენი აზრით, სწორი არ არის პირველი შეხედულება. პროფ. დ. მ. გენკინი მიუთითებს, რომ ვალდებულებითი სამართალი იცავს საკუთრებას როგორც ეკონომიურ კატეგორიას, ხოლო საკუთრების უფლებას, როგორც აბსოლუტურ უფლებას იცავს მხოლოდ სანიეთო სარჩელები. ამდენად მისი აზრით, არ შეიძლება ვილაპარაკოთ საკუთრების უფლების ვალდებულებით — სამართლებრივ დაცვაზე. ვ. ფ. მასლოვი მთლიანად იზიარებს ამ შეხედულებას და მის დასასაბუთებლად მიმართავს ასეთ მტკიცებას: „საყოველთაოდ მიღებულია, რომ საკუთრების უფლება სანიეთო უფლებაა, ე. ი. განსაზღვრულ ნივთზე არსებული უფლებაა. ნივთის — საკუთრების უფლების ობიექტის — მოსპობა ნიშნავს ამავე დროს თვით საკუთრების უფლების შეწყვეტას. საკუთრების უფლების დაცვის მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნივთი როგორც საკუთრების ობიექტი, არსებობს სინამდვილეში, ვიდრე არის მისი დაუფლების შესაძლებლობა. ნივთის მარტივი ლოგიკა გვეუბნება, რომ შეიძლება იმის დაცვა, რაც ჯერ კიდევ არსებობს და არა იმისი, რაც უკვე განადგურებულია, მკვდარია, რაც ობიექტურად არ არსებობს. საკუთრების უფლების დაცვა შეიძლება იმ ზომით, როგორადაც ის განაგრძობს არსებობას. თუ კი საკუთრების უფლება გადაეცა სხვა პირს ანდა შეწყვიტა არსებობა, ნივთის — საკუთრების ობიექტის — არამართლზომიერ განადგურებასთან დაკავშირებით, — ყოფილი მესაკუთრისათვის წარმოიშობა სხვა სუბიექტური უფლებები, რომლებიც დაცულია არა საკუთრების სუბიექტური უფლების დაცვისათვის გამოყენებული, არამედ განსხვავებული საშუალებებით“³.

— ასეთი შეხედულება არ მიგვაჩნია სწორად. ჯერ ერთი, თუ ნივთის — საკუთრების ობიექტის მოსპობა ნიშნავს საკუთრების უფლების მოსპობას, ეს არ ითქმის ნივთის დაზიანების შესახებ. ნივთის დაზიანება, რა მიზეზითა და რა ზომითაც არ უნდა იყოს ეს, არ ნიშნავს ამ ნივთზე საკუთრების უფლების მოსპობას, შეწყვეტას.

მეორეც ის, რომ საკუთრების უფლების სხვა პირისთვის გადაცემა ან მისი მოსპობა ნივთის განადგურებასთან დაკავშირებით, თავისთავად არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საკუთრების უფლებას არ იცავს ვალდებულებითი სამართლის ნორმები. ნივთზე საკუთრების უფლება მანამ, სანამ სხვაზე არ გადასულა ან მთლიანად არ მოსპობილა, დაცულია არა მარტო სანიეთო-სამართლებრივი, არამედ სავალდებულო-სამართლებრივი სარჩელებითაც. განა შეიძ-

¹ იხ. Д. М. Генкин. Право собственности, как абсолютное субъективное право («Советское государство и право», 1958, № 6, стр. 100), его же. Право собственности в СССР, М., 1961, стр. 165—178; В. Ф. Маслов. Осуществление и защита права личной собственности в СССР, Госюриздат, 1961, стр. 176—179.

² იხ. А. В. Венедиктов. Гражданско-правовая охрана социалистической собственности в СССР, М., 1954, стр. 79—82; Р. О. Халфина. Право личной собственности граждан СССР, М., 1955, стр. 155—157; О. С. Иоффе. Советское гражданское право, Ленинград, 1958, стр. 351.

³ იხ. ვ. ფ. მასლოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

ლება იმის უარყოფა, რომ საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს, რომლის სახლსაც ვინმემ ზიანი მიაყენა ბრალეული მოქმედებით, უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზარალი? მართალია, ეს მოქმედება მიმართულია ზიანის ანაზღაურებისაკენ, მაგრამ მისი წანამძღვარი ხომ საკუთრების უფლებაა და ამით ხომ პირადი მესაკუთრის უფლებაა დაცული. თვით ამ ვალდებულების შინაარსიც ხომ იმას გულისხმობს, რომ ზიანის ანაზღაურების დროს, უპირველესად, თუ ეს შესაძლებელია, ნატურად იქნას აღდგენილი დაზიანებული ქონება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 470-ე მუხლი).

როგორც ჩანს, ეს ავტორები ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ საკუთრების უფლებას, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტს, როგორც ნორმების ერთობლიობას, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი წარმოების სტატიკას და საკუთრების უფლებას, როგორც უფლებას, რომელიც გულისხმობს ამ უფლების მქონე პირის კანონით დადგენილი და უზრუნველყოფილი შესაძლებელი ქცევის ზომას.

როცა ვლაპარაკობთ საკუთრების უფლებაზე, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ პირს, საფუძველი არა გვაქვს არა ვთქვათ, რომ ეს უფლება დაცულია არა მარტო სანივთო სარჩელებით, არამედ მთელი მოქმედი სამართლის სისტემით, მათ შორის სამოქალაქო — ვალდებულებითი სამართლით.

სხვა საკითხია, რომ საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიერ სპეციალურად არის განსაზღვრული საკუთრების უფლების დაცვის წესი. საკუთრების სამართალი, როგორც სამოქალაქო სამართლის ცალკე ინსტიტუტი, როცა ეხება საკუთრების უფლების დაცვას, სპეციალურად გამოკვეთს მხოლოდ სანივთო სარჩელებს. ეს გასაგებიც არის, რადგან საკუთრების სამართალმა არ შეიძლება ასახოს ყველა ის ნორმა, რომლებიც მიმართულია საკუთრების უფლების დაცვისაკენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთრების აბსოლუტურ უფლებას თითქოს არ იცავდეს ვალდებულებითი სამართლის ნორმები. იმდენად, რამდენადაც საკუთრების უფლება აუცილებელი წანამძღვარია ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, ვალდებულებითი სამართლის ნორმებით ასაწეულია საკუთრების უფლების დაცვის ურთიერთობები.

სწორედ ამ მოსაზრებით უნდა ავსხნათ ის გარემოება, რომ, როცა სამოქალაქო სამართლის კოდექსი საკუთრების სამართლის კარში ეხება საკუთრების უფლების დაცვის საკითხს, კმაყოფილდება მხოლოდ სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელების ანალიზით.

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ საკუთრების სამართალი ვალდებულებითი სამართლის წინაპირობაა, (ამას დ. მ. გენკინი ამტკიცებს და ვ. ფ. მასლოვიც ეთანხმება), რატომ უნდა ვამტკიცოთ პრინციპულად ისეთი რამ, რაც ამ დებულების შინაარსს არ შეესაბამება, რატომ უნდა უარვყოთ ის ფაქტი, რომ საკუთრების უფლება დაცულია არა მარტო მაშინ, როცა დარღვეულია ამ უფლების ობიექტის მფლობელობა, ანდა მოვითხოვთ სხვა დარღვევის თავიდან აცილებას, არამედ მაშინაც, როცა ზიანი მიაყენეს ამ ქონებას ან სათანადო საფუძვლის უქონლად ისარგებლეს ამ ქონებით.

როგორც ვიცით მესაკუთრის უფლებამოსილება მარტო მფლობელობით არ ამოიწურება. საკუთრების უფლების დაცვა გულისხმობს არა მარტო იმის გარანტიას, რომ უკანონოდ არავინ ფლობდეს მესაკუთრის ქონებას, არამედ იმასაც, რომ მესაკუთრემ განახორციელოს კუთვნილი უფლებამოსილება. ამ

გაგებით საკუთრების უფლებას იცავენ სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებიც.

საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებთან დამოკიდებულების საკითხი კარგად აქვს განსაზღვრული თვით დ. მ. გენკინს. იგი წერს, რომ საკუთრების სტატყკა გამოხატული ნივთის ფლობით, მეშვეობდება თვით საკუთრების სამართლის მიერ მფლობელობის საშუალებით; საკუთრების დინამიკა გამოხატული სარგებლობით, გამეშვეობუღია საკუთრების სამართლით თუ სარგებლობას ახორციელებს თვით მესაკუთრე, ხოლო როცა სარგებლობას მესაკუთრე კი არა, არამედ სხვა ახორციელებს, — შრომითი სამართლებრივი ნორმებით; საკუთრება გამოხატული განკარგვით, ყოველთვის გამოდის როგორც იურიდიული ფაქტი და ქმნის როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითს და მემკვიდრეობითს ურთიერთობებს.⁴

საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტი ფიქსაციას უშერება საზოგადოებრივი წარმოების სტატყკას, მისი წანამძღვარისა და რეზულტატის განაწილებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მცირე როლი ენიჭება ამ წარმოების დინამიკაში. იგი, როგორც ცენტრალური ინსტიტუტი, წინაპირობაა სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისათვის.

ამიტომ, თუ საკუთრების სამართალი საგანგებოდ გამოყოფს საკუთრების უფლების დაცვას ქონების სხვისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვით, ან უფლების სხვა დარღვევის აღკვეთით, სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტები იცავენ საკუთრების სუბიექტურ უფლებას, როგორც ამ უფლების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ისე, ქონების სპეციალური დანიშნულების, მისი როგორც „ობიექტის“ დაცვის ამოცანიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით სწორი არ არის დ. მ. გენკინი, როცა აკრიტიკებს ვენედიქტოვს და აღნიშნავს: „არა საშუალებების მიზნობრივი ხასიათი, არა სპეციალური დანიშნულება, არამედ ნივთის მხოლოდ იურიდიული ბუნება არის გასათვალისწინებელი, როცა ვლადპარაკობთ საკუთრების უფლების დაცვაზე“⁵.

მამასადამე, პირადი საკუთრების უფლებას იცავს არა მარტო საკუთრების სამართალი, არამედ სამოქალაქო სამართალი მთლიანად. მას იცავს აგრეთვე მთელი საბჭოთა სამართალი, რომლის ნორმები მტყციე გარანტიას იძლევა იმისათვის, რომ არ შეიღახოს მოქალაქის პირადი საკუთრების უფლება.

საკუთრების სამართალი პირადი საკუთრების უფლებას იცავს სანივთო სარჩელებით: სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელებით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, „მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება უკანონო მფლობელისაგან“.

მესაკუთრის ეს უფლება, რომელიც პირველად რომაულმა სამართალმა აღიარა, იწოდება ვინდიკაციად (სიტყვისაგან: vim dicere — გამოცხადება ძალის გამოყენებაზე).

სავინდიკაციო სარჩელი საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ძირითადი საშუალებაა. ამიტომ კოდექსიც დაწვრილებით ვანიხილავს ამ წესს.

⁴ იხ. დ. მ. გენკინი. *Право собственности в СССР*, М., 1961, стр. 29.

⁵ დ. მ. გენკინი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 172—175.

ვინდიკაციის უფლება აქვს მესაკუთრეს, რომელიც რაიმე მიზეზით აღარ ფლობს თავის ქონებას.

საკუთრების უფლება, როგორც აბსოლუტური უფლება, ყველა სხვა პირს ავალდებულებს, რომ თავი შეიკავოს მისი დარღვევისაგან. ამიტომ ვინდიკაცია წარედგინება ყველა იმ პირს, ვინც არამართლზომიერად ფლობს სხვის ქონებას; სულ ერთია ვისგან მიიღო ქონება მფლობელობაში — მესაკუთრისაგან თუ გარეშე პირისაგან.

სავინდიკაციო სარჩელი გულისხმობს ნივთის ნატურით დაბრუნებას. ამიტომ მისი საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება. საცხოვრებელი სახლი, როგორც ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ობიექტი, უკანონო მფლობელობის შემთხვევაში ყოველთვის ექვემდებარება ვინდიკაციას.

უკანონო მფლობელად ითვლება პირი, რომელიც რაიმე კანონიერი საფუძველის გარეშე ფლობს ქონებას. მაგალითად, ა-ს მკურნალობის პერიოდში მის კუთვნილ სახლს დაეპატრონა ვ. თუ ა-ს ნებართვის გარეშე დაეუფლა სახლს, თავიდანვე ითვლება უკანონო მფლობელად, ხოლო როცა ასეთი დაუფლება ნებადართული იყო გარკვეული ვადით, მისი მფლობელობა უკანონო იქნება ამ ვადის გასვლის შემდეგ. ამიტომ ა-ს უფლება აქვს ვ-ს მიმართ გამოიყენოს ვინდიკაცია.

კანონი განსხვავებს და პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, თუ ვინ არის მოპასუხე ვინდიკაციის დროს. მოპასუხე ყოველთვის ნივთის არაკანონიერი მფლობელია. უკანონო მფლობელი შეიძლება იყოს ის, ვინც თვითნებურად დაეუფლება ქონებას, მიიტაცა ან სხვა უკანონო გზით დაიპყრო იგი. უკანონო მფლობელად ითვლება აგრეთვე ის, ვინც ნივთი შეიძინა არამესაკუთრისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება.

პირი, რომელმაც ქონება შეიძინა არამესაკუთრისაგან, შეიძლება იყოს: კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერი ეწოდება შემძენს, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ მას, ვინც ასხვისებდა ნივთს, არ ჰქონდა ამის უფლება. არაკეთილსინდისიერი შემძენი კი არის ისეთი პირი, რომელმაც იცოდა ანდა უნდა სცოდნოდა, რომ ნივთს იძენდა ისეთი პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება. კეთილსინდისიერიცა და არაკეთილსინდისიერი შემძენიც უკანონო მფლობელები არიან, რამდენადაც მათ ქონება შეიძინეს ისეთი პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი განსხვისების უფლება.

ორივე ასეთი შემძენისაგან უნდა განვასხვაოთ კანონიერი მფლობელი, რომელიც ქონებას ფლობს ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი მფლობელობა იწოდება სატიტულო მფლობელობად. სარჩელი სატიტულო მფლობელობის დაცვის შესახებ არ შეიძლება გავათანაბროთ სავინდიკაციო სარჩელთან. სატიტულო მფლობელობა ემყარება ხელშეკრულებას და ითვალისწინებს არა მარტო მესაკუთრის, არამედ მფლობელის ინტერესების დაცვასაც. ამ შემთხვევაში, როგორც აკადემიკოსი ა. ვ. ვენედიქტოვი მიუთითებს, ქონების გამოთხოვის ნამდვილი საფუძველი მფლობელობის უფლება კი არ არის, არამედ უფლება, რომლის ძალითაც მოსარჩელეს აქვს მფლობელობის უფლებამოსილება⁶.

⁶ იხ. А. В. Венедиктов. Гражданскоправовая охрана социалистической собственности в СССР, изд-во АН СССР, 1954, стр. 110.

არაკეთილსინდისიერი შემქმნისაგან ქონების გამოთხოვის უფლება შესაკუთრეს აქვს ყველა შემთხვევაში, სულ ერთია, რა გზით გადავიდა ქონება მესაკუთრის ხელიდან, ან როგორ შეიძინა იგი მესამე პირმა — სასყიდლით თუ უსასყიდლოდ.

რაც შეეხება კეთილსინდისიერი შემქმნისაგან ქონების გამოთხოვის უფლებას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იყო მესაკუთრის ხელიდან ქონების სხვის მფლობელობაში გადასვლის მიზეზი, როგორი გზით შეიძინა ის მფლობელმა — სასყიდლით თუ უსასყიდლოდ.

როცა ქონება უსასყიდლოდ არის შეძენილი იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მესაკუთრეს უფლება აქვს გამოთხოვოს იგი ყველა შემთხვევისათვის, სულ ერთია რა იყო მისი მფლობელობიდან ქონების გასვლის მიზეზი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

თუ კეთილსინდისიერმა შემქმნელმა ქონება შეიძინა სასყიდლით, ამ შემთხვევაში ვინდიკაციის უფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით არის გასული ქონება მესაკუთრის მფლობელობიდან — მიხედვით თუ მის დაუკითხავად.

ქონება, რომელიც მესაკუთრის ნებისდაურთავად არის გასული მისი მფლობელობიდან, გამოითხოვება ყველა შემთხვევაში, მათ შორის კეთილსინდისიერი შემქმნის მიერ სასყიდლიან შეძენის დროსაც. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ მოხდა, რით გამოიხატება მესაკუთრის ნებისდაურთველად მფლობელობის დაკარგვა. საკმარისია მხოლოდ ის, რომ მესაკუთრის სურვილის წინააღმდეგ იქნას გასული ქონება მისი ხელიდან. ვთქვათ სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ივანოვს, მისი უგზოუკვლოდ დაკარგვის პერიოდში მისმა ნათესავმა ვლასოვმა მიჰყიდა დავიდოვს. დავიდოვმა კი არ იცოდა, რომ ვლასოვს არ ჰქონდა სახლის გასხვისების უფლება და შეიძინა სახლი სასყიდლით. ივანოვს დაბრუნების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დავიდოვს საცხოვრებელი სახლის უკან დაბრუნება.

მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი ნების დაურთველად გასული ქონების უკან დაბრუნება არა მარტო მაშინ, როცა უშუალოდ მისი ხელიდან გავიდა ქონება არამედ მაშინაც, როცა ქონება გავიდა იმ პირის მფლობელობიდან, ვისაც მესაკუთრემ გადასცა ქონება მფლობელობაში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 ნაწილით ეს წესი არ ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც ქონება შეიძინა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს მომხდარი გაყიდვისას. ოუ ასეთი გაყიდვა ბათილად იქნება ცნობილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, ცხადია, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი კუთვნილი ქონების უკან დაბრუნება.

ამრიგად, კანონით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეუზღუდავად მესაკუთრის მიერ მისი კუთვნილი ქონების უკანონო მფლობელისაგან უკან გამოთხოვა. ამასთან ერთად დადგენილია პირობები, როცა ვინდიკაცია შეზღუდულია.

პირადი მესაკუთრის ვინდიკაციის უფლება არ იზღუდება, როცა:

1) ქონება იმყოფება არაკეთილსინდისიერი შემქმნის მფლობელობაში;

2) კეთილსინდისიერ შემქმნს ქონება უსასყიდლოდ აქვს შექმნილი იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება;

3) ქონება მესაკუთრის სურვილის წინააღმდეგ გავიდა მისი ან იმ პირის მფლობელობიდან, რომელსაც მესაკუთრემ გადასცა ეს ქონება.

პირადი მესაკუთრის ვინდიკაციის უფლება შეზღუდულია, როცა:

1) კეთილსინდისიერმა შემქმნმა ქონება შეიძინა იმ პირისაგან, ვისაც მესაკუთრის ნებით ჰქონდა გადაცემული ქონება;

2) ქონების მფლობელობა მის შემქმნეზე გადავიდა იმ წესით, რაც სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის არის დადგენილი.

როგორც ვხედავთ, მესაკუთრის ვინდიკაციის უფლება შეზღუდულია კეთილსინდისიერი შემქმნის სასარგებლოდ. კანონი, უპირველესად, იმას ცდილობს, რომ დაიცვას მესაკუთრის ინტერესები, მაგრამ როცა ქონება მესამე პირმა შეიძინა და შექმნა კეთილსინდისიერია, ამ შემთხვევაში საკითხს წყვეტს ის გარემოება, თუ როგორ გადავიდა მესაკუთრის ხელიდან ქონება იმ პირის მფლობელობაში, ვისგანაც შეიძინა სასყიდლოთ კეთილსინდისიერმა შემქმნმა, მესაკუთრის ნებით თუ მის ნებადაურთველად. თუ მესამე პირს ქონება მესაკუთრის ნებისდაურთველად გადაეცა, კანონი მესაკუთრის მხარეზეა, მაგრამ თუ ეს გადასვლა მისი სურვილით იყო, კანონმდებელი იცავს ახალი მესაკუთრის — კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესებს. კანონმდებელი ვულომბობს, რომ მესაკუთრემ, რომელმაც თავი მიანდო თავისი ქონება სხვას, თვითონ უნდა იკისროს რისკი ამ უკანასკნელის მიერ ნდობის დარღვევის თუ სხვა გარემოებების შემთხვევაში.

ვინდიკაციის დროს მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვს არა მარტო ნივთის უკან დაბრუნება, არამედ მთელი იმ შემოსავლის დაბრუნება თუ ანაზღაურება, რაც მფლობელმა მიიღო ან უნდა მიეღო უკანონო მფლობელობის დროს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი). ვთქვათ, საცხოვრებელი სახლის უკანონო მფლობელს გაქირავებული ჰქონდა ფართობი. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს სახლთან ერთად უნდა დაუბრუნდეს მიღებული შემოსავალიც. როცა ქონება არაკეთილსინდისიერი შემქმნის მფლობელობაში იმყოფებოდა, მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს მთელი ის შემოსავალი, რაც მიიღო ან უნდა მიეღო მფლობელობის დროს.

სხვანაირად წყდება საკითხი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ. მას მოეთხოვება დაუბრუნოს თუ აღნაზღაუროს მესაკუთრეს ის შემოსავალი, რომელიც მიიღო ან უნდა მიეღო იმ დროიდან, როდესაც შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ მისი მფლობელობა მარლზომიერი არ არის, ან მიიღო უწყება მესაკუთრის მიერ ქონების დასაბრუნებლად სარჩელის აღძვრის შესახებ.

როგორც კეთილსინდისიერ, ისე არაკეთილსინდისიერ მფლობელს თავის მხრივ უფლება აქვთ მოითხოვონ მესაკუთრისაგან ქონებაზე გაწეული აუცილებელი ხარჯის ანაზღაურება იმ დროიდან, რა დროიდანაც მესაკუთრეს ერგება ქონების შემოსავალი. კანონი აქ ხაზს უსვამს აუცილებელ ხარჯს და არა ყოველგვარ დანახარჯს. მაგალითად, სახლის რემონტისათვის გაწეული ხარჯები, თუ სახლი მას არ საჭიროებდა, უკანონო მფლობელს არ აღნაზღაურდება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აქ უნდა განისაზღვროს რემონტის აუცილებლობა, მისი ხარისხი და სახლის ექსპლუატაციის დონე.

ასეთი შემთხვევისათვის კანონი კეთილსინდისიერ შემქმნს განასხვავებს

არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან. ამით შევსებულია აღწერილი მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზი. კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით კეთილსინდისიერი მფლობელს უფლება აქვს დაიტოვოს მის მიერ მოხდენილი გაუმჯობესება, თუ მისი გამოყოფა ნივთის დაუზიანებლად შეიძლება, ხოლო თუ ასეთი გამოყოფა შეუძლებელია, მაშინ უფლება ეძლევა მოითხოვოს ამ გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ ეს არ უნდა აღემატებოდეს ნივთის ღირებულების ნამატს. ვთქვათ, საცხოვრებელი სახლის კეთილსინდისიერმა მფლობელმა სახლს გაუკეთა ტიხარი, რომელიც შეიძლება მოიხსნას სახლის დაუზიანებლად. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს დაიტოვოს ეს ტიხარი. თუ კი ამ ტიხრის მოხსნა შეუძლებელია სახლის დაუზიანებლად, კეთილსინდისიერი მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გაკეთებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

როგორც ვხედავთ, კოდექსი არ მიუთითებს იმაზე, თუ რა ბედი ეწევა არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეულ გაუმჯობესებას. ასეთი შემთხვევისათვის სწორად მიგვაჩნია ო. ს. იოფეს და ი. კ. ტოლსტოის მიერ მოცემული განმარტება, რომლის თანახმად არაკეთილსინდისიერი მფლობელს უფლება აქვს თავისთვის დაიტოვოს მის მიერ გაწეული გაუმჯობესება თუ მისი გამოყოფა შესაძლებელია ნივთის დაუზიანებლად, და თუ შესაკუთრე თანახმა არ არის ანაზღაუროს გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები; ხოლო როცა გაუმჯობესების გამოყოფა შეუძლებელია, არაკეთილსინდისიერი მფლობელს უფლება არა აქვს მოითხოვოს ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება⁷.

პირადი საკუთრების ქონებაზე სავინდიკაციო სარჩელი ექვემდებარება ხანდაზმულობის ვადების მოქმედებას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 87-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციების მოთხოვნებზე კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა უკანონო მფლობელობიდან სახელმწიფო ქონების დაბრუნების შესახებ. რაც შეეხება პირადი საკუთრების ქონებას, მის შესაკუთრეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღარ შეუძლია აღძრას სავინდიკაციო სარჩელი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამით უკანონო მფლობელი ხდება ამ ქონების შესაკუთრე. საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არ ხდნობს შექენით ხანდაზმულობას. პროფესორი დ. მ. გენკინი მოითხოვდა, რომ პირადი საკუთრების ზოგიერთი ობიექტის მიმართ შემოღებულიყო შექენითი ხანდაზმულობა⁸. როგორც ვხედავთ, კანონმდებლობამ ეს წინადადება არ გაითვალისწინა. ქონება, რომელიც უკანონო მფლობელის ხელში აღმოჩნდა და რომლის შესაკუთრეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უფლება აღარა აქვს მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, ითვლება უპატრონო ქონებად და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის მიხედვით გადაიქცევა სახელმწიფო ან საკოლმეურნეო საკუთრებად.

საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა ნ ე ვ ა ტ ო რ უ ლ ი ს ა რ ჩ ე ლ ი, ანუ საკუთრების უფლების

⁷ იხ. О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, изд-во ЛГУ, 1965, стр. 172.

⁸ იხ. Д. М. Генкин. Право собственности в СССР, М., 1961, стр. 214 — 215.

ისეთი დარღვევის თავიდან აცილების მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული არ არის მფლობელობის წართმევასთან.

ნეგატორული სარჩელი სანივთო სარჩელია. იგი გულისხმობს მესამე პირთა მიერ არა მფლობელობის წართმევას, არამედ ხელის შეშლას მესაკუთრისათვის — ისარგებლოს თავისი ქონებით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი, რომელიც ამ საკითხს ეხება, მიუთითებს, რომ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მისი უფლების ყოველგვარი დარღვევის აცილება, თუნდაც ეს დარღვევა დაკავშირებული არ იყოს მფლობელობის წართმევასთან. ე. ი. ვინდუკაციისაგან განსხვავებით, ნეგატორული სარჩელი მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის დაბრუნების მოთხოვნა კი არ არის, არამედ მისი უფლებამოსილების ყოველგვარი დარღვევის თავიდან აცილების მოთხოვნა. მაგალითად, სარჩელი პირის საერთო საკუთრების მონაწილედ ცნობის შესახებ, ქონების განკარგვაზე უარის თქმის გაუქმებაზე და სხვა.

ნეგატორული სარჩელისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1) მესაკუთრის უფლებამოსილების დარღვევა მართლწომიერი არ უნდა იყოს. მართლწომიერი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთრების უფლების დარღვევად და მისი აღდგენისათვის ნეგატორული სარჩელი არ მიიღება;

2) ასეთი სარჩელი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განსხვავებით, არ საჭიროებს ბრალის არსებობას. საკმარისია მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო, არამართლწომიერი მოქმედების ფაქტი და მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი აღკვეთა;

3) უფლების დარღვევა აწმყოში უნდა ხდებოდეს ე. ი. უნდა გრძელდებოდეს სარჩელის წარდგენის მომენტში და არ უნდა იყოს წარსულში მომხდარი მოვლენა;

4) სასარჩელო ხანდაზმულობა ასეთ სარჩელებზე არ ვრცელდება. რამდენ ხანსაც არ უნდა გრძელდებოდეს უფლების დარღვევა, მესაკუთრეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს მისი აღკვეთა.

ნეგატორული სარჩელის საგანია მოთხოვნა დარღვევის-თავიდან-აცილებისა და მომავალში მისი აღკვეთის შესახებ. დარღვევის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული ხარჯები დამრღვევს ეკისრება.

ნეგატორული სარჩელი პრაქტიკაში გვხვდება ძალზე იშვიათად. საკუთრების ისეთი დარღვევების თავიდან აცილება, რაც მფლობელობის წართმევასთან არ არის დაკავშირებული ძირითადად წყდება ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით. მხოლოდ მაშინ, როცა ეს ორგანოები ვერ შესძლებენ საკუთრების უფლების დარღვევის თავიდან აცილებას ადმინისტრაციული წესით, მესაკუთრე სარჩელით მიმართავს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად.

საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა სარჩელი აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ. დამნაშავე პირის ქონების კონფისკაციის ან მოვალის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვისას აღწერის სიაში შეიძლება შევიდეს ისეთი ქონება, რომელიც ეკუთვნის არა დამნაშავეს, ან მოვალეს, არამედ სხვა პირს, ანდა მოვალის ისეთი ქონება, რომელზეც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი ქონების აღწერის სიიდან ამორიცხვის შესახებ. სასამართლო დაადგენს, რომ სწორად არ არის შეტანილი

ზარალი, რომელიც ზიანის მიყენების შედეგია, მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება თუ ეს მოქმედება ბრალეული ხასიათისაა. სხვა შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი პასუხს აგებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი. კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია გარეშე მყოფთათვის მომეტებულ საფრთხესთან (სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, ავტომობილთა მფლობელები და სხვა), მოვალეა აანაზღაუროს მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი დაუძლეველი ძალის მოქმედების ან თვითონ დაზარალებულის განზრახვის შედეგია, ე. ი. მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი პასუხს აგებს არა მარტო განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, არამედ შემთხვევით მიყენებული ზიანისათვისაც.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლით გათვალისწინებულია უსაფუძვლოდ შექმნილი ქონების უკან დაბრუნება. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ ქონების ნატურად დაბრუნება შეუძლებელია, უსაფუძვლოდ შექმნიმა უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება. მესაკუთრეს დაუბრუნდება და აუნაზღაურდება არა მარტო უსაფუძვლოდ შექმნილი ქონება, არამედ მთელი შემოსავალი, რაც მესამე პირმა მოიპოვა ან უნდა მოეპოვებინა ამ ქონებით იმ დროიდან, როდესაც შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ აქვს მიღებული.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია არა მარტო მესაკუთრის უფლებების დაცვა, არამედ იმ არამესაკუთრე მფლობელის ინტერესების დაცვაც, რომელიც კანონიერად ფლობს ქონებას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის ძალით იმ არამესაკუთრე მფლობელის უფლებები, რომელსაც ქონება მფლობელობაში გადაცემული აქვს კანონის თუ ხელშეკრულების საფუძველზე, დაცულია იგივე ნორმებით, რაც გათვალისწინებულია საკუთრების უფლების დაცვისათვის.

საბჭოთა კანონი მთელი სისრულით ითვალისწინებს პირადი საკუთრების უფლების დაცვის გარანტიას, ქმნის იმის პირობებს, რომ კომუნისტების მშენებელ ადამიანს ჰქონდეს საშუალება მიზნობრივად, საკუთარი და თავისი ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს პირადი შრომით შექმნილი მოხმარების საგნები, უზრუნველყოფილი იყოს ამ საგნებზე არსებული პირადი საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა.

კინემატოგრაფიაში შემოქმედებით მუშაობა საკონკურსო წესით საშუალოა მიღება და საშუალოდან დათხოვნა

რ. ზორდელაძე

საბჭოთა კინემატოგრაფიაში შრომის საერთო კანონმდებლობის გარდა, მოქმედებს ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მარტოოდენ ამ დარგის შემოქმედებით მუშაობა შრომით ურთიერთობას. ეს აქტები ადგენენ შრომის ხელშეკრულების დადების, შეცვლის ან შეწყვეტის თავისებურ პირობებს, აწესებენ სამუშაო და დასვენების დროის განსაკუთრებულ რეჟიმს, შრომის ანაზღაურებისა და ხელფასის დანამატის განსხვავებულ ნორმებს, შრომის დაცვის გაზრდილ მოთხოვნებს და ა. შ.

შრომითი უფლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ ასეთ თავისებურებას საბჭოთა კინემატოგრაფიაში წარმოადგენს შემოქმედებით მუშაობა სამუშაოზე მიღების და სამუშაოდან დათხოვნის საკონკურსო წესი.

მოქმედი კანონმდებლობით კონკურსი შემოქმედებით მუშაობებთან შრომითი ურთიერთობის დამყარებისა და შეწყვეტის ძირითადი სამართლებრივი ფორმაა. კონკურსის გარეშე შემოქმედებითი მუშაობის სამუშაოზე მიღება და იშვება გამონაკლისის სახით. ეს შედეგათი ვრცელდება მხოლოდ ახლად კურსდამთავრებულებზე, რომლებიც სამუშაოზე იგზავნებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საგზურებით.

კონკურსის ამჟამად მოქმედი წესი კინემატოგრაფიაში შემოღებულია 1964 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დებულების მესამე პუნქტის შესაბამისად და მიზნად ისახავს მხატვრული კინოფილმების სტუდიების სწორად დაკომპლექტებას შემოქმედებითი კადრებით.

ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მაღალერუდირებულ, პოლიტიკურად და იდეურად დახვეწილ შემოქმედებით კოლექტივს, რომლის განმტკიცება და საბოლოო ფორმირება, მხოლოდ კონკურსის გზითაა შესაძლებელი.

კინემატოგრაფიის მუშაობა კონკურსის დებულება შემოქმედების ნიჭისა და ტალანტის სრული გამოვლინების შესაძლებლობებს იძლევა და პერიოდული გადახალისების გზით ხელს უწყობს შემოქმედებითი კოლექტივების შემდგომ გაჯანსაღებას.

კონკურსის შედეგად კადრების შემადგენლობის გაუმჯობესება არსად ისე არ არის საჭირო, როგორც ხელოვნებაში და, მითუმეტეს, კინემატოგრაფიაში. თუ მეცნიერისათვის კონკურსში გამარჯვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო ხარისხს, კინომსახიობისათვის არსებითია გარეგნობა და ფიზიკური მონაცემები, ფოტოგენობა, პლასტიკა, ხმა. ეს მონაცემები ხანდაზმულობის გამო პირს ხშირად უქვეითდება. ამიტომ, სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივები მუდმივ გაახალგაზრდავებას და გადახალისებას საჭიროებენ. გაახალგაზრდავებას რომ ვამბობთ, ეს არ ნიშნავს, რომ კონკურსი გულისხმობს ცალკეული ხანდაზმული და ამაგდარი კინოვარსკვლავის ახალბედა მსახიობით შეცვლის აუცილებლობას. პირიქით, სწორედ გამოცდილი და დამსახურებული ხელოვანის კვალდაკვალ და მის გვერდით უნდა აღიზარდოს ღირსეული

ცვლა. აქ საკითხი შემოქმედებითი კოლექტივის საერთო გაახალგაზრდავების თვალსაზრისით ისმება და არა ცალკეული პიროვნების მიმართ.

კინემატოგრაფიაში კონკურსის გამოყენებას მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მომენტიც განსაზღვრავს. კინოხელოვნება უმაღლესი შემოქმედებაა, სადაც ცალკეული შემოქმედის მიმართ საბოლოო დასკვნების გამოტანას წლები სჭირდება. მსახიობი თუ რეჟისორი, შემოქმედებითი თვალსაზრისით შეიძლება ისე ვერ გაიზარდოს, როგორც ეს თანამედროვე კინოხელოვანს მოეთხოვება და მათი გადაჯგუფება სწორედ კონკურსის საშუალებით უნდა მოხდეს.

კინემატოგრაფიაში კონკურსის შედეგებს ზოგჯერ ვერ იყენებენ მისი ცუდი ორგანიზებულობის გამო. ამიტომ პერიოდული კონკურსის პრაქტიკა ისე უნდა დამკვიდრდეს კინოხელოვნებაში, როგორც უმაღლესი განათლებისა თუ მეცნიერების დარგში.

არის თუ არა ამის საჭიროება? უსათუოდ არის. თითქმის ყველა კინოსტუდია ძირითადად მოწვეული მსახიობების ხარჯზე მუშაობს, მაშინ როცა შტატის მსახიობები წლობით დაუტვირთავნი არიან.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კონკურსი კინემატოგრაფიაში არა მარტო შემოქმედებითი ჯგუფების პერიოდული გადახალისების მიზნითაა შემოღებული, არამედ არსებულ ვაკანსიაზე მისაღები პირის შერჩევისათვისაც. კინემატოგრაფიის მუშაკთა კონკურსის დებულების მეორე პუნქტი ითვალისწინებს პერიოდული კონკურსების დანიშვნის ვადებს, ხოლო ამავე პუნქტის მესამე ნაწილი — ვაკანტური ადგილის დაკავებისათვის კონკურსის გამოცხადების ნებისმიერ დროს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მათ შორის განსხვავება მარტოდენ დანიშვნის ვადათა სხვაობამდე დაგვეყვანა და არ გავვერჩია ერთმანეთისაგან კონკურსის იურიდიული შედეგებით.

ვაკანტური ადგილის დაკავებისათვის გამოცხადებული კონკურსი დაკავშირებულია კონკრეტულად ერთი ან რამდენიმე თანამდებობის გათავისუფლებასა ან ახალი საშტატო ერთეულის დაშვებასთან. გარდა ამისა, ვაკანტური ადგილის კონკურსის წესით დაკავება არ არის დაკავშირებული სხვა მუშაკის გათავისუფლებასთან.

კინემატოგრაფიის მუშაკთა საკონკურსო დებულება თუმცა ფაქტიურად ითვალისწინებს კონკურსის ამორსახეს, მაგრამ საჭიროა მათი მკვეთრი გამოიჯვანა და დაკონკრეტება, ვინაიდან პირველზე მხოლოდ ანალოგიის სახით ვრცელდება უკანასკნელი კონკურსის პირობები.

პერიოდული კონკურსი აუცილებელი ღონისძიებაა, რაც გულისხმობს შემოქმედებითი კადრების გადახალისების საჭიროებას. მაგრამ სათანადო რეზერვის გარეშე მარტო ეს საკმარისი არ იქნება კონკურსისათვის. შემოქმედებითი კოლექტივის გადახალისება სწორედ სათანადო რეზერვის ბაზაზე უნდა მოხდეს. ამრიგად, შემოქმედებითი კოლექტივების გადახალისების საჭიროება და სათანადო რეზერვის არსებობა კონკურსის ჩატარების ორი აუცილებელი პირობაა.

კონკურსის ჩატარების მესამე პირობად შეიძლება ჩაითვალოს ძველი შემოქმედებითი კადრებისა და რეზერვის შესაძლებლობათა თანაფარდობის უზრუნველყოფა. კონკურსი შეიძლება დაინიშნოს სწორედ რეზერვის პოტენციური შესაძლებლობისა და მისი მოსალოდნელი უპირატესობის გათვალისწინებით. ამ პირობების გათვალისწინებით კონკურსი ნებისმიერ დროს შეიძლება დაინიშნოს, მაგრამ არა უმეტეს ერთისა წელიწადში.

ამრიგად, კონკურსი კინემატოგრაფიაში საჭიროებისამებრ ინიშნება და მის პერიოდულობას კინემატოგრაფიის ხელმძღვანელი ორგანოები წყვეტენ თავიანთი შეხედულებისამებრ.

ჩვენი აზრით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო სწორია, ვინაიდან ხელოვნების სპეციფიკურობა მუდამ აყენებს შემოქმედებითი კადრებისა და თემატიკის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის საკითხს. ხელოვნებისათვის, სუთწლიანი საკონკურსო ვადა ზოგჯერ მეტისმეტად დიდია, ხოლო ზოგჯერ, პირიქით, მეტისმეტად მცირე. ამიტომ კონკურსი საჭიროებისამებრ უნდა მოეწყოს, როგორც ეს კონკურსის დებულებით არის გათვალისწინებული.

კინემატოგრაფიის მუშაკთა კოლექტივი თავისი თანამდებობრივი ფუნქციების მიხედვით იყოფა ჯგუფებად: ადმინისტრაციულ-ხელმძღვანელი პერსონალი, ხელმძღვანელი-სამხატვრო პერსონალი, სამხატვრო პერსონალი, სამხატვრო-ტექნიკური პერსონალი და მომსახურე პერსონალი.

კინემატოგრაფიის მუშაკთა შრომითი უფლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ შრომითი ურთიერთობანი ამ ჯგუფებთან სხვადასხვა წესით მყარდება.

1960 წლიდან მიღებულია დებულება კინოსტუდიების შემოქმედებითი მუშაკების პერიოდული კონკურსის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მიერ 1960 წლის 20 თებერვალს, (კინოსტუდიები მაშინ კულტურის სამინისტროს ექვემდებარებოდა). ამ დებულების მესამე პუნქტის შესაბამისად კონკურსი ტარდება დამდგმელი რეჟისორების, მთავარი ოპერატორების, მსახიობების, დამდგმელი მხატვრების, მხატვარ-გრიმიორების და ხმის ოპერატორებისათვის. მას შემდეგ, რაც კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა და კინოსტუდიები მას გადაეცა, შემუშავდა და 1964 წლის 20 სექტემბერს დამტკიცდა ახალი დებულება მხატვრული ფილმების კინოსტუდიებში მსახიობთა თანამდებობის პერიოდული კონკურსების შესახებ, რომელიც მართკინომსახიობთა მიმართ ვრცელდება. დანარჩენ სამხატვრო პერსონალის მიმართ კვლავ ძალაშია კულტურის სამინისტროს 1960 წლის დებულება.

საკონკურსო პრინციპების შემოქმედებითი მუშაკების სწორედ ზემოხსენებულ ექვს კატეგორიაზე გავრცელება ამ მუშაკთა გადამწყვეტი მნიშვნელობით აიხსნება.

ერთი შეხედვით მართლაც ასეა. დამდგმელი რეჟისორი, მთავარი ოპერატორი, მსახიობი, მთავარი მხატვარი, მხატვარი-გრიმიორი და ხმის ოპერატორი ფილმის მთავარი ავტორები არიან და ყველა დანარჩენ პერსონალს მეორეხარისხოვანი დანიშნულება აქვთ. ამის გამო მათი შერჩევის, გადახალისების, შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამოღებისათვის პერიოდული კონკურსების საჭიროება თითქოს არ არსებობს.

ჩვენ პერიოდულ კონკურსს დაქვემდებარებულ თანამდებობათა რიცხვი სრულყოფილად არ მოგვჩანია, ზოგიერთი შემოქმედებითი მუშაკის როლის სათანადოდ შეუფასებლობის გამო.

კინემატოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების დარგია და მისი ძირითადი თავისებურება სწორედ ხელოვნების სპეციფიკაა. მაგრამ ხელოვნების სხვა ნაწარმოებთაგან განსხვავებით, კინოფილმი, როგორც მხატვრული პროდუქცია, უამრავი პროფესიის მუშაკთა კოლექტიური შრომის შედეგია. პროფესიათა მრავალფეროვნება, შემოქმედებითი და საწარმოო შრომის ერთობლიობა

სწორედ კინოწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარეობს და კომპლექსური შრომის თავისებურებით აიხსნება.

კინოსტუდიებში 100-ზე მეტი პროფესიის მუშა-მოსამსახურეა, მათ შორის ოცდაათობითა ხელმძღვანელ-სამხატვრო და შემსრულებელ-სამხატვრო პერსონალი. ამათგან მხოლოდ ზემოთ დასახელებული ექვსი თანამდებობის გამოყოფა და სამხატვრო შემოქმედებითს საქმიანობაში მარტოდენ მათთვის მიწეება მთავარი როლისა ბევრი სხვა სამხატვრო პერსონალის არასრული შეფასებაა. მაგალითად, კინორეჟისორი, კინოოპერატორი, მხატვარ-დეკორატორი, მხატვარ-ფერმწერი, მონტაჟიორი და სხვ. შემოქმედებითი პროცესის უშუალო მონაწილეა და მეტნაკლებად თავისი წვლილი შეაქვს კინოფილმების შექმნაში. კინემატოგრაფიაში ამჟამად მოქმედი საკვალიფიკაციო-თანამდებობრივი ცნობარი, კინორეჟისორის თანამდებობას რომ განმარტავს, აღნიშნავს, რომ იგი არის ფილმის შექმნის შემოქმედებითი-საწარმოო პროცესის ორგანიზატორი, ფილმის იდეურ-მხატვრულ ღირსებაზე პასუხისმგებელი, დამდგმელ რეჟისორის დავალებით ატარებს წინასწარ რეპეტიციებს, ხელმძღვანელობს მასობრივ და ჯგუფურ გადაღებებს, ახორციელებს ცალკეული პლანის და ობიექტის გადაღებას; მას სპეციალური უმაღლესი სარეჟისორო განათლება უნდა ჰქონდეს.

ამგვარად, კინორეჟისორი ფილმის გადაღების შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი მონაწილე და ხელმძღვანელია, რომლის ნიჭზე და უნარზე, პროფესიულ დაოსტატებასა და შემოქმედებითს ალღოზე დიდად არის დამოკიდებული კინოფილმის წარმატება ან მარცხი. ამდენად, რეჟისორის თანამდებობაზე ნიჭიერ და პერსპექტიულ შემოქმედთა მოძებნა სტუდიის გადაუღებელი ზრუნვის საგანი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ დღევანდელი რეჟისორი ხვალისდელი დამდგმელი რეჟისორია და მის რეზერვად ითვლება. ამიტომ, კინორეჟისორის თანამდებობა ისევე უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ კონკურსს, როგორც ვთქვათ, დამდგმელი რეჟისორის ან მსახიობისა.

პერიოდული კონკურსის მოქმედებულებაში ნახსენები არ არის აგრეთვე კინოოპერატორის თანამდებობა და, ამდენად, ამ თანამდებობაზე კონკურსის პირობები არ ვრცელდება. კინოოპერატორი ტექნიკურ-შემოქმედებითი პერსონალია და საკვალიფიკაციო-თანამდებობრივი ცნობარის თანახმად იგი მთავარი კინოოპერატორის შემოქმედებითი და ტექნიკურ დავალებათა შემსრულებელია, მისივე დავალებით იგი აწარმოებს დამოუკიდებელ გადაღებას როგორც პავილიონებში, ასევე ღია ცის ქვეშ. ოპერატორს სპეციალური უმაღლესი განათლება (საოპერატორო ფაკულტეტი) უნდა ჰქონდეს და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ოპერატორი შემოქმედებითი მუშაყია და შეუძლია განსაზღვრული როლი შეასრულოს კინოფილმის შემოქმედებითი დონის ამაღლებაში. ამდენად, მზარდი, პერსპექტიული ოპერატორები ისევე სჭირდება კინოსტუდიებს, როგორც ვთქვათ, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი და სხვა. ამიტომ მათი სწორი და ობიექტური შერჩევის კრიტერიუმში სწორედ საკონკურსო შერჩევის პრინციპი უნდა იყოს.

იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე მხატვარ-დეკორატორზე; მხატვარ-სკულპტორზე და ა. შ. მათ ფილმებზე მუშაობის ცალკეული მომენტში მეტად პასუხსაგები როლი აკისრიათ, რომლის წარმატებით შესრულება დადებით როლს ასრულებს უკვე დასრულებული კინოსურათის ხარისხზე.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მონტაჟიორი. გაზეთი „სოვესტყაია კინო“

ჯერ კიდევ 1966 წელს (20 აგვისტო), სამართლიანად აყენებდა საკითხს, რომ მონტაჟიურობა შემოქმედებით პროფესიად მიჩნეულიყო. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს და გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ ამ პროფესიის უდიდესი გავლენა უკვე დასრულებული კინოსურათის მხატვრულ ღირსებაზე.

„მონტაჟის მთავარი ამოცანა, — აღნიშნავდა საბჭოთა კინოს ერთ-ერთი კლასიკოსი სერგეი ეინშტეინი, — განუყოფელია ხელოვნების შემეცნებითი დანიშნულებისაგან. ესაა თემისა და სიუჟეტის, მოქმედებისა და გმირთა საქციელის მწყობრი, თანმიმდევრული გადმოცემა და ცალკეული ეპიზოდებისა თუ მთლიანი კინოდრამის შინაგანი განვითარება“.

ამრიგად, კომპოზიციურად დასრულებული კინოფილმის შექმნაში მონტაჟიორი მნიშვნელოვანი ფიგურაა და მისი შრომის მთელი პროცესი შემოქმედებითი შრომით არის აღსავსე.

შეიძლება თქვან, რომ მონტაჟიორი ტექნიკურად ასრულებს რეჟისორის ჩანაფიქრს, მისივე მითითების შესაბამისად. ამ დავალებას მსახიობიც ამავე ფარგლებში ასრულებს, მაგრამ თავის როლს დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას აძლევს. სწორედ ისე, როგორც მსახიობი, მონტაჟიორიც ასრულებს ფილმის კომპოზიციურად დალაგების რეჟისორულ დავალებას და ამავე დროს თავისივე ჩანაფიქრის მიხედვით ფილმს ერთიან და თანმიმდევრულ სახეს აძლევს. ამდენად, მონტაჟიორი არ შეიძლება არ ჩავთვალოთ კინოხელოვნების უადრესად საჭირო პროფესიის წარმომადგენლად და არ მივიანჭოთ მას სხვა მხატვრული პერსონალის თანაბარი ღირსება. ამდენად, მონტაჟიორი, როგორც ხელოვანი, სულ მუდამ მზარდ დაოსტატებას, შემოქმედებით აღმავლობას უნდა გაცივდოდეს.

ყველა ზემოხსენებული არგუმენტი გვაძლევს იმის უფლებას, რომ დავაყენოთ კინემატოგრაფიაში კონკურსს დაქვემდებარებულ თანამდებობათა რიცხვის გაზრდის აუცილებლობის საკითხი. ეს უნდა მოხდეს რეჟისორის, ოპერატორის, მხატვრის და მონტაჟიორის თანამდებობათა ხარჯზე. ამის შესაბამისად საკონკურსო დებულების მესამე პუნქტში დამდგმელი რეჟისორის, მთავარი ოპერატორის, მსახიობის, დამდგმელი მხატვრის, მხატვარ-გრიმიორის და ხმის ოპერატორის გვერდით ადგილი უნდა დაიჭიროს რეჟისორის, ოპერატორის, კომპინირებულ გადაღებათა ოპერატორის, მხატვარ-დეკორატორის, მხატვარ-სკულპტორის, მხატვარ-მოდელიორისა და მონტაჟიორის თანამდებობებმა. ეს ხელს შეუწყობს მათი შერჩევისა და შემდგომი პროფესიონალური დაოსტატების საქმეს და კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს კინოფილმების ხარისხზე.

საკონკურსო თანამდებობათა განსაზღვრა ჯერ კიდევ არ ნიშნავს შესაბამისი კონტიგენტის საბოლოო დადგენას. ამის ზუსტად გაანგარიშებისათვის საჭიროა პერიოდული კონკურსის სიდიდან საერთოდ ამორიცხულ იქნენ ის შემოქმედებითი მუშაკები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული შედავათით სარგებლობენ.

კონკურსის დებულების მეექვსე მუხლი ასეთ შედგავათებს ავრცელებს: ა) ორსულ და მარტოხელა დედებზე, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ბ) მივლინებაში ან ექსპედიციაში მყოფ მუშაკებზე, გ) იმ მუშაკებზე, ვისაც სტაჟის ან ასაკის მიხედვით პენსიაზე გასვლას უკლიათ ორი წელი (უწყვეტი პროფესიული სტაჟი) ან სამი წელი (საერთო მუშაობის სტაჟი).

პროფკავშირთა ადგილკომის თავმჯდომარეთა ან მათი წევრების საკონ-

კურსო შემადგენლობაში შეყვანისათვის საჭიროა სათანადო თანხმობა ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციებიდან.

ჩვენი აზრით, არასრულია იმ თანამდებობების სიაც, რომლებზეც არ შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი.

დებულების მეექვსე მუხლს მიზანშეწონილია დაემატოს ნორმა, რომელიც საკონკურსო საშეღავათო პირობებს გაავრცელებს ერთი მხრივ იმ თანამდებობებზე, რომლებიც უკავიათ ახალკურსდამთავრებულებს მათი სამუშაოზე მიღებიდან კანონით დადგენილი სამი წლის გასვლამდე და, მეორე მხრივ, იმ თანამდებობაზე, რომელიც ვაკანტური იყო და კონკურსის შედეგად დაიკავა მუშაკმა, რომლის დანიშნვიდან არ გასულა ერთი წელი.

ასეთი შევესება სრულყოფდა საკონკურსო დებულებას და უფრო დააზუსტებდა საერთო შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გარანტიებს.

კინმატოგრაფიის მუშაკთა მოქმედი საკონკურსო დებულება განსაზღვრავს იმ პირთა შემადგენლობას, ვისაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში. დებულების მეექვსე პუნქტის თანახმად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ პროფესიონალ შემოქმედებითს მუშაკებს, რომლებსაც შესაბამისი უმაღლესი განათლება ან ამ დარგში მუშაობის სათანადო გამოცდილება აქვთ.

კონკურსში მონაწილე პირთა კატეგორიას რომ ადგენს, დებულება შენიშვნაში სრულიად სამართლიანად ითვალისწინებს ზოგიერთი თვითშემოქმედებითი მუშაკის კონკურსში დაშვების შესაძლებლობას. ასეთი გამონაკლისი დაიშვება, თუ თვითშემოქმედებითი მუშაკი დაჯილდოებულია სათანადო ნიჭით და მას რეკომენდაციას უწევს ხალხური შემოქმედების სახლი.

კონკურსი კადრების შერჩევის ისეთი ფორმაა, სადაც ყველაზე ნაკლები შეცდომის დაშვებაა მოსალოდნელი. მაგრამ კონკურსმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაამართლოს თავისი დანიშნულება და მისი გამოყენების პრაქტიკამ სწორად უპასუხოს მოთხოვნებს, თუ იგი ტარდება ორგანიზებულად და საკონკურსო პრინციპების სრული შესაბამისობით. ეს კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ორგანოებზე, რომელთაც ევალებათ კონკურსის ჩატარება.

საკონკურსო დებულების მიხედვით ასეთი ორგანოებია:

- ა) სტუდიის ხელმძღვანელობა (დირექცია);
- ბ) კონკურსის მოსამზადებელი კომისია;
- გ) სამხატვრო საბჭო.

კინოსტუდიის დირექცია მოვალეა უხელმძღვანელოს კონკურსის ჩატარების ვადების და რიგითობის დადგენას, ქვემდებარეობისამებრ წარუდგინოს კინმატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დასამტკიცებლად კონკურსის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობა, დაამტკიცოს კონკურსში მონაწილეთა სია და კონკურსის შედეგების მიხედვით გააფორმოს გამარჯვებულთა სამუშაოზე მიღება.

საკონკურსო კომისია დირექციის წარდგენით ინიშნება კინმატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მიერ იმ შემოქმედებითი მუშაკებისაგან, რომლებიც გამოირჩევიან კოლექტივში თავიანთი ხვედრითი წონით, ავტორიტეტით, ობიექტურობით, გამოცდილებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარედ სტუდიის დირექტორი ინიშნება.

ის პირები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობენ, არ შეიძლება იყვნენ კომისიის წევრები.

კონკურსის დებულება არ იძლევა ამომწურავ პასუხს საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობათა თაობაზე, მაგრამ დებულების საერთო აზრიდან გამომდინარე ამ კომისიის ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: საკონკურსო კომისია, როგორც კონკურსის მოსამზადებელი ორგანო, განიხილავს კონკურსის მონაწილეთა განცხადებებს, საჭიროების შემთხვევაში უბრუნებს მათ უკან დოკუმენტაციას სრულყოფის მიზნით, მოსთხოვს დამატებით საბუთებს, არჩევს კონკურსისათვის კანდიდატებს, აცნობს კონკურსის მონაწილეებს კონკურსის დაწვრილების პირობებს.

სამხატვრო საბჭო ასრულებს კონკურსის ჩატარების ყველა სამუშაოს, ირჩევს კონკურსის მონაწილეთა მონაცემების გაცნობის ყველაზე რაციონალურ და ხელსაყრელ ფორმას, კონკურსის თვითიული მონაწილის მონაცემების გულდასმით შესწავლის შემდეგ კენჭისყრის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება კონკრეტულ ადგილზე კონკურსის რომელიმე მონაწილის არჩევის შესახებ.

ამრიგად, სტუდიის ღირექცია, კონკურსის მოსამზადებელი კომისია და სამხატვრო საბჭო კონკურსის ჩატარების წესების შესაბამისად თანამიმდევრობით ახორციელებენ მთელ საკონკურსო პროცედურას.

დებულების შესაბამისად პირველი ეტაპი კონკურსის ჩატარების ვადისა და მონაწილეთა რიცხვის დადგენით იწყება, რომელსაც სტუდიის ღირექციის წარდგინებით ამტკიცებს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი ქვემდებარეობისამებრ.

შემოქმედებითი მუშაეები, რომელთა ადგილებზეც ცხადდება კონკურსი, ინფორმირებული უნდა იქნან ამის შესახებ კონკურსის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ ქვეყნდება პრესაში ერთი თვით ადრე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველნი განცხადებით მიმართავენ სტუდიის კომისიას კონკურსზე მათი დამეების მიზნით და ერთდროულად წერილობით აცნობებენ ამის შესახებ იმ დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც ისინი მუშაობენ. კონკურსში მონაწილემ განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს სათანადო დოკუმენტები. ამ დოკუმენტაციის გულდასმით შეფასების საფუძველზე სამხატვრო საბჭო აკეთებს საბოლოო დასკვნას ცალკეული კანდიდატების შესახებ და მათი არჩევაეც სწორედ ამ დასკვნის გათვალისწინებით ხდება.

ზემოთ ჩამოთვლილი მასალა ჩვენი აზრით, არ იძლევა ამომწურავ პასუხს კანდიდატის ყველა შემოქმედებითი მხარის მიმართ, მით უმეტეს, რომ კონკურსის პირობები არ ითვალისწინებს კანდიდატებთან ინდივიდუალურ შეხვედრას, მათთან გასაუბრებას, მათი პროფესიონალური ოსტატობისა და პირადი თვისებების დადგენისათვის რაიმე სხვა ფორმებისა და საშუალებების გამოყენებას.

კინომსახიობთა კონკურსის შესახებ 1964 წლის დებულებით წარსადგენია შემდეგი დოკუმენტები: — კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი, დახასიათება, განათლების მოწმობა, ავტობიოგრაფია. ჩვენის აზრით, ეს საბუთები უნდა წარადგინოს ყველა სხვა შემოქმედებითმა მუშაკმაეც. ამას გარდა, ვფიქრობთ მათი წარსული საქმიანობის გაცნობის მიზნით, მათ უნდა წარადგინონ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, აგრეთვე ცნობა შემოქმედებითი მუშაკის სატარიფიკაციო კატეგორიის და წოდების შესახებ, რასაც მუშაკის ხარისხობრივი მონაცემების დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მართალია, კინემატოგრაფიაში არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ როლი ერთმა ითამაშოს და მეორემ გაახმოვანოს, მაგრამ კონკურსის მიზანი სრულფასოვანი მსახიობის შერჩევაა, რომელიც თანაბარი ძალით ითამაშობს როლს და ახმოვანებს კიდევ მას. ამიტომ მსახიობის საკონკურსო დოკუმენტაციაში მსახიობის მეტყველების კულტურის დასადგენად აუცილებლად უნდა შედიოდეს გახმოვანების მასალებიც.

საჭიროდ მიგვაჩნია, აგრეთვე კონკურსის პირობებში შეტანილ იქნას კანდიდატებთან ინდივიდუალური გასაუბრების წესი, ურომლისოდაც შემოქმედებითი მუშაკის ზუსტი და ამომწურავი შეფასება ძნელია.

კონკურსის დებულების თანახმად, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი საბუთების მიხედვით უარი უთხრას კანდიდატს კონკურსში დაშვებაზე, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვერ უბასუხებს მოთხოვნებს. ამის შესახებ განცხადების შეტანიდან ათი დღის განმავლობაში უნდა ეცნობოს კანდიდატს, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს გაასაჩივროს სამხატვრო საბჭოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება.

ასევე, ათი დღით ადრე უნდა გამოცხადდეს კონკურსში დაშვებულთა სია (სტუდიის დირექტორის მიერ დამტკიცებული). კანდიდატებს წერილობით უნდა ეცნობოთ კონკურსზე დაშვება.

მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ სამხატვრო საბჭო კანდიდატის პროფესიული ოსტატობის ყოველმხრივ გაცნობის შემდეგ, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თვითეულ კონკრეტულ ადგილზე ერთ კანდიდატს არჩევს.

კანდიდატი აზრებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრებოდა სამხატვრო საბჭოს წევრების არანაკლებ ორი მესამედისა და კანდიდატის სასარგებლოდ ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

კანდიდატებს შორის თუ ხმები გაიყო, მაშინ თანამდებობა შეუნარჩუნდება ძველ მუშაკს. თუ ხმათა თანაბარი განაწილება ორ ძველ მუშაკს ან ორ კანდიდატს შორის მოხდა, მაშინ სამხატვრო საბჭო ნიშნავს დამატებით ტურს.

თუ კენჭისყრის შედეგად კანდიდატმა ვერ შეაგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, მაშინ მომავალ კონკურსამდე თანამდებობაზე რჩება პირი, რომელსაც თანამდებობა წინათ ეკავა.

კონკურსის შედეგებს ამტკიცებს სტუდიის დირექცია, რომელსაც უფლება აქვს არ დაამტკიცოს იგი, თუ კონკურსი ინსტრუქციის დარღვევით ჩატარდა.

კონკურსის შედეგების მიხედვით სტუდიის დირექცია გამოსცემს ბრძანებას გამარჯვებული მუშაკის თანამდებობაზე დანიშვნისა და წინამორბედი მუშაკის გათავისუფლების თაობაზე.

კონკურსის შედეგების გამოქვეყნებისა და დირექციის შესაბამის ბრძანების გამოცემის მომენტიდან ათი დღის განმავლობაში კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრებულ იქნას კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტში და პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანოებში ქვემდებარეობის მიხედვით.

შრომითი ხელშეკრულების დადების ჩვეულებრივი წესისაგან განსხვავებით, შრომითი ურთიერთობის დამყარების საკონკურსო წესი დამატებით ითვალისწინებს სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობას. სწორედ ამაშია შრომითი ურთიერთობის აღმოცენების საკონკურსო წესის თავისებურება.

სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობაზე რომ ვლაპარაკ-

კობთ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ კონკურსი შრომითი ურთიერთობის დამყარების დამატებითი პირობაა, რომელიც წინ უძღვის შრომითი ურთიერთობის საბოლოო გაფორმებას?

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად შრომითი უფლებრივი ურთიერთობის დამყარებაში კონკურსი დამატებით პირობად ითვლება. ეს მოსაზრება ა. ე. პაშერსტნიკს ეკუთვნის.¹

სრულიად სამართლიანად შენიშნავს ვ. ნ. სმირნოვი, რომ ეს შეხედულება მცდარია. იგი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება დამატებით პირობად მივიჩნიოთ კონკურსის რთული ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც არსებითად შრომითი ურთიერთობის აღმოცენების განსაკუთრებულ წესს წარმოადგენს.²

კონკურსი თვით მოიცავს მთელ რიგ დამატებით პირობებს: სპეციალური განათლება, წოდება, ხარისხი და სხვ.. საკონკურსო დებულების მე-9 პუნქტის შესაბამისად ისინი კონკურსთან დაკავშირებული მოთხოვნებია და კონკურსთან მათი გაიგივება, კონკურსის, როგორც შრომითი ურთიერთობის დამყარების, განსაკუთრებულ წესის უარყოფას ნიშნავს.

კონკურსის, როგორც სამუშაოზე მიღების განსაკუთრებული წესის, თავისებურება იმითაც აიხსნება, რომ იგი არ ითვალისწინებს სამუშაოზე მიღების საგამოცდო ვადებს, რამდენადაც ასეთ „გამოცდას“ მუშაკი ადრევე, ჯერ კიდევ შრომითი ურთიერთობის წარმოშობამდე გადის.

კონკურსი არ შეიძლება ჩაითვალოს სამუშაოზე მიღების მარტოოდენ წინაპირობად, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს. კონკურსი მიზნად ისახავს ყოველმხრივი შეჯიბრების გზით ხელი შეუწყოს შემოქმედებითი კადრების შერჩევას, მათი ნიჭის და უნარის სრულ გამოვლენას, მხატვრული კოლექტივების ასაკობრივ გაუმჯობესებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას და ა. შ. კონკურსის ძირითადი მიზანია შემოქმედებითი კოლექტივების იდეურ-მხატვრული დონის ზრდა და არა მარტოოდენ შრომითი ურთიერთობის დამყარება. ეს უკანასკნელი პირველიდანაა წარმოშობილი და მისი განხორციელების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა. ამდენად, კონკურსის დანიშნულების დაყვანა შრომითი ურთიერთობის დამყარების მიზნამდე, მისი როლის წინასახელშეკრულებო პირობის ჩარჩოში მოქცევა კონკურსის მნიშვნელობის ერთგვარი შეზღუდვა იქნებოდა.

ამიტომ უნდა დავეთანხმოთ ვ. ნ. სმირნოვის აზრს იმის შესახებ, რომ კონკურსი კადრების შერჩევის განსაკუთრებული წესია, რომელიც შრომით ურთიერთობაში მყოფ პირთა და ამ ურთიერთობის კანდიდატთა მიმართ ჩვეულებრივზე უფრო მეტ მოთხოვნებს ითვალისწინებს.

კონკურსის, როგორც შრომითი ურთიერთობის დამყარების განსაკუთრებული წესის თავისებურება იმითაც აიხსნება, რომ მიუხედავად ერთგვარი მსგავსებისა, იგი არსებითად განსხვავდება თანამდებობაზე არჩევის წესისაგან, თუმცა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში არჩევა ხდება, მაგრამ პერიოდული კონკურსის დროს თანამდებობა, რომელზეც კანდიდატთა არჩევა სწარმოებს, დაკავებულია, ჩვეულებრივი არჩევნების დროს კი იგი აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს.

გარდა ამისა, არჩევის წესით დამყარებული შრომითი ხელშეკრულება გან-

¹ Пашерстник А. Е. Право на труд, изд. АН СССР, 1951, стр. 228 — 229.

² Смирнов В. Н. Конкурс по Советскому трудовому праву, изд. ЛГУ, 1960, стр.

საზღვრული ვადით ხდება, როცა კონკურსის წესით შრომითი ხელშეკრულების დადება განუსაზღვრელი ვადით წარმოებს.

შრომითი ურთიერთობის დამყარების საკონკურსო წესის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ ამ შემთხვევაში შრომითი უფლებრივი ურთიერთობის აღმოცენების საფუძველი, ე. ი. იურიდიული შემადგენლობის ელემენტები გაზრდილი სახითაა წარმოდგენილი.

შრომითი ხელშეკრულების დამყარების ჩვეულებრივი წესი გულისხმობს მუშაკის მხრივ სამუშაოზე მიღების სურვილის გამოხატვას და ფაქტიურად მუშაობის დაწყებას, ხოლო ადმინისტრაციის მხრივ მუშაკის სამუშაოზე მიღების შესახებ ბრძანების გამოცემას და ფაქტიურად მის სამუშაოზე დაშვებას. კონკურსის დროს ამას გარდა საჭიროა სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება.

საკონკურსო წესით შრომითი ურთიერთობის დამყარებაში სამხატვრო საბჭო რამდენადმე ინაწილებს ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის ფუნქციებს. შრომის სამართლის მიხედვით, შრომითი უფლებრივი ურთიერთობის ერთი მხარე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი (მუშა-მოსამსახურე), მეორე მხარე კი იურიდიული პირი, ორგანიზაცია. სამხატვრო საბჭო არ არის იურიდიული პირი, მაგრამ იგი დებულების თანახმად ითვლება კინოსტუდიის დირექციის სათათბირო ორგანოდ. შრომითი უფლებრივი ურთიერთობის დამყარების სფეროში მისი გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათი დასახელებულ ორგანოს ამ ურთიერთობის მონაწილედ ხდის. სამხატვრო საბჭოს აქვს სამუშაოზე მიღების გადაწყვეტილების გამოტანის უფლება, მაგრამ არ შეუძლია თვითონვე მოიყვანოს სისრულეში მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. ადმინისტრაცია საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე საბოლოოდ აფორმებს შრომითი ურთიერთობის დამყარებას. სამხატვრო საბჭო და ადმინისტრაცია ერთი იურიდიულ პირის შემადგენელი ორგანოებია და საკონკურსო პროცედურით სამუშაოზე მიღების დროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის და მას იურიდიული შედეგი მოსდევს. იგი იურიდიული ფაქტის ძალამოსილების მქონეა და, მასში გამოხატული სამხატვრო საბჭოს მიზანსწრაფული საქმიანობის გამო, იურიდიული ფაქტების იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც სამართალმცოდნეობის მეცნიერებაში მოქმედების სახით არის ცნობილი.³

შრომითი ურთიერთობის დამყარებაში სტუდიის სამხატვრო საბჭოს მონაწილეობა და ის გარემოება, რომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს, ქმნის ისეთ წარმოდგენას, თითქოს კონკურსი ეწინააღმდეგება ერთმმართველობის პრინციპს. ერთი შეხედვით ეს მართლაც ასეა, ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტია და სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის, ხოლო ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო — სამხატვრო საბჭო კოლექტიური ორგანოა.

შეგნებული დისციპლინის განმტკიცების და მშრომელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით წარმოების პროცესში ოპერატიულობისა და ორგანიზებულობის შემდგომი ამაღლებისათვის ერთმმართველობის პრინციპის გამოყენება აუცილებელია. ამასთანავე, მშრომელთა შეგნებულობის ამაღლე-

³ Теория Советского государства и права, изд. МГУ, 1967, стр. 362—363.

ბასა და მათი ინიციატივის ზრდასთან დაკავშირებით ფართოდ ხორციელდება მართვის დემოკრატიული და კოლეგიალური ფორმები პროფკავშირის უფლებების გაფართოების, საწარმოო თათბირების გამოყენების გაუმჯობესების გზით და ა. შ.

სწორედ მმართველობის და დემოკრატიულობის პრინციპების ურთიერთშეხამების ფორმას წარმოადგენს კონკურსი. იგი სასწავლო, სამეცნიერო თუ შემოქმედებით დაწესებულებებში ერთმმართველობის პრინციპების განმტკიცებასთან ერთად ხელს უწყობს საზოგადოებრიობის როლის შემდგომ ამაღლებას.

კონკურსი, როგორც კადრების შერჩევის წესი, სრულიად არ უარყოფს სტუდიის ხელმძღვანელის ერთმმართველობას და არც ამცირებს მის პასუხისმგებლობას შემოქმედებითი კოლექტივების გაჯანსაღებაში.

პერიოდული კონკურსის დროს სტუდიის ხელმძღვანელი საკონკურსო დებულების თანახმად ვალდებულია უხელმძღვანელოს კონკურსის მომზადებას, შეარჩიოს საკონკურსო კომისია და, კიდევ მეტი, სამხატვრო საბჭოს შემადგენლობა, და დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი ქვემდებარეობისამებრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს. გარდა ამისა, დებულების თანახმად, სტუდიის ხელმძღვანელი ერთდროულად სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარეცაა. მაგრამ ყველაზე არსებითი ის არის, რომ ადმინისტრაციასაც და სამხატვრო საბჭოსაც კადრების უკეთესად შერჩევის ერთი საერთო მიზანი აქვთ.

საკონკურსო პრაქტიკა აყენებს ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას. ეს არის კონკურსის იურიდიული შედეგი.

კონკურსის შედეგად თანამდებობაზე კანდიდატის მიღება წინამორბედი მუშაკის გათავისუფლებას იწვევს. ამ პირისათვის გათავისუფლების ზუსტ ფორმულირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მთელ რიგ იურიდიულ შედეგებთან — მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის შენარჩუნებასთან, სოციალური დაზღვევის საკითხებთან და სხვ. გარდა ამისა, შრომის წიგნაკში შეტანილი გათავისუფლების ფორმულირება მუშაკის საწარმოო და მორალურ დახასიათებასაც წარმოადგენს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს არაერთგზის აღუნიშნავს მუშაკის გათავისუფლების დროს შრომის კანონმდებლობის შესაბამისი ფორმულირების არსებითი მნიშვნელობა, რადგან გათავისუფლების ფორმულირებაზე დიდად არის დამოკიდებული მუშაკის საშეღავათო უფლებები.⁴

მაგალითად, თუ კონკურსის შედეგად მუშაკის გათავისუფლებას მივიჩნევთ შეუფერებლობის მოტივით გათავისუფლებად და შესაბამისად საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 34 მუხლის II პუნქტს გამოვიყენებთ, ამით კონკურსის შედეგად გათავისუფლებული მუშაკი მნიშვნელოვნად დაზარალდება. ეს მუხლი გულისხმობს მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებას ისეთი მოტივით, როგორცაა დაკავებული თანამდებობისადმი შეუფერებლობა, არასაკმაო კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მუშაკის არაკვალიფიციურობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეუფერებლობა არ არის კადრების საკონკურსო წესით შერჩევის გამოსავალი პირობა. შეუფერებლობის შემთხვევებში მუშაკი კონკურსის გარეშეც შეიძლება დათხოვნილ იქნას თანამდებობიდან. კონკურსის პრინციპი ის არის, რომ უკეთესი კადრი იქნეს შერ-

⁴ Бюллетень Верховного Суда СССР, 1957, № 5, Бюллетень Верховного Суда СССР, 1971, № 6

ჩეული ამა თუ იმ თანამდებობაზე. მაგრამ უკეთესი კანდიდატის არჩევის შედეგად გათავისუფლებული მუშაკი, არ შეიძლება ითქვას, რომ უვარგისი და შეუფერებელია წინააღმდეგობა დაკავებულ თანამდებობისათვის. საქმე ის არის, რომ ამ თანამდებობაზე კონკურსის შედეგად არჩეულ იქნა უკეთესი მუშაკი, თუმცა წინამორბედიც შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ახალი. ამიტომ წინამორბედი მუშაკის გათავისუფლების გათანაბრება უვარგისობის მოტივით გათავისუფლებულ პირთან სწორი არ იქნებოდა.

ჯანმრთელობის მოშლას მსახიობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მოძრაობითი და პლასტიკური ან ფოტოგენური შესაძლებლობების დაკვირვება ზღუდავს მსახიობის გამოყენების შესაძლებლობას და შესაბამისად გავლენას ახდენს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ამის გამო კინემატოგრაფიის მუშაკთა საკონკურსო დებულების 22-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ კონკურსის შედეგად გათავისუფლებულ მუშაკს შრომის წიგნაკში ჩაეწეროს, „გათავისუფლებულია სამუშაოდან საშტატო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ დებულების შესაბამისად“. გამოდის, რომ ის მუშაკი, ვინც შედარებით დაბალი კვალიფიკაციის გამო დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, უფლებრივად გათანაბრებულია მუშაკთან, რომელმაც თანამდებობა კონკურსით დაიკავა სხვა კოლექტივში. ამ წესით მათ სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ ერთნაირი ფორმულირება აღმოაჩნდება შრომის წიგნაკში. ეს კი სრულიად არ უპასუხებს იმ ხარისხობრივ გრადაციას, რასაც შრომითი კანონმდებლობა ითვალისწინებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სხვადასხვა შემთხვევის გამო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შრომის სამართლის მეცნიერებაში, ამ საკითხის ირგვლივ, საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, რომლებიც მიზნად ისახავენ კონკურსის შედეგად სამუშაოდან დათხოვნის ფორმულირებაში ფაქტიური მდგომარეობის რაც შეიძლება ზუსტად ასახვის ამოცანას.

პრაქტიკაში ასეთივე ჩანაწერი კეთდება იმ პირის შრომის წიგნაკში, რომელიც სამუშაოდან დათხოვნილია იმის გამო, რომ გაიმარჯვა კონკურსში სხვა შემოქმედებით კოლექტივში. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ერთი ფორმულირებით ზუსტად ასახო კონკურსის შედეგად მუშაკის გათავისუფლების სხვადასხვა შემთხვევები. სწორედ ამიტომ ვ. ნ. სმირნოვი მივიდა სრულიად კანონზომიერ დასკვნამდე და კონკურსის შედეგად გათავისუფლების სხვადასხვა შემთხვევებს შესაბამისი ფორმულირება მისცა.⁵

ვ. ნ. სმირნოვი აღნიშნავს კონკურსის შედეგად გათავისუფლების რამდენიმე შემთხვევას და თვითუფლებით მათგანისათვის ითვალისწინებს სამუშაოდან დათხოვნის შესატყვის ფორმას.

მაგალითად, მუშაკის წინა სამუშაოდან გათავისუფლება კონკურსში გამარჯვების გამო, მის მიერ მიჩნეულია, როგორც კონკურსის შედეგად გადაყვანა და იგი შესაბამისად გეთავაზობს ასეთ ფორმულირებას: „გათავისუფლებულია სამუშაოდან პირადი განცხადებით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო“. ამ ფორმულირებაში მოცემულია მუშაკის კონკურსში მონაწილეობის პირადი თხოვნაც და, რაც მთავარია, გადაყვანის ყველა საშეღავათო პირობაც, დაცულია გადაყვანის ხარჯების ანაზღაურების პრინციპებიც, რასაც საკონკურსო დებულებაც ითვალისწინებს. თუმცა საკონკურსო წესით მუშაკის გათავისუფლების

⁵ Смирнов В. Н. Конкурс в Советском трудовом праве, изд. ЛГУ, 1960, стр. 82—83.

ეს ფორმულირება შედარებით ზუსტია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც არ არის სრული. პირადი თხოვნით გადაყვანა და კონკურსში გამარჯვების საფუძველზე გადაყვანა არ არის ერთი და იგივე. კონკურსში გამარჯვება შემოქმედებითი მუშაკის იმ უპირატესობის აღიარებაა, რაც მან თავისი შემოქმედებითი ღირსებით მოიპოვა. პირადი განცხადებით ჩვეულებრივი გადაყვანა ვაკანტურ თანამდებობაზე შესაფერისობის მოტივით გადაყვანაა, კონკურსში გამარჯვება კი უფრო მეტსაც ნიშნავს. იგი არა მარტო შესაფერისობას გულისხმობს, არამედ სხვებთან შედარებით მისი უპირატესობის აღიარებასაც. ამიტომ გადაყვანის ამ ორ ოზე გადასვლის გამო“. ეს, ჩვენი აზრით, სრული და ზუსტი იქნება და ობიექტურ გარემოებათა არასრული შეფასება იქნება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სმირნოვისეულ ფორმულირებაში დამატებით შევიტანოთ კონკურსების შედეგად გადაყვანის მოტივი, მაშინ შეიძლება ასეთი ფორმულირება მივიღოთ: „გათავისუფლდეს სამუშაოდან კონკურსში გამარჯვების შედეგად სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო“. ეს, ჩვენი აზრით, სრული და ზუსტი იქნება და ობიექტურად ასახავს კონკურსის როგორც უფლებრივ შედეგებს, ასევე მის მორაბურღელ მხარესაც. თუ კონკურსი მუშაკთა შემოქმედებითი ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორია, კონკურსში გამარჯვების უპირატესობის გრძნობა სწორედ კონკურსის მიზანდასახულებაა და მასში გამარჯვებულ მუშაკს არ შეიძლება დაუჟკარგოთ ამ უპირატესობიდან გამომდინარე წარმატება, რომელიც შემდგომ ახალი შემოქმედებითი აღმავლობის სათავედ იქცევა და პირდაპირ კავშირშია კონკურსის მიზნებთან და ამოცანებთან.

სმირნოვისეულ ფორმულირებაში სრულიად ზედმეტია მუშაკის „პირადი განცხადება“. თუ ამ ფორმულირებაში კონკურსის შედეგად გადაყვანა აისახება, სიტყვა „კონკურსი“ თავისთავად ამოადებს პირადი თხოვნის აუცილებლობას. ვინაიდან კონკურსში მონაწილეობა ნიშნავს პიროვნების სურვილს, არჩეულ იქნას თანამდებობაზე.

კონკურსის შედეგად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მეორე სახეა მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება, როცა მუშაკი მონაწილეობდა კონკურსში მის მიერ წინათ დაკავებული თანამდებობის შენარჩუნების მიზნით. ამ შემთხვევისათვის სმირნოვის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება, „გათავისუფლდეს სამუშაოდან კონკურსში გაუსვლელობის გამო“, სწორად მიგვაჩნია და სადავოდ არ ვთვლით. სწორია აგრეთვე სმირნოვის მიერ შემუშავებული ფორმულირებები, რომელსაც იგი გვთავაზობს იმ შემთხვევისათვის, როცა კონკურსის შედეგად ვერცერთი კანდიდატი ვერ გავიდა.

საკონკურსო წესით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სხვადასხვა კლასიფიკაციით შეიძლება თავიდან ავიცილინოთ კონკურსის შედეგად გათავისუფლების სხვადასხვა შემთხვევის ერთი ფორმულირებით გამოხატვის უზუსტობა და უხერხულობა.

სამართალში მიცემულის დაკითხვის უსიქოლოგიური საუბრეები

დოც. ნ. ზოდრონილი

თავდაცვის გრძობამ და პასუხისმგებლობის უიშმა შეიძლება აიძულოს სამართალში მიცემული სასამართლოს შემადგენლობას მისცეს თავისთვის სასარგებლო, არაობიექტური ჩვენება. ამ მომენტით აიხსნება ის, რომ სასამართლოს შემადგენლობას ყოველთვის აინტერესებს პირველი შეხვედრა სამართალში მიცემულთან. პროცესზე ირკვევა სამართალში მიცემულის ხასიათი, ტემპერამენტი, ყოფაქცევა და დამნაშავის დამახასიათებელი სხვა ფსიქოლოგიური თვისებები. თავის მხრივ სამართალში მიცემული ცდილობს შეიცნოს სასამართლოს შემადგენლობის ფსიქოლოგია. თუ სასამართლოს შემადგენლობა არ განიცდის რეფლექტორულ გაცხარებებს (მაგალითად, სამართალში მიცემულის უხეშობაზე) და სამართალში მიცემულს არ აძლევს საბაბს სასამართლოს შემადგენლობამ დაუშვას ფსიქოლოგიური შეცდომები, სამართალში მიცემული ჭეშმარიტების დასაფარავად ცვლის თავის ტაქტიკას და ირჩევს სხვადასხვა გზებს.

განვიხილოთ სამართალში მიცემულის ჩვენებათა ხასიათი, ერთ შემთხვევაში, როდესაც იგი დანაშაულს აღიარებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ცდილობს ცრუ ჩვენების მიცემით შეაცდინოს სასამართლოს შემადგენლობა. აღიარება სასამართლომ ყოველთვის კრიტიკულად უნდა შეამოწმოს, დასვას საკითხი, სრული და ნამდვილია თუ არა ეს აღიარება. სასამართლომ ზოგჯერ „სამართალში მიცემულის მაგიერადაც“, უნდა იფიქროს, გაიაზროს ყველა შესაძლებელი მოტივი, რომლებითაც შეეძლო ეხელმძღვანელა მას ჩვენების მიცემის დროს.

აღიარების შემთხვევაში უნდა დადგინდეს დანაშაულისადმი სამართალში მიცემულის დამოკიდებულება. საჭიროა დამნაშავისგან მივიღოთ განმარტება, რა მოტივით ჩაიდინა დანაშაული, როგორ ყალიბდებოდა დანაშაულებრივი განზრახვის პროცესი, რა პირობებმა შეუწყო ხელი დანაშაულის ჩადენასა და კვალის დაფარვას.

სამართალში მიცემულის ფსიქოლოგიის თვისებებების გათვალისწინებით, საჭიროა მეტად ფრთხილად განვმარტოთ საქართველოს სსკ 38-ე მუხლის მე-9 პუნქტი. სასამართლოს შემადგენლობა უხსნის სამართალში მიცემულს, რომ აღიარება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. აღიარება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მხოლოდ მაშინ ითვლება, როდესაც სამართალში მიცემული დანაშაულს კეთილსინდისიერად მოინანიებს.

დაუშვებელია სხვადასხვა დაპირებით სამართალში მიცემულის წაქეზება — აღიაროს დანაშაული. სუსტი ნებისყოფის პირი ყველაფერზე მზად არის,

ოღონდ მისი პიროვნება ხელშეუხებელი დარჩეს. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში განხილული ირემაშვილის, ახავეტიანისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნულ საქმეზე ოთხი პირი იყო სამართალში მიცემული საქართველოს სსკ 94-ე მუხლის II ნაწილით. საბრალდებო დასკვნა ემყარებოდა სამართალში მიცემულ ახავეტიანის ჩვენებებს, რომელიც აღიარებდა დანაშაულს და ამხელდა სხვა პირებსაც. ახავეტიანი წინასწარ გამოძიებამ თავდებქვეშ დატოვა, თუმცა მისი როლი დანაშაულში უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დაპატიმრებულ ირემაშვილისა. სასამართლოს სამჯავრო სხდომაზე ირემაშვილი აცხადებდა, რომ მას ბრალდება სწორად არ წარუდგინეს. ახავეტიანის ჩვენებას ირემაშვილი იმით ხსნიდა, რომ გამოძიებელი მას დაჰპირდა არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდებას, რაც შეასრულა კიდევ. როგორც ყი ახავეტიანი სასამართლოს სხდომაზე დააპატიმრეს მან განაცხადა, გამოძიებას მართლაც მივეცი ირემაშვილის საწინააღმდეგო ჩვენება იმიტომ, რომ გამოძიებელს წინასწარ პატიმრობაში არ ავეყვანეო. ახავეტიანის ამ განცხადების სისწორე მტკიცდებოდა საქმის სხვა მასალებითაც. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სრულიად სამართლიანად დააბრუნა ეს საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, რადგან პირველი გამოძიების დროს სამართალში მიცემულზე გამოძიებელმა ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა, რამაც საეჭვო გახადა მათი აღიარებათა სისწორე.

სასამართლო პრაქტიკაში ისეთ შემთხვევებსაც ვხვდებით, როდესაც სამართალში მიცემულმა, აღიარა რა დანაშაული, სასამართლოს შემადგენლობა ზღუდავს მას, არ აძლევს საშუალებას შემდგომი განმარტებებისას, რის გამოც დაკითხვა სრულყოფილად არ ტარდება. სასამართლო ამას ზოგჯერ იმიტომ სჩადის, რომ მოქალაქეს არ მიაყენოს დამატებითი მორალური ტანჯვა ანდა შიშობს, რომ სამართალში მიცემულმა შესაძლოა შეცვალოს თავისი პოზიცია. რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი, ვინაიდან მხოლოდ საქმის ყველა გარემოების გამორკვევით (მათ შორის იმ მომენტებისაც, რომლებზეც სამართალში მიცემული ნებით თუ უნებლიეთ ჩვენებას არ იძლეოდა), იქმნება საშუალება შემოწმდეს აღიარების სისწორე და ჩვენების კეთილსინდისიერება.

შესაძლებელი ფსიქოლოგიური მოტივების ყოველმხრივი აღრიცხვა, რომლებითაც ხელმძღვანელობს სამართალში მიცემული, აუცილებელია მაშინაც, როდესაც პირი არ აღიარებს დანაშაულს და უარყოფს წარდგენილ ბრალდებას.

სასამართლო პროცესზე ხშირად დგინდება, რომ ბრალდებული და გამოძიებელი, წინასწარი გამოძიების დროს, სხვადასხვანაირად აფასებდნენ საქმის ერთსა და იმავე გარემოებას. გარემოება, რაც ბრალდებულის აზრით მნიშვნელოვანი იყო, გამოძიებელს მცირემნიშვნელოვანად მიაჩნდა. ასეთი გარემოებები სასამართლომ ყურადღებით უნდა განიხილოს, რათა ფსიქოლოგიურად სწორად განაწყოს სამართალში მიცემული. თუ სამართალში მიცემული ხელაღს სასამართლოს შემადგენლობის დაუინტერესებლობას მის მიერ დაყენებულ საკითხების გარკვევაში, ექმნება „ფსიქოლოგიური რწმენა“, რომელიც ხელს უშლის სასამართლოს შემადგენლობასთან კონტაქტის დამყარებაში. ასეთ ვითარებაში სამართალში მიცემულნი, ქცევის ისეთ აქტებს ავითარებენ, რომელთა მიზანია არა სიმართლისა და საქმის ობიექტური ახსნა, არამედ სასამართლო შემადგენლობის ავტორიტეტის შელახვა. ასეთ პირობებში ძალასა და უპირა-

ტესობაზე დამყარებული უფლებების გამოყენება სახიფათოა, რადგან სამართალში მიცემული თანდათან შორდება სასამართლოს შემადგენლობას, მოსამართლის სიტყვა ჰკარგავს ზემოქმედების ძალას, სამართალში მიცემული სასამართლოსთან ურთიერთობაში კიდევ უფრო ჯიუტი და ტლანქი ხდება. ამიტომ ადმინისტრირების ძალის ნაცვლად ადგილი უნდა დაეთმოს ურთიერთგაგებაზე დაფუძნებულ მშვიდ, მაგრამ მტკიცე და განუხრელ ზემოქმედებას. თითქმის ყოველთვის სამართალში მიცემულნი მოითხოვენ პატივისცემით მოეპყრან მის პიროვნებას. მათ განწყობაზე განსაკუთრებით მოქმედებს უხეში, ცუდი დამოკიდებულება. სამართალში მიცემული ვერ იტანს ოდნავ უკმაყოფილო ტონსაც კი და ძლიერ ნერვიულობს. ამიტომ სასამართლოს შემადგენლობა და პროცესის მონაწილენი დიდი ცოდნითა და დაკვირვებით უნდა მიუღწეონ სამართალში მიცემულთა დაკითხვას. დაკითხვა ურთიერთგაგებასა და გონივრულ საფუძვლებზე უნდა იყოს დამყარებული, უნდა ავხსნათ მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების სოციალური საშიშროება, სამართალში მიცემულის მოვალეობა და მისი სწორი ობიექტური ჩვენების მნიშვნელობა.

როდესაც სამართალში მიცემულს მიდრეკილება აქვს აღზნებისაკენ, ხოლო თავშეკავების უნარი კი — სუსტი, სასამართლოს შემადგენლობა განსაკუთრებული ყურადღებით და გულისხმიერებით უნდა მოეციდოს ამ პირის დაკითხვას, გამოძებნოს ხერხები და საშუალებები დაკითხვის სწორად წარმართვისათვის. აქ საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ იმ ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, რომლებიც ასეთ პირებს ახასიათებთ.

ის პირები, რომლებსაც სუსტი შეკავების უნარი აქვთ, უფრო კეთილშობილური ბუნებისანი არიან და ადამიანთა ურთიერთობაში დიდ სიბოროს აქვლავნებენ, მაშინ როდესაც ისინი, ვისაც თავშეკავების უნარი აქვთ, ეგოისტური ტენდენციების მქონენი არიან და ხშირად გადაჭარბებული პატივმოყვარეობაც ახასიათებთ. ამ უკანასკნელთ რჩევა-დარიგება და შენიშვნები ცუდ განწყობაზე აყენებს და უფრო ავს ხდის. მათ არ შეუძლიათ თავიანთი ქცევა და მოტივები ობიექტური თვალით დაინახონ და კრიტიკულად შეაფასონ, რადგან საკუთარი უსწორო ქცევის ცნობიერება პატივმოყვარეობას ულახავს და უსიამოვნებას ჰკვირს.

დაკითხვის დროს საჭიროა სამსჯავრო გამოძიება ისე წარიმართოს, რომ მოინახოს ასეთი პირის დადებითი ტენდენციები და დაკითხვის გეგმა მისი ხასიათისა და ტემპერამენტის გათვალისწინებით შედგეს.

სამართალში მიცემული, ხშირად გამოძიების მიერ შეკრებილ მტკიცებულებათა წყაროებს უპირისპირებს თავის მოსაზრებებს და მიუთითებს საქმისათვის უმნიშვნელო გარემოებაზე, ცდილობს სასამართლოს შემადგენლობა დაარწმუნოს თავისი ჩვენების სისწორეში. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე ყურადღებით უნდა იქნეს მოსმენილი, დეტალიზებული და შემოწმებული სამართალში მიცემულის მოსაზრებები და განმარტებები. სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს სასამართლოს შემადგენლობამ კრიტიკულად უნდა დააკითხოს სამართალში მიცემული და დაუპირისპიროს ერთმანეთს მთავარი და მეორეხარისხოვანი გარემოებანი, რათა გაარკვიოს, თუ რატომ არ დაიხსომა სამართალში მიცემულმა ესა თუ ის დეტალი, რომელიც დაკავშირებული იყო დროსთან, დამსწრე პირებთან, საუბრის შინაარსთან და ასე შემდეგ.

სამართალში მიცემულის განმარტების დეტალიზაციის და შემოწმების შედეგად, შესაძლებელი ხდება გამოვლინდეს არსებითი წინააღმდეგობებიც, ეს

კი სასამართლოს შემადგენლობას საშუალებას მისცემს შეამოწმოს სამართალში მიცემულის მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა ობიექტურობაც. ეს მოქმედება მიზნად უნდა ისახავდეს იმასაც, რომ, როგორც სამართალში მიცემული, ასევე დამსწრე საზოგადოება დარწმუნდნენ სასამართლოს დაინტერესებაში. — თანაბარი ყურადღებით მოექცეს როგორც პიროვნების გამამტყუნებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებების შეკრებას, შემოწმებას და დადგენას.

სამსჯავრო გამოძიების დროს სასამართლო ობიექტურ ჭეშმარიტების დადგენას უნდა ესწრაფვოდეს. ამ მიზნის მისაღწევად მან და მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა სამსჯავრო გამოძიება სწორად, პროცესუალურ კანონების მოთხოვნათა ზუსტით დაცვით წარიმართოს. პროცესუალური ნორმების დარღვევას, განსაკუთრებით კი სამართალში მიცემულის უფლებათა შეზღუდვას, დიდი ზიანი მოაქვს საქმისათვის. სასამართლოს შემადგენლობა განსაკუთრებით კი სხდომის თავმჯდომარე, უნდა განეწყოს სამართალში მიცემულის მიმართ, რათა ამ უკანასკნელმა შეიგრძნოს სასამართლოს დაინტერესება მისი პიროვნებისა და ბედობისადმი. სასამართლომ უნდა აგრძნობინოს მას, რომ ცნობილია მისი ბიოგრაფიული მონაცემები, რომ სასამართლოს შემადგენლობა კარგად არის ჩახედული საქმის მასალებში. სასამართლოსა და სამართალში მიცემულს შორის ეს ფსიქოლოგიური კონტაქტები ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სწორი ჩვენების მისაღებად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სამართალში მიცემულს თანდათან სამსჯავრო გამოძიების მსვლელობის დროს გამოუთქმავდება რწმენა, რომ საჭიროა სიმართლის თქმა და ჭეშმარიტების დადგენა.

ზოგიერთი პროცესუალისტი საგან განსხვავებით, ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე უსწორობას სამართალში მიცემულთან „ფსიქოლოგიური კონტაქტის“ ამ მეთოდის გამოყენებაში. ჩვენი აზრით, ის, რომ სამართალში მიცემულს შეექმნა სასამართლოს შემადგენლობისადმი ერთგვარი ნდობის გრძნობა, არ არღვევს მის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია სამართალში მიცემულის აზროვნებისათვის. გრძნობა ხომ მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მოთხოვნილებებთან. ფსიქოლოგიაში გრძნობას უკავშირებენ რასუბიექტის მოთხოვნილებებს, ადასტურებენ, რომ, გრძნობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რა მოვლენა ახდენს მასზე ზემოქმედებას. თუ მოვლენა მას უსიამოვნების გრძნობებს აღუძრავს, პიროვნება შეეცდება დასძლიოს იგი.

ფსიქოლოგიური მეცნიერების ეს დებულება სამართალში მიცემულის ფსიქოლოგიითაც გამოიხატება. როცა სამართალში მიცემული შეიგრძნობს სასამართლოს შემადგენლობის ან მხარის მიერ მისი პიროვნების დამამცირებელ გამოვლინებას, იგი არ იძლევა სრულ პასუხებს, უხეშობს და ა. შ.

სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ ვითარებაში სამართალში მიცემული ან უხეშად უპასუხებს შეკითხვებს, ანდა ზოგჯერ ცდილობს პასუხიც კი არ გასცეს მას, რადგან გრძნობს მის მიმართ ტენდენციურ დაინტერესებას. სამართალში მიცემული ცდილობს თავს მოახვიოს სასამართლოს უხეშობის და პროცესის არასრულყოფილად წარმართვის გეგმა. ამას კი სამართალში მიცემული მაშინ აღწევს, როდესაც დაკითხვა ქაოტიურად მიმდინარეობს, როდესაც უხეშობას მიმართავენ პროცესის მონაწილეებიც. სასამართლო სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარის ამოცანაა, აღადგინოს პროცესის ნორმალურად ჩატარების პირობები. ისიც ხდება, რომ სამართალში მიცემული გრძნობს სასამართლოს შემადგენლობისა და პროცესის მონაწილეების სწრაფვას ობიექტურ

ქეშმარიტების დადგენისაკენ, მაგრამ მაინც ჯიუტობს და არ იძლევა ამომწურავ პასუხებს. ასეთი პირები, როგორც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, არავითარ ანგარიშს არ უწევენ არგუმენტებს, რომელსაც მათი ნათქვამისა თუ განმარტების საწინააღმდეგოდ უჩვენებენ.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ამის დაძლევა და რა გზით?

ჯიუტობა შესაძლებელია დავძლიოთ სასამართლოს შემადგენლობის ავტორიტეტული ზემოქმედებით. მოსამართლე ვალდებულია დაარწმუნოს სამართალში მიცემული, რომ შეუძლებელია ყოველივე ისე წარმართულიყო, როგორც სამართალში მიცემული აცხადებს, რადგან არსებობს გარკვეული წესები და კანონები, ობიექტური ღირებულებანი, რომელსაც სამართალში მიცემულმა ანგარიში უნდა გაუწიოს. ასეთი პირი ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომ იგრძნოს და შეიგნოს, რა წესებსა და კანონებს უნდა გაუწიოს ანგარიში და რა საგნებსა და მოვლენებს მიანიჭოს მეტი ღირებულება.

გარდა ჯიუტობისა, ფსიქოლოგიური მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობს სამართალში მიცემული ჩვენების მიცემის დროს, მრავალნაირია. სამსჯავრო გამოძიებაში მათ გარკვევას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

სამართალში მიცემულს შესაძლოა სურს კეთილსინდისიერად აღიაროს ყოველივე, რაც მან იცის და მოიმოქმედა, მაგრამ ამას ვერ ახორციელებს, არა ჯიუტობისა და უნდობის მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ სიტუაცია და საქმის გარემოება არ იძლევა ამის საშუალებას.

როდესაც მოსამართლე რწმუნდება, რომ სამართალში მიცემული ჩქმალავს საქმის ნამდვილ გარემოებებს, სასამართლოს შემადგენლობამ და პროცესის მონაწილე მხარეებმა უკმაყოფილება სამართალში მიცემულის მიმართ სიფიცხით კი არ უნდა გამოხატონ, არამედ გულდასმით და ყოველმხრივ შეისწავლონ ის გარემოებანი, რამაც პიროვნება ამ განზრახვამდე მიიყვანა, რადგან ქცევა, რომელსაც მომთხოვნელობითი იმპულსი მართავს, ნებისმიერი არ არის, იმპულსურია. ამიტომ, თუ კი დადგინდება წყარო ამ იმპულსური ხასიათისა, პიროვნება, რომელიც ადრე წინააღმდეგი იყო სწორი ჩვენების მიცემისა, სასამართლოს მთელი გულწრფელობით მოუთხრობს ყოველივეს.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ს. ტოლიაშვილის სისხლის სამართლის საქმე. სამართალში მიცემულს ბრალი ედებოდა, რომ მან 1971 წლის 24 ნოემბერს შმიდტის ქუჩაზე თავში ბოთლი ჩაართყა და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენა მოქალაქე ა. სომხიშვილს.

წინასწარი გამოძიებისას ტოლიაშვილი კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებას. სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე გაირკვა, რომ სამართალში მიცემულს სწამდა, რომ თუ მას დაუდასტურებოდა ხელის დარტყმით დაზიანების მიყენება, მაშინ ის თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, ხოლო ბოთლის გამოყენება კი პასუხისმგებლობას უმძიმებდა. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე სამართალში მიცემული ტოლიაშვილი გაერკვა ყოველივე ამაში, მოისმინა დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენება და გულწრფელად აღიარა დანაშაული, ითხოვა პატიება.

მხარეები ზოგჯერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას დანაშაულის შემამ-

სუბექტებელ გარემოებადაც კი თვლიან და უთითებენ ასეთი მოვლენის ფსიქიურ ხასიათზე.

სამართალში მიცემულმა გოგლიძემ, რომელსაც ბრალი ედებოდა მისი ნაცნობი გოგონას დ-ს გაუპატიურებაში, სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა ფაქტი იმისა, რომ მან 1969 წლის 18 ივლისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე ძაღლის გამოყენებით გაუპატიურა მ., მაგრამ თავის საქციელს იგი იმით ხსნიდა, რომ ხვევნა-კოცნის შემდეგ წამოეჭრა ძლიერი მოთხოვნილება სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილებისა.

საჭიროა აქ შეეჩერდეთ ადამიანის მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნების არსებობაზე. ეს აუცილებელია, რათა დავადგინოთ, რომელი მოვლენები შეიძლება მივაკუთვნოთ მოთხოვნილების ცნებას. ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ქცევის ერთადერთი წყარო მოთხოვნილებაა, რომ ყოველგვარი ქცევა მოთხოვნილების იმპულსს ემყარება.

მოთხოვნილების ერთი საერთო თავისებურება ის არის, რომ იგი შეიცავს აქტივობის ტენდენციას. მოთხოვნილება იქ, სადაც შეუფერხებლად პოულობს თავის საგანს, ფსიქოლოგიურად შეუმჩნეველი რჩება და განიცდება როგორც ნდომა და მისწრაფება. მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოცენების აუცილებელ პირობას განსაზღვრული მიმართულების აქტივობის შეფერხება ანუ შეკავება წარმოადგენს. ასეთი შეკავება, შეუფერხებლად არ არსებობს, მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მოთხოვნილება, მოცემულ ობიექტურ პირობებში აქტივობას გარკვეულ მიმართულებას აძლევს.

ადამიანს შეუძლია თავისთავი ჩააყენოს ისეთ პირობებში, რომლის ზეგავლენითაც იმ მოთხოვნილების გამომჟღავნება ხდება, რომელიც მას, რაიმე მოსახზრებით, სასურველად მიაჩნია. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც პიროვნება ღებულობს გადაწყვეტილებას ძალის გამოყენებით გაუპატიუროს ნაცნობი, იგი გრძობს, რომ ნდომა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა. ამის გამო მას შეუძლია დათრგუნოს ნდომა.

პროფილაქტიკური ღონისძიების გატარების მიზნით სასამართლოს შემადგენლობამ უნდა დაარწმუნოს დამსწრე საზოგადოება და თვით სამართალში მიცემულიც, რომ დანაშაულის ჩადენა მისი სისტემატური მიზანშეუწონავი ქმედობების შედეგია.

სასურველ შედეგს სასამართლო მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც მისწავლის და დაადგენს თვით სამართალში მიცემულის ფსიქოლოგიურ ხასიათს, რადგან ყოველი დანაშაულის სუბიექტს თავის შეხედულება აქვს ქმედობაზე. ქმედობას მიზანშეუწონისაც და მიზანშეუწონავსაც ფსიქოლოგიური საფუძვლები მოეპოვება. ამიტომ გასაოცარი არ უნდა იყოს, რომ ყოველი პიროვნება თავისებურად აფასებდეს შექმნილ სიტუაციას და ამის მიხედვით ახდენდეს არჩევანს. ხშირია შემთხვევა, როდესაც პირი, შეესწრება რა ჩხუბს, მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდის, ხოლო მეორე პირი კი აქტიურად ებმება და აღკვეთს დანაშაულს. სწორედ ამიტომ, არჩევანის საფუძველზე მიზანშეუწონილი ქცევის მონახვა და შერჩევა აზროვნების საშუალებით ხდება.

მოტივმა ამორჩეული ქცევა უნდა მიაღებინოს სუბიექტს, მოტივაციის საფუძველზე გადაწყვეტილების აქტი უნდა განხორციელდეს. ამიტომ მიზანშეუწონილი ქცევის მონახვა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორია აზ-

როვნება. თუ პიროვნება ჩლუნგია, იგი ადვილად შეიძლება შეცდეს ქცევის ღირებულების განსაზღვრაში, იმის გამო, რომ ყველა შედეგის სათანადო გათვალისწინებას ვერ შესძლებს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა არანებისმიერ ქცევად ჩათვლილიყო მიზანშეუწონავი ანდა კანონსაწინააღმდეგო ქმედობა იმ საფუძვლით, რომ პიროვნება ჩლუნგია და გონივრულად განუვითარებელი. ასეთი დასკვნის გამოტანა მცდარი იქნებოდა, იმიტომ, რომ აზროვნების პროცესში თავისთავად არ აღიძვრება უფრო ღირებული ან უფრო მიზანშეუწონილი იმპულსები, თუ სუბიექტმა იგი ნებისმიერ მოქმედებად არ წარმართა.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც სუბიექტის სუსტ ნებისყოფას, საბრალდებო დასკვნის ავტორი ანდა სასამართლო შემადგენლობა დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მოტივად სთვლის, რაც განაჩენის დადგენის დროს გამოიყენება როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება.

ამ მხრივ საინტერესოა სამართალში მიცემულ ა. ჩეხოვევის სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ 17—105 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. აღნიშნული საქმე განიხილა ლენინის სახელობის რაიონის სასამართლომ. მას 1971 წლის 26 ივნისის განაჩენით განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 45 მუხლის გამოყენებით შეუმცირდა 2 წლით. სასჯელის შემცირებას სასამართლოს შემადგენლობამ საფუძვლად დაუდვა მსჯავრდებული პირის სუსტი ნებისყოფა, აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ გააუქმა და სახალხო სასამართლოს მიეცა მითითება გაერკვია: აღნიშნული დანაშაული ძლიერი სულიერი აღელვების ზეგავლენით ხომ არ იყო ჩადენილი?

განმეორებით საქმის განხილვის დროს სასამართლოს შემადგენლობამ დაისახა პიროვნების ფსიქოლოგიური ხასიათის შესწავლა და გაანალიზება.

ამ მიზნით მოწვეულ იქნენ პედაგოგები და ექსპერტი ფსიქიატრები, რომელთა დახმარებითაც დადგინდა, რომ სამართალში მიცემულს ჰქონდა სუსტი ნებისყოფა, იყო მალე აღზნებადი უდიერი ან უხეში მოპყრობისადმი, რაც დაედო საფუძვლად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას.

ნებისყოფის საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგ-მეცნიერთა თვალსაზრისით, რადგან სუსტი ნებისყოფის ადამიანი შეიძლება მალე აღელდეს და ადვილად გამოვიდეს წყობიდან, მაშინ, როდესაც ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაზე უხეშობამ არ შეასრულოს ამ აღელვებელი ფაქტორის როლი.

ნებისყოფა ადამიანის მიდრეკილებაა, რომელიც გადაწყვეტილებით — განზრახვით გამოვლინდება. ნებისყოფა ადამიანს ყოველთვის აქვს მიდრეკილების სახით, ნებელობა კი მაშინ იჩენს თავს, როცა პიროვნება ნებისმიერი ქცევის სიტუაციაში ხვდება და სათანადო მოტივის გათვალისწინებით მოქმედებს. ნებისყოფის სიტუაცია თვითონ კარნახობს პიროვნებას მოცემულ პირობებში რა მოეთხოვება და რა ხასიათის ქცევის განხორციელება უნდა იკისროს.

სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს სამართალში მიცემული, გრძნობს რა სასჯელის საშიშროებას, ცდილობს სასამართლოს შემადგენლობა

დაარწმუნოს, რომ დაზარალებულს მან კი არ მიაყენა დანით ჭრილობა, არამედ სხვა პირმა. სამართალში მიცემულის ეს განცხადება უნდა შემოწმდეს სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს, შემოწმების შედეგები კი საფუძვლად დაედოს განაჩენს.

ყოველი საქმის განხილვის დროს სასამართლოს შემადგენლობის წინაშე წამოიჭრება და გადასაწყვეტი ხდება მთელი რიგი ფსიქოლოგიური მომენტები, რომელთა შეუსწავლელად და გაუანალიზებლად შეუძლებელია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ასეთ ფსიქოლოგიურ მომენტთა პირველ რიგს უნდა მიეკუთვნოს სამართალში მიცემულსა და დაზარალებულს შორის შემთხვევის მომენტში მომხდარი ქცევის აქტები. მაგალითად, თუ მხოლოდ ორ პირს შორის მოხდა ჩხუბი, და ერთ-ერთი ბასრი იარაღით დაჭრილი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც იქ მესამე პირი არ ჩარეულა, უდაოა, რომ დამჭრელი მეორე პირი იქნებოდა, სულ ერთია, დამსწრე პირებმა ბასრი ან მჭრელი საგანი დაინახეს თუ არა. სხვა დასკვნის გამოტანა ამ შემთხვევაში მცდარი იქნებოდა.

ფსიქოლოგიაში ნებისმიერი ქცევის მოტივს განასხვავებენ იმპულსური ქცევის მოტივისაგან.

ქცევის მოტივი და მიზანი ისეა ურთიერთთან დაკავშირებული, რომ შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან იზოლირება, რადგან ისინი დამოუკიდებლად არ გაიზარება. მაგალითად, გარკვეული საქმის ვითარებას, რომლის განხორციელებაც საკუთარი აქტიურობის გზით არის შესაძლებელი, მიზნად მხოლოდ მოტივი აქცევს, რადგან მოტივი მიზანშევეა ასახული. თუ პირმა გადაწყვიტა მეუღლის მიტოვება, რომ შემდგომ მოკლას ცოლის საყვარელი, პირველ შემთხვევაში პირის ქცევის მიზანი ცოლთან გამორება იქნება, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცოლის საყვარლის მოკვლა. ამდენად, გადაწყვეტილების მიღება შექმნილი სიტუაციის შეფასებით ხდება.

ამ შემთხვევაში პირმა წინასწარ განიზრახა შეესრულებინა მიზანდასახული გაცნობიერებული მოქმედება.

რაც შეეხება იმპულსური ქცევის მიზანს, იგი ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაში უჩნდება ადამიანს, ისე რომ მის შესაძლებად რაიმე საგანგებო ღონისძიების გამოყენება არა სჭირდება. „მოქმედება განზრახვის ან გადაწყვეტილების და მიზნის დასახვის საფუძველზე კი არ აღმოცენდება, არამედ მოქმედების იმპულსის უშუალო განხორციელებას წარმოადგენს.“¹ მაგალითად, პიროვნებაზე შეიარაღებული თავდასხმის მოწყობა სუბიექტს თავდაცვის საშუალების მიზანს გაუჩენს. ეს მიზანი თვითონ მიეძალება სუბიექტს, რადგან იგი მისი სიცოცხლის შენარჩუნების პროცესს ემყარება. ამიტომ აქ მოტივს არა სჭირდება გამოძენა და დასაბუთება. იგი თავისთავად მოდის მიზანთან და მოქმედებასთან ერთად.

ნებისმიერი ქცევის მოტივის არსის ვაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს იურისპრუდენციისათვის, რადგან აღნიშნული არსის ცნების ახსნით და ვაგებით შესაძლებელი ხდება პიროვნების ქმედობის ობიექტური შეფასება.

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობას ხშირად აძნელებს სამართალში მიცემულის განცდები, დაკავშირებული მომხდარ ფაქტის აღდგენასთან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სუბიექტის ნებისყოფა სუსტია. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება ემოციური გან-

¹ ბ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, გვ. 270.

ცდები, რომლებიც ეხმარება სუბიექტს მოქმედებათა ორგანიზაციაში. ეს ფსიქოლოგიური პროცესი სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების სტადიაში უნდა აიხსნას, კერძოდ, სამართალში მიცემულის დაკითხვის ტაქტიკურად სწორად ჩატარებით, პირის ფსიქოლოგიურ თვისებათა გათვალისწინებით. ამ ფაქტორების იგნორირება არ შეიძლება, რადგან ყველა ინდივიდს თავისი ნებისყოფის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური თვისებები აქვს, რომელთა დაძლევისათვის საჭიროა თავისებური მიდგომა და ნებისყოფის სიძნელეთა დაძლევა. სწორედ ამ ფსიქოლოგიურ კომპონენტთა საშუალებით არის შესაძლებელი სწორად შევადგინოთ პიროვნება და ტაქტიკურად მართებულად წარვმართოთ დაკითხვა. სამართალში მიცემულის დაკითხვის ტაქტიკის სწორად არჩევისათვის საჭიროა გაირკვეს დასაკითხავი პირის ნებისყოფაში არსებული სიძნელეების წარმოშობის მიზეზებიც. ამ მხრივ საინტერესოა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს პროცესზე სამართალში მიცემული ავდარიანის დაკითხვის ტაქტიკის შერჩევა.

სამართალში მიცემულ ავდარიანს ბრალი ედებოდა იმაში, რომ 1971 წლის 22 ნოემბერს ბარნოვის ქუჩაზე, მართავდა რა თავის საკუთარ მსუბუქ ავტომანქანა „მოსკვიჩს“, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები — მანქანა გადაიყვანა ტროტუარზე და ორი მოქალაქე მძიმედ დააშავა.

სამართალში მიცემული თავს სცნობდა დამნაშავედ, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე. საქმის მასალებიც ამტკიცებდა ავდარიანის აღიარებას, მაგრამ სხდომის თავმჯდომარეს არ გამოეპარა ავდარიანის განცდები და მისწრაფება, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, დაზარალებულთა დაკითხვები, ის განმარტებები, რომლებიც ეხებოდა დაზიანების საკითხს, მკურნალობის ვადას და ექიმების დასკვნებს დაზარალებულთა გამოჯანმრთელების შესახებ.

ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ავდარიანს სურდა განაჩენის რაც შეიძლება მალე დადგენა.

ეს გარემოება უყურადღებოდ არ იქნა დატოვებული და სასამართლოს შემადგენლობა სწორად მოიქცა, როდესაც აუჩქარებლად და დეტალურად დაიწყო შესწავლა თუ რა პირობებში იმყოფებოდა აღნიშნული შემთხვევის გამო არა მარტო დაზარალებულნი, არამედ მისი ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები, რა სამკურნალო ღონისძიებები დასახეს მკურნალმა ექიმებმა მის სრულ გამოჯანმრთელებამდე. სასამართლოს შემადგენლობის მიერ დასმულმა კითხვებმა იმოქმედა სამართალში მიცემულის შემდგომ ჩვენებების ჩამოყალიბებაზე და ნებისყოფის ფსიქოლოგიაზე და მაშინ, როდესაც სასამართლოს შემადგენლობა მოწმეებთან შეკითხვებით იყო დაკავებული, ავდარიანი საბრალდებო სკამიდან წამოიჭრა და განაცხადა: „მე ბრალდება ჩემს თავზე ავიღე, რადგან მანქანა ჩემი იყო, თორემ საჭეს ჩემი სიძე ქოროლი უსოფეი მართავდაო“. დამატებითმა გამოძიებამ და სასამართლოს განმეორებითმა პროცესმა დაადასტურეს ავდარიანის ეს განცხადება.

აღნიშნულ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ხელი შეუწყო დაკითხვის ტაქტიკის სწორად შერჩევამ.

სასამართლო სამსჯავრო გამოძიების დროს ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სამართალში მიცემული, სცნობს რა თავს დამნაშავედ, ცდილობს განაწყოს მხარეები და დაარწმუნოს სასამართლოს შემადგენლობა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რომ მისი განწყობა იმ მომენტში სწორედ

ასეთ ქმედობის ჩადენას უკარნახებდა. სამართალში მიცემულის ეს განცხადება ყურადღებით შემოწმებას და სათანადო შეფასებას მოითხოვს, ვინაიდან პიროვნების განწყობის გაგება და ახსნა ღრმა ფსიქოლოგიური საკითხია.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ განწყობა ადამიანის ფსიქიკის განვითარების ერთ-ერთი საფეხურია. ადამიანის განწყობა მოთხოვნების ასახვის ნიადაგზე წარმოიშობა. სანამ ადამიანს აქტუალურ სიტუაციაში ქცევისადმი განწყობა შეეკმნებოდეს, იგი ჯერ გაიაზრებს, ხოლო შემდეგ წარმოსახავს იმ შედეგს, რაც ასეთ ქცევას შეიძლება მოჰყვეს.

ამდენად განწყობა ვითარდება ადამიანის გააზრების და სათანადო დასკვნის გამოტანის შემდგომ და იგი სამართალში მიცემულისათვის არავითარ შემთხვევაში შემამსუბუქებელ გარემოებად არ ჩაითვლება. მაგრამ სასამართლოს შემადგენლობა მაინც ვალდებულია გაარკვიოს და დაარწმუნოს სამართალში მიცემული მის ფსიქოლოგიური ბუნების გაგებასა და შეფასებაში და მასვე გამოატანინოს სათანადო დასკვნები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის განხილვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის სხდომაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა შემამოწმა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ 1971/72 წლებში ჩატარებული მუშაობა. იგი მიზნად ისახავდა დაედგინა, თუ როგორ სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები სახალხო მეურნეობაში არბიტრაჟის ორგანოების როლის ამძღვრების შესახებ. შემოწმება განახორციელა საკავშირო არბიტრაჟის ოთხი მუშაკისაგან შემდგარმა ბრიგადამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უფროსი არბიტრი (ბრიგადის ხელმძღვანელი) და სამი უფროსი კონსულტანტი. შედეგები მოხსენდა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს და განხილულ იქნა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის სხდომაზეც. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობა დადებითად შეფასდა. კოლეგიამ ამასთან მიზანშეწონილად სცნო გამოცდილების გაზიარების წესით მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო არბიტრაჟებს სპეციალური წერილით გააცნონ საქართველოს არბიტრაჟის მუშაობის გამოცდილება. ამ წერილში, კერძოდ აღნიშნულია, რომ არბიტრაჟის წინაშე დასახული ამოცანების ჯეროვნად შესრულებას, საგვეგმო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებასა და მინიჭებული უფლებების სრულყოფილ გამოყენებას ხელი შეუწყო საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის კარგმა ორგანიზაციამ. თუმცა მუშაობა დიდი მოცულობისაა (საშუალოდ თვითეული არბიტრი წელიწადში 2000-ზე მეტ საქმეს

იხილავს) დავები, სწორად და დროულად განიხილება. ვადის დარღვევით 1972 წელს განხილულია საქმეების, მხოლოდ 1,8 პროცენტი. 1972 წელს შემოვიდა 799 განცხადება არბიტრაჟის გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესახებ, რაც შეადგენს ყველა გარჩეული საქმის 4,5 პროცენტს. ამავე პერიოდში შეცვლილი და გაუქმებულია 65 გადაწყვეტილება ანუ გარჩეული საქმეების 0,4 პროცენტი.

სახელმწიფო ვადების და რაოდენობების დარღვევასთან დაკავშირებით დავების განხილვის დროს ნაკისრი ვალდებულებების დამრღვევი ორგანიზაციების მიმართ საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟი თანმიმდევრულად და პრინციპიალურად იყენებს კანონით გათვალისწინებულ მატერიალურ სანქციებს.

ცალკეულ საწარმოსა და ორგანიზაციას, რომლებიც უხეზად არღვევენ ხელმწიფოებთან ნაკისრ ვალდებულებებს, პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ დებულებების 85 და 87 მუხლების შესაბამისად არბიტრაჟი ახდევინებს სანქციებს (პირგასამტეხლოს, ჯარიმას, საურავს) 50 პროცენტამდე გადიდებული ოდენობით, სანქციების ამ ნაწილის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხვით.

ბოლო წლებში საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟში შესამჩნევად გაიზარდა საქმეების მასალების დამუშავება, მათი განზოგადება და დავების განხილვის დროს საგვეგმო სახელმწიფოებო დისციპლინის გამოვლინებულ ფაქტებზე შეტყობინების გაგზავნა. ეს საქმიანობა ტარდება დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, რომელიც წინას-

წარ იხილება არბიტრაჟის მუშაკების ოპერატიულ თათბირებზე, ხოლო შემდეგ მას ბრძანებით ამტკიცებს მთავარი არბიტრი. გეგმებში გათვალისწინებულია ძირითადი საკითხები, თემები რომლებზეც უნდა მოხდეს განხილული საქმეების მასალების განზოგადება და აგრეთვე მრეწველობის ის ცალკეული დარგები, რომელთა საწარმოები და ორგანიზაციები სხვებზე უფრო ხშირად გამოდიან არბიტრაჟში მოსარჩევეებად და მოპასუხეებად. სახელმწიფო არბიტრაჟი სისტემატურად განაზოგადებს უხარისხო პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ დავების მასალებს და ასეთ განზოგადების მასალებს ყოველწლიურად აცნობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. განზოგადობები ამ თემაზე წარდგენილი იქნა 1970 წლის 20 მარტს, 1971 წლის 26 მაისს და 1972 წლის 28 თებერვალს. ყველა ამ წარდგინებაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სათანადო დადგენილებები.

სახელმწიფო არბიტრაჟში ფართოდ არის დანერგილი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების სახელზე, პარტიულ, სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოებში განზოგადებული მასალების გაგზავნის პრაქტიკა. ეს შეტყობინებები ძირითადად ეხება სახელმწიფო კვლავებულებების დარღვევას, არასათანადო ხარისხის პროდუქციისა და საქონლის მიწოდებას, რაოდენობრივ დანაკლისებს, უდავო საქმეთა არბიტრაჟამდე დაყვანას და სხვა ამგვარ ფაქტებს. ასე მაგ., საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრს გაეგზავნა შეტყობინება თბილისის და ქუთაისის საწარმოო გაერთიანებების მიერ არასათანადო ხარისხის აბრეშუმის ქსოვილის მიწოდების ფაქტებზე და რესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმების სისტემატურ დარღვევებზე; საქართველოს ადგილობრივი

მრეწველობის მინისტრს—ამ სამინისტროს სისტემის წარმოება-ორგანიზაციების მხრივ საგეგმო და სახელმწიფო კვლავებო დისციპლინის დარღვევებზე; ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს — ტვირთის გადაზიდვის ვადების დარღვევებზე, ვაგონების მიწოდების გეგმების შეუსრულებლობაზე, უსაფუძვლო ჯარიმების გადახდევინებაზე, ცენტრალური გადამზიდვების ორგანიზაციისაგან ზოგიერთი სადგურების მიერ თავის არიდებაზე.

არბიტრაჟის შეტყობინებების საფუძველზე გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, დამნაშავე პირების დასჯისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის მიღებული სათანადო ზომები.

საგეგმო და სახელმწიფო კვლავებო დისციპლინის დამრღვევებზე შემოქმედების ერთ-ერთი მეთოდია დავების საწარმოებში განხილვა. საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟმა 1972 წლის იანვრიდან — სექტემბრამდე წარმოებებში განიხილა 433 საქმე, ხოლო 1972 წლის დამლევამდე ეს რიცხვი გაიზარდა 471 საქმემდე. საწარმოებში დავების განხილვის შემდეგ არბიტრები ატარებენ საუბრებს სამეურნეო კანონმდებლობის სხვა და სხვა საკითხებზე.

საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟი დიდ ყურადღებას აქცევს სამეურნეო კანონმდებლობის პრობლემადას. ამ მიზნით გამოყენებულია ტელევიზია, რადიო, პრესა. წინასწარ იგეგმება ჩასატარებელი მოხსენებებისა და საუბრების აქტები. როგორც წესი, მოხსენებებისა და საუბრების ჩატარების დროს ყურადღებას ამახვილებენ ორგანიზაციების ნაკლოვანებებზე, რომლებიც ვლინდება სამეურნეო დავების განხილვის დროს. ტელევიზიით გამოვიდა მთავარი არბიტრი ე. ტაკიძე, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებზე

დაყრდნობით ანალიზი გაუკეთა სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს და საწარმოთა კოლექტივების ყურადღება გაამახვილა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის ამოცანებზე.

არბიტრაჟმა მიიღო მონაწილეობა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნისადმი მიძღვნილ რადიოგადაცემაში არბიტრაჟის მუშაკები ატარებენ ლექციებს იურისკონსულტების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, სემინარებზე. მოხსნებები და საუბრები გარდა ქ. თბილისის საწარმოებისა ტარდება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისში, რუსთავში, ცხინვალში, სოხუმსა და სხვ.

სამეურნეო და სამართლის დარგის მუშაკების ახალი საკანონმდებლო აქტებისა და საკავშირო სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციების გაცნობის მიზნით სახელმწიფო არბიტრაჟის შენობაში მოწყობილია სპეციალური სტენდი, სადაც ქვეყნდება ეს ნორმატიული მასალა.

სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკები სისტემატურად მუშაობენ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რეგულარულად გადიან პრაქტიკას საკავშირო სახელმწიფო არბიტრაჟში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის წერილში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სსრ არბიტრაჟის მიერ ჩატარებული ღონისძიებები ხელს უწყობენ საწარმოთა და ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. სათანადო შინაარსის წერილი დაეგზავნა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟების მთავარ არბიტრებს 1973 წლის 30 იანვარს.

თ. დადიანი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახარბიტრაჟის ზედამხედველობის და კოდიფიკაციის განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროვილახიკური საქმიანობის ეფექტურობის უზენაესი პირობა

2. ჯარიაზილი

სახელმწიფოს ყოველი ორგანოსათვის, რომელიც მოწოდებულია დამნაშავეობას ებრძოლოს, ერთ-ერთი ფუნქციონალური პრინციპია — შექმნას ისეთი ვითარება, რომ „დანაშაულის არცერთი შემთხვევა გაუხსნელი არ დარჩეს“.¹

განსაზღვრავს რა სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, მოკვლევების ორგანოს მოვალეობებს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მუხლი მოითხოვს, რომ ყოველი დანაშაულის გამომჟღავნებისას ყველა ზომა იქნას მიღებული მისი სწრაფად და ბოლომდე გახსნისათვის, რათა თითოეული პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, სამაგალითოდ დაისაჯოს. ეს არის დანაშავეობასთან ბრძოლის საფუნდამენტი. იგი ემყარება იმ საშუალებათა და მეოთხედის ოპტიმალურად გამოყენებას, რითაც აღჭურვილი არიან სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამასთან ერთად, მოკვლევების და წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა გადაუდებლად მოითხოვს ბევრი თეორიული და პრაქტიკული პრობლემის განხილვას, რომლებიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესრულებას — ყველა ჩადენილი დანაშაულის ბოლომდე გახსნაში.

უპირველეს ყოვლისა დგება საკითხი — შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ყველა ჩადენილი დანაშაულის ბოლომდე გახსნა უკვე ნიშნავს იმ პირის გარდუვალად დასჯას, ვინც მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში.

ყოველი სასჯელი ამა თუ იმ ფორმით ზღუდავს სამართალდამრღვევს და გარკვეულ ტანჯვას აყენებს მას. ამავე დროს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში მომხდარმა სოციალურმა ცვლილებებმა განაპირობეს მნიშვნელოვანი წარმატებანი დანაშავეობასთან ბრძოლაში, ხელი შეუწყეს დანაშაულის შემცირებას.

ამან შექმნა პირობები იმ საკითხის დასაყენებლად, რომ დანაშაულობასთან ბრძოლაში გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც ყოველთვის არ შეზღუდავენ სამართალდამრღვევის უფლებებსა და ინტერესებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ამის თაობაზე მოცემულია შემდეგი პრინციპული მნიშვნელობის დებულება: „მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურის ღონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დანაშავეობა და საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით“.²

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა — აღმზრდელობითი ხასიათის ზომები შეუფარდონ იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული და არ არიან საზოგადოებრივად განსაკუთრებით

¹ ვ. ა. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 412.

² სკკპ პროგრამა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1962 წ., გვ. 120.

საშინი. ასე მაგალითად, 1971 წელს საქართველოს სსრ-ში იმ პირების 10 პროცენტზე მეტი, ვინც მონაწილეობდა სოციალისტური ქონების გატაცებაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლდნენ და მათ შეეფარდათ საზოგადოებრივი შემოქმედების ღონისძიებანი. სწორედ ამაში ვლინდება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ქეშმარიტი ჰუმანიზმი. ამ ღონისძიებათა გატარებისას მხედველობაში იყო მიღებული დანაშაულის ჩადენის გარემოება, დამნაშავე პირის მონაცემები და, აქედან გამომდინარე, საჭიროდ არ იქნა მიჩნეული სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენების აუცილებლობა.

ზემოთქმული სრულიად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვამტკიცოთ თითქოს მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოებმა არ შეასრულეს მათ წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — დანაშაულის გახსნა, მისი თავიდან აცილება. პირიქით მათ განახორციელეს ყველა საჭირო ღონისძიება დანაშაულის გარემოებათა დასადგენად, მისი ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გასარკვევად, მომავალში მათი თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, სამართალდამრღვევ პირთა მონაცემების შესაკრებად.

მათთან ერთად სათანადო მუშაობა გასწიეს სხვა სახელმწიფო ორგანოებმა, აგრეთვე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიიღეს ზომები, რათა ჩადენილი დანაშაული ცნობილი გამხდარიყო დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი კომპეტენტური ორგანოებისათვის. და თუმცა გარკვეული გარემოებების არსებობის შედეგად შესაძლებელი გახდა დამნაშავე პირთა მიმართ არ გამოეყენებინათ სისხლისსამართლებრივი სასჯელი, საბოლოო ანგარიშში ამ მოქმედებით. სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ რეალიზებული იქნა სამართალდარღვევაზე რეაგირების გარდუვალობის პრინციპი.

აქედან გამომდინარე, რეაგირება ყოველ დანაშაულზე, რომელიც მზადდება ან უკვე ჩადენილია, ხორციელდება არა მარტო მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის, სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოების, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა ფართო მასების მიერ. ეს ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის აღმოფხვრის, მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

დანაშაულის ყოველ ფაქტზე აუცილებელი რეაგირების პრინციპის ცხოვრებაში განხორციელებას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ არა მარტო დამნაშავე, არამედ ამ პირის ახლობლები, საწარმოს კოლექტივი რეალურად გრძნობენ, ვანციდიან ჩადენილი დარღვევისადმი სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის უარყოფით დამოკიდებულებას. თუ ასეთი რეაგირება არ ხდება, ეს წარმოშობს დანაშაულებრივი ქმედობისადმი დაუსჯელობის განწყობილებას, ხელს უწყობს ანტისაზოგადოებრივი ქცევა-განზრახვის ჩამოყალიბებას და რეალიზაციას.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კრიმინოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 1968—1971 წ.წ. საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საწარმოებში სოციალისტური ქონების გატაცების ყოველი მეხუთე შემთხვევა განაპირობა ჩადენილი ბოროტმოქმედებისადმი რეაგირების არარსებობამ ან არაეფექტურმა რეაგირებამ. ძნელი სათქმელია თუ რას მოაქვს უფრო დიდი უარყოფითი მორალური შედეგი — გამომყდავებული სამართალდარღვევის ფაქტისადმი რეაგირების არ არსებობას თუ ისეთი პირობების არსებობას, რომელშიც დამნაშავე გამოუმყდავებელი რჩება.

გამომქვანებული სამართალდარღვევისადმი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტური რეაგირება თავის მხრივ დამოკიდებულია მთელი რიგი მოთხოვნების შესრულებაზე.

რეაგირება უნდა იყოს დროული. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მან დადებითი ზეგავლენა მოახდინოს იმ პირების შეგნებაზე, რომლებიც ჩაღიან დანაშაულს, ან ამზადებენ მას, აგრეთვე დამნაშავის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე. რეაგირების დროულობა განისაზღვრება იმით, თუ კომპეტენტური თანამდებობის პირები ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დანაშაულის ან მისი მცდელობის ფაქტის გამომქვანების მომენტიდან რამდენად სწრაფად მიიღებენ მათზე დამოკიდებულ ღონისძიებებს დანაშაულებრივ გარემოებათა სათანადოდ შემოწმების, სამართალდამრღვევის მიმართ ზემოქმედების ფორმებისა და მეთოდების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის.

იმ ღონისძიებათა დროულად გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩადენილი დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანას, დამნაშავის მიმართ კოლექტივის, ნათესავებისა და ახლობლების უარყოფითი ატმოსფეროს შექმნას, მაშინვე ახდენს საჭირო ზეგავლენას არა მარტო სამართალდამრღვევის შეგნებაზე, არამედ მის ირგვლივ მყოფ პირთა შეგნებაზეც და ხაზს უსვამს ჩადენილი ქმედობისადმი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრიობის უკომპრომისო დამოკიდებულებას.

და, პირიქით, თუ მოვლენათა განვითარებას დაველოდებით, შევვცდებით მომხდარი ფაქტის მიჩქმალვას და არ მიეცემთ მას შესაბამის სამართლებრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებას, ამით ხელს შევეუწყობთ პიროვნების ანტისაზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებას, რაც წარმოშობს დანაშაულებრივი ქმედობის დაუსჯელობის რწმენას და პირს იმედი მიეცემა, რომ აღმინისტრაცია, საწარმოო-დაწესებულებების, ორგანიზაციების წარმომადგენლები და ირგვლივ მყოფი პირები მხარს დაუჭერენ მას.

ასე მაგალითად, 1971 წლის სექტემბერში უწყებრივი შემოწმებით გამოირკვა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის მიმღები პუნქტის გამგემ კულუმბეკოვმა ბოროტად გამოიყენა თავისი თანამდებობა და ათი ათასი მანეთის ზარალი მიაყენა სახელმწიფოს. იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს პირადი განცხადებით და ამით დაკმაყოფილდნენ.

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, როდესაც რაიონის პროკურორმა საერთო ზედამხედველობის წესით ჩაატარა შემოწმება, გამოაშკარავდა, რომ კულუმბეკოვი დაუსჯელი დარჩა. მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გლაპარაკობთ რა დანაშაულის დროული რეაგირების მნიშვნელობის ფაქტზე, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ იგი უნდა წარმოებდეს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირების ინიციატივით და არა ზემდგომი ორგანოების უფლებამოსილი პირების ჩარევით. თუ კი ეს ასე არ ხდება, დანაშაულის ჩამდენი პირი ხვდება, რომ არ არსებობს მის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღების სურვილი და საბოლოოდ „საქმეს მაინც არ მიეცემა მსვლელობა“.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე რევიზიის მეშვეობით გამომქვანებული დანაკლისის, გაფლანგვის ან სხვა ბოროტმოქმედების ფაქტზე დროული რეაგირების უზრუნველყოფის პრობლემა. მიზანშეწონილად ვთვლით ამასთან დაკავშირებით შევჩერდეთ „ცეკავშირის“ სისტემის საწარმოებსა და ორგანი-

ზაციებში არსებული სოციალისტური საკუთრების გატაცების შემსწავლელი ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე.

შესწავლამ გვიჩვენა, რომ უწყებრივი ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადებს, რომლის განმავლობაში უნდა მოხდეს გაფლანგვისა და გატაცების მასალების საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემა სისხლი სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაჭრის მიზნით სათანადოდ არ იცავენ. სისხლის სამართლის საქმეების დაახლოებით 20 პროცენტი აღძრული იქნა იმ მასალების მიხედვით, რომლებიც განსახილველად ჰქონდათ კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და ბუხპალტრებს დადგენილ ხუთი დღის ვადაზე ზევით. შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების 45 პროცენტი აღძრულ იქნა გატაცების ფაქტის გამოძიების ერთი თვის შემდეგ, თუ ამ მასალის ნახევარი მოითხოვდა დამატებით შემოწმებას მატერიალურად პასუხისმგებელი პირების დავების გათვალისწინებით, მეორე ნახევარი მოკვლევის ორგანოებს და პროკურატურას არ გადაეცა სათანადო საფუძვლების უქონლად.

ეს მოწმობს, რომ აქ არ იჩენდნენ სათანადო პრინციპულობას, სამომხმარებლო კოოპერაციების ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სამართალდარღვევაზე დროულ რეაგირებას.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საწარმოებში გამოვლენებული დანაკლისის, გაფლანგვის, ზენორმატიული და სხვა ბოროტმოქმედების ფაქტებზე რეაგირების პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხშირად საგამოძიებო ორგანოებში მასალები იგზავნება იმ განზრახვით, რომ შემდეგში, დამნაშავე პირების მიმართ გაატარონ დისციპლინარული ან მატერიალური პასუხისმგებლობის ზომები, ან იმ მიზნით, რომ დამნაშავე პირები სამსახურიდან განთავისუფლდნენ საკუთარი სურვილით. „ცეკავშირის“ სისტემაში გატაცების საქმეების საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე მეტი აღძრულია პროკურორის ან ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირების მითითებით.

ასე მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონში საგამოძიებო ორგანოებს არ გადაეცა 6.600 მანეთის გატაცების მასალები: არ აღძრულა ასევე სისხლის სამართლის საქმე სოფელ ვანათის სამომხმარებლო კოოპერაციაში მომხდარ 2.494 მანეთის გატაცების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეები ამ ფაქტებზე აღიძრა მხოლოდ პროკურატურის ინიციატივით და დამნაშავეები სათანადოდ დაისჯნენ.

თანამდებობის ზოგიერთი პირი არ ახმაურებს ხოლმე დანაკლისის, სოციალისტური ქონების გატაცების ფაქტებს, და ეს ყოველთვის იმით არ არის გამოწვეული, რომ მას სურს იხსნას დამნაშავე პირი დამსახურებული სასჯელისაგან.

ხშირად ამას სხვა მიზეზები უდევს საფუძვლად. ზოგჯერ მაგალითად, თანამდებობის პირებს არ სურთ „გაიფუჭონ“ საფინანსო-საწარმოო საქმიანობის მაჩვენებლები, სურთ თავიდან აიცილონ კოლექტივის ან საკუთარი პერსონის კრიტიკა, არ უნდათ დაკარგონ პრემია ან ხელფასის სხვა დანაშატი.

სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად საგამოძიებო ორგანოებისათვის სოციალისტური ქონების გატაცების თაობაზე მასალების გადაუგზავნელობა, რა მოტივიც არ უნდა ედოს მას საფუძვლად, ხელს უშლის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. ამას ის უარყოფითი შედეგი მოსდევს, რომ დროულად არ აღიკვეთება ხოლმე დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები.

თუ კი სახელმწიფო ქონების გამტაცებელს მიეცემა შესაძლებლობა დაფაროს მიყენებული ზარალი და სამსახურიდან განთავისუფლდეს თავისი განცხადებით, ეს შექმნის იმის წინაპირობას, რომ იგივე პირი ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოეწყოს სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მატერიალურ პასუხისმგებელ პირად და კვლავ განაგრძოს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა.

იმაზე „ზრუნვა“, რომ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის კოლექტივმა გატაცების ფაქტის გამომჟღავნების გამო არ დაკარგოს პრემია, ავითარებს ადამიანებში სოციალისტური ქონების დაცვისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, არ უნერგავს მათ იმ გრძნობას, რომ ეს ქონება საერთო-სახალხო კუთვნილებად ჩათვალონ და ყოველმხრივ აამაღლონ მისი დაცვისათვის პასუხისმგებლობა.

გატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედებათა ფაქტებზე დაგვიანებული რეაგირების გამოვლენება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე განცხადებებისა და შეტყობინებების განხილვის ვადების დარღვევა, რაც მეტად გავრცელებულია. ამ ვადებს ასე თუ ისე იცავენ იმ განცხადებებისა და შეტყობინებების განხილვის დროს, რომლებიც შეეხება ხულიგნობას, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ა. შ. ხოლო სოციალისტური ქონების გატაცების, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებისა და სხვა ანალოგიურ ბოროტმოქმედებათა თაობაზე მიღებულ შეტყობინებაზე გადაწყვეტილების გამოტანას დიდი ხნით აჭიანურებენ.

უკანასკნელ წლებში დაინერგა ისეთი პრაქტიკა, როცა დანაშაულის ჩადენის სიგნალის მიღების შემოწმებისას გაუთავებლად ინიშნებოდა ათასგვარი რევიზიები, გამოკვლევები, სხვადასხვა პირებს უთავბოლოდ ართმევდნენ ახსნა-განმარტებებს, მაშინ როდესაც მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ისეთი მონაცემები, რომლებშიც პირდაპირ იყო მითითებული უკვე ჩადენილი ბოროტმოქმედების ეპიზოდები. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ასეთი ღონისძიებები, კერძოდ დოკუმენტური რევიზიები, ინიშნებოდა სოციალისტური ქონების გატაცების შესახებ შეტყობინებათა უდიდეს უმრავლესობაზე. სახელდობრ, სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებში გატაცების ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე შეტყობინების მნ პროცენტზე და ინიშნა დოკუმენტური რევიზია. ასეთი პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ გამოძიება ცდილობს მიეცეს საშუალება დროის გარკვეულ მონაკვეთში თავი შეიკავოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან, რათა ამასობაში დაამათვროს წარმოებაში მყოფი სხვა საქმეები და არსებითად ხელოვნურად აამაღლოს გამოძიების ხარისხის მაჩვენებლები.

მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ დანაშაულის შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების გაჭიანურებულ შესწავლას მრავალი უარყოფითი მხარე აქვს.

ჯერ ერთი, ამ მიზეზით ხშირად არარაობამდე დაჰყავთ საქმის გამოძიების პერსპექტივა, რადგან დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ რეალური ღონისძიებანი განახორციელონ დანაშაულის კვალის დასაფარავად და მტკიცებულებათა გასანადგურებლად. მთავარი კი ის არის, რომ შეტყობინებათა გაჭიანურებული შესწავლის შედეგად იქმნება საზოგადოებრივი აზრი მოკვლე-

ვისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების უმოქმედობის შესახებ, რომ ისინი არ ეწევიან შემტევ და აქტიურ ბრძოლას დამნაშავეობის წინააღმდეგ.

დიდი მნიშვნელობა აქვს რეაგირების თანმიმდევრობას. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი ვითარების უზრუნველყოფა, როცა საწარმოს, დაწესებულების თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების სურვილი — მოახდინონ სათანადო რეაგირება უკვე გამოაშკარავებულ დანაშაულზე სრულ მხარდაჭერასა და გაგებას პოულობს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების, აგრეთვე პროკურორის მხრივ.

კარგად არის ცნობილი, რომ კომპეტენტურ ორგანოებში სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად გადაგზავნილი შეტყობინების მსგელობას თვალს ადევნებს პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ესენი მართოდენ დანაშაულში თანამონაწილე პირები როდი არიან. „საქმის შედეგით“, როგორც იტყვიან, დაინტერესებული არიან დამნაშავეთა თანამშრომლები, ახლობლები, ნაცნობები. ყველა ელის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანო ან პროკურორი.

შეიძლება განცხადების ან შეტყობინების შემოწმებით დადგინდეს, რომ არ არის საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და გამოძიების ჩატარებისათვის. მაგრამ ხშირად დანაშაულის ჩადენის ფაქტი აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს, მოკვლევის და გამოძიების მუშაკები კი მაინც თავს იკავებენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან. ისინი ნაკლებად ფიქრობენ მოსალოდნელ შედეგებზე.

ამყამად მოსახლეობის მართლშეგნების დონე იმდენად მაღალია, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ამათუ იმ ფაქტს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მასზე თავის სიტყვას იტყოდეს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანო. სწორედ ეს არის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის წინამძღვარი. და როდესაც მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანო ან პროკურორი სათანადო რეაგირებას არ ახდენს სამართალდარღვევის ფაქტზე, ეს არამართო აზნევს საზოგადოებრიობას, არამედ ახშობს კიდევ მათ აქტივობას დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

აუცილებელია სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამდებობის პირებს შესაძლებლობა მიეცეთ ეფექტური რეაგირება მოახდინონ უსაფუძვლოდ საქმის არ აღძვრის ყოველ ფაქტზე. დადგინილი პრაქტიკის შესაბამისად მათ ეგზავნებათ ოფიციალური წერილი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ამასთანავე, ასეთი დოკუმენტების დიდ უმრავლესობაში გვერდი აქვს ავლილი იმ მოსაზრებებს, თუ რატომ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამიტომ შეტყობინების ავტორებს საშუალება არა აქვთ შეაფასონ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და ისარგებლონ უფლებით — გაასაჩივრონ იგი.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკანონმდებლო წესით დადგინდეს, რომ მოკვლევის და წინასწარი გამოძიების ორგანოს დადგენილების ასლი სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის შესახებ, აუცილებლად გადაეგზავნოს ორგანიზაციას, რომელმაც მათ შეატყობინა დანაშაულის ფაქტი. ეს აამაღლებს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოების პასუხისმგებლობას, საშუალებას მისცემს დაინტერესებულ ორგანიზაციას დროული და სათანადო რეაგირება მოახდინოს დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებაზე.



საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახალი გამოცემა

საქართველოს სსრ 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსი უკანასკნელად გამოიცა 1969 წელს იმ ცვლილებებით და დამატებებით, რომლებიც მასში შეტანილი იყო 1969 წლის 1 მარტამდე. კოდექსი ქართულ ენაზე გამოიცა ათი ათასი ეგზემპლარი, ხოლო რუსულ ენაზე — ხუთი ათასი.

ახლად გამოცემულ კოდექსებზე სპეციალისტების და მოსახლეობის მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ ეს ტირაჟები აშკარად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ დაისვა საკითხი კოდექსის დამატებითი ტირაჟის გამოცემის შესახებ. დაიწყო მუშაობა კოდექსის ახალ გამოცემაზე იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომელიც მასში იქნა შეტანილი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის უკანასკნელი გამოცემის შემდეგ მასში შეტანილია ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, კოდექსის ოცდარე მუხლში შეტანილია ცვლილებები და დამატებები, კოდექსის ზოგიერთი მუხლი ახალი რედაქციით არის ჩამოყალიბებული, კოდექსს დაემატა ცამეტი ახალი მუხლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებით გაუქმდა კოდექსის 25¹ მუხლი, სადაც მოცემული იყო მძიმე დანაშაულის ჩამონათვალი. ამ დანაშაულის ცნება და ის დანაშაულობანი, რომლებიც მიეკუთვნება მძიმე დანაშაულს, მოცემულია კოდექსის ახალ მე-8¹ მუხლში, რომელშიც მძიმე დანაშაულთა წრე უფრო გაფართოებულია, კოდექსში შეტანილი დამატებების და ცვლილებების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამავე ბრძანებულებით

სრულიად ახალი რედაქციითაა ჩამოყალიბებული კოდექსის 25-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის ახალი რედაქციით, შრომა-გასწორების კანონმდებლობის შესაბამისად, დადგინდა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა განცალკევებულად მოთავსება სქესის, ასაკისა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. მასში მოცემულია შრომა-გასწორების დაწესებულებების სახეები და ის პრინციპები, თუ რა დანაშაულის ჩამდენი პირი რომელი სახის რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში უნდა იქნას მოთავსებული. მსჯავრდებულისათვის დანიშნული შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის შეცვლას აწარმოებს სასამართლო სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის საფუძვლითა და წესით.

ცვლილებები და დამატებები შეტანილია კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-12, 28-ე, 39-ე, 44-ე, 46-ე, 54-ე, 55-ე, 57-ე, 63-ე და 64-ე მუხლებში. ზოგად ნაწილს დაემატა ახალი 54¹ მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია პირთა წრე, რომელთა მიმართაც არ გამოიყენება ვადადგე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა.

საოჯახო და საქორწინო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით, რომლითაც სისხლის სამართლის წესით დასჯადად იქნა აღიარებული შვილად აყვანის საიდუმლოების გამოძევა, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს დაემატა ახალი 125¹ მუხლი.

კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილს დაემატა აგრეთვე 165¹ მუხლი, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ვაჭრობის მომწესრიგებელი წესების დარღვევისათვის; 165² მუხლი, რომლითაც

დადგენილია პასუხისმგებლობა ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების მცირე რაოდენობით შესყიდვის, გაყიდვისა და გაცვლისათვის; 173² მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ანგარების მიზნით სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას; 227¹ მუხლი — კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესების დარღვევის თაობაზე; 234¹ მუხლი — პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება; 251¹ მუხლი — წყალსატევებისა და ჰაერის გაბინძურება, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას; 252¹ მუხლი — ნარკოტიკულ და სხვა ძლიერ მოქმედ და მხამიან ნივთიერებათა გატაცება; 252² მუხლი — ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება; 253³ მუხლი — ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება; 252⁴ მუხლი — იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედობანი ადრე სისხლის სამართლის წესით არ იდგენებოდა, მაგრამ რადგანაც ისინი საკმაოდ გავრცელდა, მშრომელთა კოლექტივების და კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე, კანონმდებელმა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობად აღიარა.

არსებითი ხასიათის ცვლილებებია შეტანილი კოდექსის 122-ე, 165-ე, 169-ე, 176-ე, 206-ე, 230-ე, 234-ე, 251-ე, 252-ე, 253-ე და 254-ე მუხლებში, ბევრი მათგანი ახალი რედაქციით არის ჩამოყალიბებული.

პირველადი წყარო, რომელშიც გამოქვეყნებულ იქნა კოდექსში შეტანილი ცვლილებები და დამატებები მოცემულია ცალკეული მუხლების ბოლოში (ფრჩხილებშია ჩასმული).

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კოდექსის მუხლობრივმა მასალებ-

მაც. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განვლილი პერიოდის განმავლობაში გააუქმა ადრე მიღებული დადგენილებები, ცალკეული კატეგორიის საქმეებზე ახალ დადგენილებების მიღებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი სახის დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების შესაბამისად სასამართლო პრაქტიკის შესწავლასთან დაკავშირებით იმ საკითხებზე, რომელზედაც პლენუმს ადრე არ ჰქონია მიღებული დადგენილება, მიღებულია დადგენილებები. ძირითადად იყვება ახალი დადგენილება, ან ის ცვლილებები და დამატებანი, რაც განიცადეს ადრე მიღებულმა დადგენილებებმა შეტანილია მუხლობრივ მასალებში.

ტექნიკური მიზეზების გამო ზოგიერთი მათგანის შეტანა ვერ მოხერხდა მუხლობრივ მასალებში, მაგრამ მასში პარაგრაფის სახით მითითებულია დადგენილების სათაური და საკითხი, რომელზეც იგი იქნა მიღებული და მითითებულია წყარო, რომელშიც იგი არის გამოქვეყნებული (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახალ გამოცემაში შეტანილია ის ცვლილებები და დამატებები, რომელიც მასში შევიდა 1972 წლის 1 ოქტომბრამდე. იგი გამოვიდა ქართულ ენაზე ოცდაათი ათასი ეგზემპლარი, რუსულ ენაზე კი — ათი ათასი. ასეთი დიდი ტირაჟით სისხლის სამართლის კოდექსის არცერთი გამოცემა არ გამოსულა და, ვფიქრობთ, იგი მთლიანად დააკმაყოფილებს მათზე ჩვენი საზოგადოების მოთხოვნას.

მკითხველებს და სისხლის სამართლის კოდექსით მოსარგებლებს ვთხოვთ თავიანთი შენიშვნები მიაწოდონ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რაც უთუოდ გათვალისწინებული იქნება შემდგომი გამოცემისას.

გ. ვიზნაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

თბილისის სახალგაოო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის*

პროფ. ს. ჯორჯანიძე

ლ. ანდრონიკაშვილი 1919 წლის დასაწყისიდან 1920 წლის ივლისამდე იყო ქალაქ ტულაში უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი. კითხულობდა ლექციებს ახალ ფილოსოფიაში.

1920 წლის სექტემბრიდან 1921 წლის სექტემბრამდე ლ. ანდრონიკაშვილი მოსკოვშია და, როგორც სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, კითხულობს სასამართლო მკვებრეტყველების კურსს.

ლ. ანდრონიკაშვილის ბიოგრაფიის ეს მოკლე მიმოხილვაც, როგორც ვხედავთ, სავსებით ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის სიტყვების სიზუსტეს, რომ ლ. ანდრონიკაშვილს ადვოკატის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად „არც ფილოსოფიისა და არც თეორიული იურიისპრუდენციისათვის თავი არ დაუწებებია და რუსეთში გაითქვა სახელი როგორც განათლებულმა თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა“.

საბჭოთა საქართველოში ლ. ანდრონიკაშვილი 1921 წლის 5 სექტემბერს ჩამოვიდა და მეორე დღესვე, 6 სექტემბრიდან დაიწყო მისი დიდი მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტში. უპირველესად, როგორც აღვნიშნეთ, საქირი იყო სპეციალური იურიდიული დისციპლინების წაკითხვა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ხეკონომიო დარგზე. ეს ლ. ანდრონიკაშვილის ჩამოსვლამდე ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგის სასწავლო გეგმაში 1918 წლიდანვე იყო იურიდიული კურსები შეტანილი.

პირველად თბილისის უნივერსიტეტში სწორედ ლ. ანდრონიკაშვილს დაევალა სპეციალური იურიდიული დისციპლინების წაკითხვა. ამასთან მან გააჩაღა ფართო მუშაობა იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზაციისათვის. გასაგებია, რომ ლექტორთა სიმცირე და ახალი მეცნიერული კადრების მომზადებისათვის დროის უკმარისობა დიდად ართულებდა ახალი საზოგადოებისათვის იურისტთა კადრების მომზადების

საქმის დაწყებას. 1922 წლის 15 მარტს პედაგოგიური ფაკულტეტის (იგი შეიქმნა სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად) სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის მიერ დასმული იქნა საკითხი საზოგადოებრივი ფაკულტეტის დაარსების შესახებ. (როგორც ცნობილია, საბჭოთა უნივერსიტეტებში ამ დროს არსებობდა რამდენიმე ზემანითარული ფაკულტეტის გაერთიანების შედეგად — საზოგადოებრივი ფაკულტეტები). ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ავალეებს მომხსენებელს პროფ. ლ. ანდრონიკაშვილს და პროფ. ფ. გ. გოგინიაშვილს მოხსენების წარმოდგენას ამ საკითხის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს 17 მაისის სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ახალი ფაკულტეტის გეგმა და მიღებული იქნა დადგენილება სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის დაარსების შესახებ. არჩეული იქნა კომისია გეგმის განსახილველად. კომისიაში, გარდა ლ. ანდრონიკაშვილისა და ფ. გოგინიაშვილისა, შედიოდნენ: შ. ნუცუბიძე, მ. პოლივექტოვა და გ. გესტამია. 1922 წლის 7 აქსისის სხდომაზე კომისიამ წარმოადგინა მოხსენება ფაკულტეტის გეგმისა და შტატების შესახებ და პროფესორთა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა გამოეთხოვათ განათლების კომისარატისაგან ამისთვის საჭირო თანხები. ახალი ფაკულტეტი შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით, რომელმაც ჯერ კიდევ 1921 წლის 25 ივლისს დააყენა უნივერსიტეტის რეფორმის საკითხი და მომგლისათვის გაითვალისწინა სხვა ფაკულტეტის არსებობა. მათ შორის დასახელებული იყო სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1921 წლის 29 ივლისს განიხილა რექტორის სახელზე მიღებული განათლების კომისარატის წერილი და დაადგინა: „პროფესორთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის დაარსება და მისი მოწყობის გეგმას

* დასასრული. დასაწყისი იხ. კურს. „საბჭოთა სამართალი“, 1973 წ. № 4, გვ. 55—69.

უნივერსიტეტის საბჭო მოკლე ხანში შეიმუშავებს.“

პედაგოგიურ ფაკულტეტზე განხორციელებული ის ღონისძიებანი, რომელსაც წარმართავდნენ პროფესორები ლ. ანდრონიკაშვილი და ფ. გოგინაშვილი, გულისხმობდა განათლების კომისიის ამ მითითების სორცტუების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო 1922 წლის 16 ივნისის სიბრძნისმეტყველების (პედაგოგიური) ფაკულტეტის 7 ივნისის შუამდგომლობის საფუძველზე აღგენს „დაარსდეს უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი სოციალურ და ეკონომიურ მეცნიერებათა ცალკე განყოფილებებით“. საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტი. საკითხი ერთხმად არ გასულა. მის სახარგებლოდ სპამისცა 17 წევრმა, ექვსი წინააღმდეგი გამოვიდა. დამახასიათებელია, რომ იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტის ამგვარად შექმნის წინააღმდეგი იყო თვით უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავჭავაძე. მან საკიროდ მიიჩნია მისი განსაკუთრებული აზრი შენისვის სახით დართვოდა ოქმს. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1922 წლის 16 ივნისის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „პროფ. ფ. ჭავჭავაძე ვილი წინააღმდეგია ახალ ფაკულტეტში საეკონომიო მეცნიერებათა განყოფილება შედიოდეს. იგი ფიქრობს, რომ საეკონომიო მეცნიერებანი ისეუ ხიბრძნისმეტყველებების ფაკულტეტის წიაღში უნდა დარჩეს, როგორც მისი ერთ-ერთი დარგი, ვინაიდან: საეკონომიო მეცნიერებანი როგორც წმინდა თეორიული მეცნიერების დარგები უფრო ბუნებრივად ხიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დარგებს ეკუთვნის, ვიდრე ნორმატიული (იურიდიული მეცნიერებათა) დარგებს. ამიტომ არის, რომ ხიბრძნისმეტყველების მეცნიერებასთან მეზობლობა საეკონომიო დარგებისათვის ვადილებით უფრო ხელსაყრელია უნდა ჩაითვალოს ვიდრე მეზობლობა იურიდიული მეცნიერებათა დარგებთან“. ივანე ჭავჭავაძის კარგად ესმოდ რომ ყველაზე სახურველი იყო დამოუკიდებელი ეკონომიური ფაკულტეტის შექმნა, მაგრამ იგი წუხილით დასძენდა: „ჩვენს უნივერსიტეტში არ მოიხილება იმდენი ძალები, რომ მან შესძლოს ცალკე მთელი საეკონომიო განყოფილების სათანადოდ მოწყობა“. პროფესორთა საბჭომ ხმების უმრავლესობით (17-6 წინააღმდეგ) არ გამოიარა უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ფ. ჭავჭავაძის თვალსაზრისი ვართიანებული იურიდიული და ეკონომიური ფაკულტეტის შექმნის წინააღმდეგ.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავის 1922 წლის 16 ივლისის დადგენილებაში აყუ-

ნებს საკითხს შემუშავდეს წინააღმდეგანი მომავალი სექტემბრიდან ახალი ფაკულტეტის ექვსი სემესტრის განხის შესაძლებლობის შესახებ.

1922 წლის 7 ივნისის სხდომაზე პედაგოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო გეგმავდა სამი კურსის ერთად განხის. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1922 წლის 16 ივნისის დადგენილების შემდეგ პედაგოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ 1922 წლის 21 ივნისს გადაწყვიტა განხილიყო მხოლოდ ორი კურსი (1 სემესტრი). 1922 წლის 24 ივნისს პედაგოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ირჩევნ სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის პირველ დეკანს. პროფ. შ. ი. ნუცუბიძეა ახალშექმნილი ფაკულტეტის პირველი დეკანი, ფაკულტეტის მდივნობა ლოც. გ. ნათაძეს დევალა.

სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა 1922 წლის 14 ივლისს შედგა პროფ. შ. ნუცუბიძის თავმჯდომარეობით. ახალშექმნილი ფაკულტეტის სასწავლო გეგმა თანდათან უსტდება და 1922 წლის ოქტომბრისათვის იგი უკვე შედარებით სტაბილურ სახეს იღებს, ისე რომ შესაძლებელია სტუდენტებს საჭაროდ ვაცნონ. გეგმა სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლების სრული კურსისათვის ითვალისწინებდა ოთხ წელიწადს ანუ 8 სემესტრს. სრული კურსის დასრულებისას დიპლომის მისაღებად მსმენელს მეცხრე სემესტრის დამდეგს ან არა უგვიანეს მეცხრე სემესტრის დასასრულისა გამოყოფილი კომისიისათვის უნდა ჩაეზარებინა სოციალური დარგის სახით უპირი გამოცდებში შემდეგ საგნებში: სამართლის თეორია, სახელმწიფო სამართალი, სადამინისტრაციო სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სასამართლო პროცესი, სავაჭრო-სამრეწველო და საგარარო სამართალი, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური ეკონომია, საფინანსო მეცნიერება და სტატისტიკა. ეკონომიური დარგის მსმენელს კი ვვალეობდა ჩაებარებინა შემდეგი იურიდიული დისციპლინები: სახელმწიფო სამართალი, სადამინისტრაციო სამართალი, სავაჭრო-სამრეწველო და საგარარო სამართალი, საერთაშორისო სამართალი.

დიპლომის მისაღებად, ვარდა უპირი გამოცდისა, საჭირო იყო იმვე ვადაში სადილოში თხზულების წარდგენა, რომელი თემის გამოცხადელი იღებდა სათანადო პროფესორისაგან.

უკეთუ უპირი გამოცდა, ან თხზულება ან ირივე ერთად შეფასებოდა არაღამაყ-მაყოფილებლად, მსმენელს უფლება ჰქონდა ერთი სემესტრის განხლისას ხელმეორედ და



უკანასკნელად ჩაებარებინა ზეპირი გამოცდა იმ საგნებში, რომლებშიც სუსტი აღმოჩნდა და ამავე ვადაში წარედგინა ახალი თხზულება დაწუნებულის ნაცვლად. დიპლომში აღნიშნებოდა სოციალ-ეკონომიური ფაქულტეტის კურსის დასრულება დარგის აღნიშვნით — სოციალური, ან ეკონომიური.

გეგმით პირველი ორი სემესტრის — პირველი კურსის საგნები საერთო იყო ორივე დარგის მსმენელთათვის. ლექციების გარდა სამართლისა და საეკონომიო-სასტატისტიკო სემინარებში გათვალისწინებული იყო სავალდებულო პრაქტიკული ვარჯიშობა.

პირველ კურსზე ორ სემესტრში გათვალისწინებული იყო ორივე დარგის მსმენელთათვის შემდეგი საგნები: სამეცნიერო მეთოდოლოგია, ფსიქოლოგია, კულტურის ზოგადი ისტორია, სამართლის თეორია, პოლიტიკური ეკონომია, სოციოლოგია.

მესამე და მეოთხე სემესტრებში სოციალურ დარგის სტუდენტებს უნდა წაეთხოვდათ: პოლიტიკურ და სოციალურ მოძღვრებათა ისტორია, სტატისტიკა, სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ქართული სამართლის ისტორია, რომის სამართლის ისტორია, ბიზანტიის სამართლის ისტორია. მეხუთე და მეექვსე სემესტრებში კი: სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, საადმინისტრაციო სამართალი, სავაჭრო-სამრეწველო და სააგარო სამართალი, საფინანსო მეცნიერება, რუსეთის სამართლის ისტორია.

მეშვიდე და მერვე სემესტრებში სოციალური დარგის მსმენელებს ლექციები ეკითხებოდათ: სამოქალაქო სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის პროცესში, საერთაშორისო საჯარო სამართალში, სასამართლო მედიცინაში, მამუდიანთა სამართალში, სომხურ სამართალში; იმ პირთ, რომლებმაც სპეციალობათ აირჩიეს სისხლის სამართალი ნაცვლად ბოლოს დასახელებული საგნებისა უნდა ჩაებარებინათ სპატიმრო საქმე და კრიმინალური ფსიქოლოგია. სამართლებრივი დისციპლინები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ეკონომიური დარგის მეორე, მესამე და მეოთხე კურსებზეც. ამ დარგების სტუდენტებს II კურსიდან დამთავრებამდე უნდა მოესმინათ: სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საადმინისტრაციო სამართალი, სავაჭრო-სამრეწველო და სააგარო სამართალი, საერთაშორისო სამართალი.

ამ სასწავლო გეგმის განხორციელების გზაზე ბევრი სირთულე გაჩნდა.

ყველაზე მთავარი იყო ის, რომ ცალკეულ საგნებში არ იყო ლექტორთა კადრები. უკვე 1922 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტის პრო-

ფესორთა საბჭო ამტკიცებს სოციალ-ეკონომიური ფაქულტეტის შემდეგ სასწავლო განრიგს და ლექტორთა კოლეგიაში:


1. სამეცნიერო მეთოდოლოგია — პროფ. შ. ნუცუბაძე
2. სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია — პროფ. შ. ნუცუბაძე
3. ფსიქოლოგია — პროფ. დ. უზნაძე
4. საქართველოს ეკონომიური ისტორია — პროფ. ივ. ჯავახიშვილი
5. ქართული სამართლის ისტორია — პროფ. ივ. ჯავახიშვილი
6. სამართლის შეხავალი (სამართლის თეორია) — დოც. ლ. ანდრონიკაშვილი.
7. სამოქალაქო სამართალი — დოც. ლ. ანდრონიკაშვილი
8. პოლიტიკური ეკონომია — პროფ. ფ. გოგინაიშვილი
9. რომის სამართალი — პროფ. ა. ლაშა-როვი
10. სტატისტიკა — პროფ. ფ. გოგინაიშვილი
11. ბიზანტიის სამართალი — პროფ. კ. კეკელიძე
12. ახალი დროის სოციალ-ეკონომიური ისტორია — პროფ. მ. პოლიევქტოვი
13. კულტურის განვითარების ისტორია — პროფ. გ. ჩუბინაშვილი.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის ყველაზე სახელოვანი ძალები ჩაებნენ სოციალ-ეკონომიურ ფაქულტეტის მოღვაწეობაში.

პროფ. ა. ქუთათელაძეს და პროფ. ვ. ულენტს დაევალით შესაბამისად სასამართლო ქიმიისა და სასამართლო მედიცინის კურსების წაკითხვა.

გარედან მოწვეულ იქნა პროფ. ა. ს. ლაშა-როვი. იგი ჯერ კიდევ 1922 წლის 11 ივლისს სიბრძნისმეტყველებას ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭომ მოიწვია რომის სამართლის კურსის წასაკითხად.

სახელგანთქმული ცივილისტი პროფ. ა. ს. ლაშა-როვი (1850-1926 წ.წ.) წარმოშობით თბილისელი იყო. იგი XX საუკუნის რევოლუციამდელი რუსული იურისპრუდენციის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია. 1917 წლიდან დაბრუნდა თბილისში. კითხულობდა სამოქალაქო სამართალს და სამართლის ენციკლოპედიათა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიურ ფაქულტეტზე. ერთხანს იყო ამ ინსტიტუტის რექტორიც. თბილისში მოღვაწეობის წლებში მან გამოაქვეყნა სამართლის ენციკლოპედია (1919 წ) და სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (1922 წ). თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-



ეკონომიურ ფაკულტეტზე მოწვევის შემდეგ მან წაიკითხა კერძო სამართლის ინსტიტუტების ისტორია და შედარებითი სამართლის კურსები. პროფ. ა. ს. ლაშარავი თავის დიდი ერუდიციას დაუზარებლად გადასცემდა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც ცივილისტიკაში იწყებდნენ მოღვაწევობას.

სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის არსებობის პირველ წლებში ძირითადი იურიდიული კურსების წაკითხვა ლ. ნ. ანდრონიკაშვილს დაეკისრა. ის კითხულობდა სამართლის თეორიის, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლისა და სასამართლო პროცესის, სავაჭრო სამართლის და სხვა კურსებს. სპეციალისტი იურისტთა სიმცირე აიძულებდა ლ. ნ. ანდრონიკაშვილს დაეწყო სალექციო კურსების წაკითხვა სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ეს აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის.

ლ. ანდრონიკაშვილი ღრმა იურიდიული განათლებისა და ფართო ფილოსოფიური ერუდიციის მქონე მეცნიერი იყო და ამასთან დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც ჰქონდა. მაღალმეცნიერულ, მაღალესთეტიკურ და ორატორულ დონეზე წაკითხული მისი ლექციები წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა სხვა ფაკულტეტის მსმენელებზეც.

იმ პერიოდში ფართოდ გაიშალა ლ. ნ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის სოციალური დარგისათვის მაღალ განათლებული ლექტორების, სწავლული იურისტების შესარჩევად. ახალი მეცნიერული ძალების მოხვედის კვლობაზე პროფ. ლ. ნ. ანდრონიკაშვილი მათ უთმობდა თბილისის უნივერსიტეტში მის მეერ პირველად წაკითხულ ზოგიერთ სამეცნიერო კურსს. ასე მოხდა მას შემდეგ, რაც მოწვეული იქნა აღ. ვაჩიშვილი. მას გადაანდო ლ. ნ. ანდრონიკაშვილმა სამართლის თეორიის წაკითხვა, ხოლო გ. ნანეიშვილს მისი დაბრუნების შემდეგ — სამოქალაქო სამართლის კურსის წაკითხვა.

1922 წლის 22 დეკემბრიდან სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის შუამდგომლობით უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სოციოლოგიის ლექტორად მოიწვია ალექსანდრე ვაჩიშვილი.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ვაჩიშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1886 წლის აპრილში. 1904 წელს იგი ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას და იმავე წელს მიემგზავრება საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. სწავლობდა ბრიუსელის, პარიზის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1908 წელს ავადმყოფობის გამო ბრუნდება სამშობლოში და შედის ოდესის უნივერსიტეტის იურიდი-

ულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1912 წელს ამთავრებს პირველი ხარისხის დიპლომით, სამართლის კანდიდატის წოდებით. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას გიმნაზიაში. 1921 წელს კონკურსის წესით არჩეული იქნა ლექტორად ოდესის სახალხო განათლების ინსტიტუტში.

1922 წლიდან გარდაცვალებამდე — 1964 წლამდე განუწყვეტელიც მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში. 1923 წელს მან გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი „სოციოლოგიის შესავალი“. კითხულობდა ლექციებს სამართლის თეორიაში. ამ დისციპლინაში მას რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. უნივერსიტეტში წლების მანძილზე მიჰყავდა სისხლის სამართლის კურსი. 1931 წლიდან სიკვდილის ბოლო დღემამდე იყო სისხლის სამართლის კათედრის გამგე. მას ერთ-ერთ პირველს ქართველ იურისტებიდან 1946 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მეცნიერული კადრების შერჩევა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისათვის უნივერსიტეტის დამაარსებელმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის გახსნისთანავე დაიწყო. სხვანაირად საკითხი ვერც გადაწყდებოდა. ამასთან ნიჭიერ ახალგაზრდებს საპროფესოროდ მოსამზადებლად ევროპის უნივერსიტეტებში აგზავნიდნენ. თბილისის უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში ყველაზე მეტი პირი საპროფესოროდ მოსამზადებლად სწორედ იურიდიული ფაკულტეტისათვის შეიჩჩა.

გ. ა. ნანეიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულთა შორის. იგი პირველი იურისტია, რომელიც დატოვა თბილისის უნივერსიტეტმა საპროფესორად მოსამზადებლად 1918 წლის 1 აგვისტოდან. უფრო ადრე, 1917 წლის 16 ოქტომბერს პეტროგრადის უნივერსიტეტის საბჭომ იგი საპროფესორად მოსამზადებლად დატოვა ამ სახელოვან უნივერსიტეტში.

გ. ნანეიშვილი დაიბადა 1894 წლის 16 აგვისტოს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1912 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი მუშაობდა პროფესორების ტუგან-ბარანოვსკისა და პეტრაჟიციის სამეცნიერო წრეებში. 1917 წელს აირჩიეს პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის წრის თავმჯდომარედ, რომელსაც უნივერსიტეტის დამთავრებამდე ხელმძღვანელობდა. 1917 წლის დასასრულს იგი ბრუნდება საქართველოში.

1918 წლის 3 ოქტომბერს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო იხილავს სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის კათედრა-



ზე საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებული ვიორჯი ნანეიშვილის თხოვნა — ნებადართონ გაემგზავროს იგი სწავლის ვასაგრძელეზად გერმანიაში (ლაიპციგში) და მიეცეს შესაფერისი ნივთიერი დახმარება. საბჭო აღგენს გაგზავნოს გ. ნანეიშვილი საზღვარგარეთ და მიეცეს თვეში 600 მანეთი. ივანე ჯავახიშვილი გ. ნანეიშვილს როგორც საპროფესორად მოსამზადებლად დატოვებულ პირს აძლევს სპეციალურ ცნობას, რათა ცალკეულმა პირებმა და ორგანიზაციებმა საჭირო დახმარება აღმოუჩინონ უცხოეთში გამგზავრებაში. მისი გაგზავნა საზღვარგარეთ გაძნელდა და მხოლოდ 1920 წლის დანაწესში მოხერხდა. იგი 1920 წლის 21 იანვარს ჩავიდა გერმანიაში, ფრაიბურგში. აქ იგი ისმენდა ფილოსოფოს ჰუსერლის ლექციებს ლოგიაში და აგრეთვე ლექციებს სამართლის თეორიაში. ამავე დროს ეცნობოდა ახალ იურიდიულ ლიტერატურას და ამზადებდა შრომას, რომლის წარდგენას აპირებდა თბილისის უნივერსიტეტში. მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაეცვა დისერტაცია მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტში (რაც 1927 წელს განახორციელა კიდეც).

1922 წლის პირველ მარტიდან იგი ბერლინშია და ისმენს პროფესორ შტამლერის ლექციებს. 1923 წლიდან 1926 წლის სექტემბრამდე გ. ნანეიშვილი პარიზში ვანაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას. 1926 წლის დანახარულს დაბრუნდა თბილისის უნივერსიტეტში და აქ დაიწყო მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს გ. ნანეიშვილს, ისე როგორც ყველა სხვა გაგზავნილს მრავალი მატერიალური სიმძლეე შესვდა.

გ. ნანეიშვილმა სამშობლოსა და მეცნიერების სიყვარულისათვის რაინდულად გადაიტანა ეს სიმძლეეები, დაბრუნდა სამშობლოში და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა ეროვნულ უნივერსიტეტს. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა გ. ნანეიშვილს, იცნობდა რა მას ჯერ კიდევ პეტროგრადის უნივერსიტეტიდან როგორც დიდი მომავლის იურისტ-მკვლევარს. უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი შთაგონებით წერდა ერთ-ერთ თავის ბარათში გ. ნანეიშვილს, რომ გმირულად გადაიტანა უკიდურესი მატერიალური გაჭირვება და ცოდნით სავსე დაბრუნებულიყო სამშობლოში.

„დიდად პატივცემული ბატონო ვიორჯო, თქვენი წერილი მივიღე და მღელვარებით გადავიკითხე თქვენი გულწრფელი სულისკვეთებითა და ღირდით განსმკვალული სტრქონებით. გარწმუნებთ, რომ უცხოეთის უნივერსიტეტებში მყოფ მოსწავლენ ახლგაზრდობისა და მითუმეტეს ჩვენი უნივერსიტეტიდან დატოვებულ

და წარვლენილ პირთა გაჭირვებული მდგომარეობა მაწუხებს და მოსვენებას არ მაძლევს, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის რის გამოგზავნაც თქვენთვის ყოველთვიურად ჩვენ შეგვიძლიან მანდ საცხოვრებლად სრულებით სამყოფი არ არის, მაგრამ ამიერკავკასიის ბონების ფასი ისე საშინლად ეცემა, რომ ინგლისურ ფულად სულ უფრო და უფრო ნაკლები ოდენობა დგება თქვენი თვითური სარგოს დახურდავების დროს. სათანადო ორგანოების წინაშე ჩვენი ავადმრავთ შეამდგომლობას, რომ თქვენი თვითური სარგო გადადებული იყოს და იქმედი მაქვს, რომ თქვენი ქონებრივი მდგომარეობის ცოტა მაინც გაუმჯობესებას მოვახერხებთ.


მე გთხოვთ ყოველგვარი გაჭირვების მიუხედავად გული არ გაიტხნოთ და მხნედ განაგრძოთ თვენი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის სამუდამის იმისდა მიუხედავად, რომ თქვენი ფკულტეტის პროგრამაში ზოგიერთი ცვლილებებია შეტანილი მთავრობის მოთხოვნის გამო, მეცნიერ იურისტები ჩვენს უნივერსიტეტს და საქართველოს მაინც ძალიან სჭირდება და თქვენც უნივერსიტეტში შესაფერის სამოღვაწეო ასპარეზს მოგიძებნით. ეცადეთ მხოლოდ რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანად გაეცნოთ ფრანგული იურიდიული მწერლობას და დამსაღებული დისერტაციით ჩამოგვიხვიდეთ, რადგან მათის დამღვეამდის პარიზში იქნებით, ჯერ თქვენთვის ნებაართვის აღება ნაადრევია და მარტში შევუდგებით ამას. თქვენ თვითურ სარგოს ნიორამეს ვუგზავნი ბერლინში, რომელიც პარიზში გადმოგიგზავნით. იყავით ჯანმრთელად, გულგაუტეხავად.

მრავალ გაჭირვებისდა მიუხედავად ჩვენი უნივერსიტეტი იზრდება და მდიდრდება. ახალგაზრდობას 4500-მდე სტუდენტს კვლავ სწავლის დიდი ხალხის ეტყობა. სამეცნიერო მუშაობა არ შეწყვეტილა. ეს კარგი მაჩვენებლებია.

ვისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს. თქვენი წარმატების და ბედნიერების მოსურნე ივ. ჯავახიშვილი“.

ეჭვი არ არის, რომ ამგვარი მზარდაჭერა და გულისხმობერება დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის მიერ ყოველმხრივ აღიერიებდა სამშობლოში დაბრუნებისა და ერის სამსახურის სურვილს.

1923 წლის 20 თებერვლიდან საერთაშორისო სამართლის კათედრაზე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიწვია ღრმად განათლებული სწავლული იურისტი და ფილოლოგი ერეკლე ტატიშვილი. ე. დ. ტატიშვილი დაიბადა 1884 წლის 15 აგვისტოს სოფ. სანებელში (ბორჯომის რაიონი). სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ



განჯის გიმნაზიაში. 1904 წ. შევიდა ლაიფციგის უნივერსიტეტში, სადაც ექვსი სემესტრის განმავლობაში სწავლობდა ფილოსოფიურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე. 1908 წელს მამის ავადმყოფობის გამო დაბრუნდა სამშობლოში. რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობისათვის იგი დაპატიმრეს და რამდენიმე თვეს იჯდა გორის ციხეში. იმავე წელს მამა გარდაიცვალა. 1907 წელს სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრეს ათი თვით, შემდეგ იგი იძულებულია არაღლეღურად იცხოვროს საქართველოში. აქ იგი კერძო მასწავლებლობას ეწევა. 1910 წელს ე. ტატიშვილი კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ. სწავლობდა ჯერ მონბელიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა თავისუფალ სკოლაში. ერთდროულად სწავლობდა ინგლისურ ენას. სკოლა დაამთავრა 1913 წელს და გაემგზავრა ინგლისში უორნალისტიკური საქმიანობის შესასწავლად. მას სტიპენდიით უზრუნველყოფდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ქართველი ინჟინერი დ. ჯორჯაძე. იმპერიალისტურმა ომმა მას ბრიუსელში მოუხწრო, სადაც იგი დროებით იმყოფებოდა და ცხოვრობდა ქართველი საზოგადო მოღვაწის თ. სასოკის ბინაში. მთელ ქართველ კოლონიასთან ერთად იგი გადავიდა კონსტანტინოპოლში და ასწავლიდა პანას-კებრეს კოლეჯში. საქართველოში მხოლოდ 1918 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა და გორის გიმნაზიაში ახალ ევროპულ ენებს ასწავლიდა. გორის მიწისძვრის შემდეგ გადავიდა თბილისში საცხოვრებლად, სადაც ასწავლიდა ქართულ გიმნაზიაში. ამ დროისათვის მან დაწერა შრომები „ოსმალეთის პოლიტიკური ძლიერება და დაქვეითება“, „მონროს დოქტრინა“, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ასწავლიდა სხვადასხვა სასწავლებლებში ახალ ენებსა და ლიტერატურას. პირველმა თბილისის უნივერსიტეტში წაიკითხა საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის კურსები, დიპლომატიური სამართალი. წლების განმავლობაში განაგრძობდა საერთაშორისო სამართლის კათედრას. ამასთან ერთად იგი არის გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების მეცნიერული სწავლების ფუძემდებელი თბილისის უნივერსიტეტში. უკვე 1906 წლიდან ერეკლე ტატიშვილი მუშაობდა ქართულ უორნალ-გაზეთებში. მან დამუშავა ქართული სკოლებისათვის ინგლისური ენის სახელმძღვანელო. 1923 წლიდან ასწავლიდა ინგლისურს, გერმანულს და ფრანგულს თბილისის უცხო ენების უმაღლეს კურსებზე. ე. ტატიშვილი იყო დასავლეთ ევროპის


ენებისა და ლიტერატურის გამოჩენილი სპეციალისტი. მას ეკუთვნის ვ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“, ბ. შოუს „ცეზარი და კლეოპატრას“ და მ. გორკის „იგორ ბულიჩევისა და სხვ.“ და სხვ. მაღალმატერული თარგმანები. ე. ტატიშვილმა თარგმნა აგრეთვე ჩ. ღარცინის „სახეთა წარმოშობა“.

1934 წლიდან გარდაცვალებამდე — ე. ი. 1948 წლამდე იყო უცხო ენების კათედრის გამგე თბილისის უნივერსიტეტში, სადაც ფართო მასშტაბით გაიშალა მისი ნატი მკვლევარისა, ფილოლოგიის სპეციალისტისა და მეცნიერული კადრების უნიჭიერის აღმზრდელისა.

სახელმწიფო სამართლის კათედრაზე 1923 წლის 27 თებერვალს მოიწვიეს ირ. აპ. სურგულაძე.

ირ. სურგულაძე დაიბადა 1892 წლის 16 მაისს, ყოფილი რაჭის მაზრის სოფელ ხვანკარაში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თბილისში. შემდეგ, 1912 წელს შევიდა პეტერბურგის ფსიქოლოგიური ინსტიტუტში. აქ მოისმინა საერთო-საგანმანათლებლო ციკლი, 1914 წელს კი ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1918 წლის 23 აპრილს იგი იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად სახელმწიფო სამართალში პროფ. ლ. შალაღთან. 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში და ცხოვრობდა სოფელში მშობლებთან. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1921 წელს დაიწყო მუშაობა ქონში, რაჭის მაზრის რევკომის იუსტიციის განყოფილების გამგის თანამდებობაზე. საპროფესოროდ მოსამზადებლად ირ. სურგულაძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე საბჭომ დატოვა პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის წარდგინებით. 1922 წლის 30 ივნისს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ლ. ანდრონიკაშვილი წერდა: „ვეშუამდგომლობ ფაკულტეტის წინაშე დატოვებულ იქნეს უნივერსიტეტთან პროფესორობისათვის მოსამზადებლად სახელმწიფო სამართალში, ერთი წლის ვადით სტიპენდიით იურიდიული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იროდიონ სურგულაძე, რომელმაც ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება ნიჭიერისა და საფუძვლიანად მომზადებული ახალგაზრდისა. იმედი მაქვს ერთი წლის განმავლობაში ის გამოცდებხაც ჩააბარებს და ღიბერტაციასაც დაამუშავებს. ასე რომ შედარებით მოკლე ხანში ჩვენს მცირერიცოვან იურისტთა წრეს ერთი მომზადებული წევრი შეემატა“.

ირ. აპ. სურგულაძემ ვაამართლა პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის იმედები. მან 1923-24 წლებში „ფრიაღზე“ ჩააბარა სადოქტორო გამოც-



დები სახელმწიფო, ადმინისტრაციულსა და ხერ-
თაშორისო სამართალში. 1925 წელს გამოაქ-
ვეყნა, ხოლო 1927 წლის 27 ნოემბერს დაიცვა
სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ხელისუფ-
ლება და სამართალი“. ეს იყო ერთ-ერთი პირ-
ველი დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში
დაცული იურისტის მიერ (იმავე წელს დაიცვა
დისერტაცია გ. ნანეიშვილმა). 1923 წელს სო-
ციალ-დემოკრატიულმა ფაკულტეტმა ირ. სურგუ-
ლაძე მიიწვია ლექტორად სახელმწიფო სამარ-
თალში, ხოლო 1925 წელს — ადმინისტრაციულ
სამართალში და ფაქტობრივად განაგებდა სახელმ-
წიფო და ადმინისტრაციული სამართლის კა-
თედრას.

1923 წლის 24 ოქტომბერს სამოქალაქო სა-
მართლის ლექტორად არჩეული იქნა გ. ს.
რცხილაძე. იგი უნივერსიტეტში სწორედ პროფ.
ლ. ნ. ანდრონიკაშვილის წინადადებით მოიწ-
ვიეს.

გ. ს. რცხილაძე დაიბადა 1876 წ. თელავის
მაზრის სოფელ შაშინაში. თბილისის ვაჟთა
მეორე კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შე-
დეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1899
წელს დაამთავრა. იმავე წელს დაბრუნდა სა-
ქართველოში და ჩაება ნაფიც-ვეჰილთა კოლე-
გიუმში. აქ მან გაშალა ფართო ურთნაღისტუ-
რი მოღვაწეობა. არის მრავალი ლიტერატურ-
რულ-პუბლიცისტური წერილების ავტორი.
უმეტესად აქვეყნებდა „ზანგის“ ფსევდონი-
მით. აქტიურად მონაწილეობდა გ. ს. რცხი-
ლაძე ქართულ კულტურულსა და საგანმანათ-
ლებლო საზოგადოების მოღვაწეობაში. მისი
ინიციატივით დაარსდა ქართული „სტიჟვაკა“-
შული მწერლობის საზოგადოება“.

გ. ს. რცხილაძე გულმშურვალედ შეხვდა ივანე
ჭავჭავაძის ინიციატივით 1917 წელს გაშ-
ლილ სახალხო მოძრაობას ქართული უნივერსი-
ტეტის გასახსნელად. ივანე ჭავჭავაძილი გ. რცხი-
ლაძეს ჰერ კიდევ სტუდენტობის დროიდან იცნო-
ბდა. ივ. ჭავჭავაძილი სარგებლობდა გ. რცხი-
ლაძის კონსულტაციით უნივერსიტეტის გახს-
ნის ნებართვაზე სამართლებრივი საკითხების
გარკვევისას. გ. რცხილაძე იყო უნივერსიტეტის
დაარსების საზოგადოების გამგეობის წევრი.

გ. რცხილაძე გარდაცვალებამდე 1934 წლამ-
დე (დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვა-
წეთა პანთეონში) კითხულობდა სამოქალაქო
სამართლის კურსს. მან გამოაქვეყნა რამდენიმე
მეტად საინტერესო გამოკვლევა სამოქალაქო
სამართალში.

უცხოეთში გაგზავნილთა შორის ყველამ რო-
დი გაუძლო სიძნელეს და უმძიმეს მატერია-
ლურ გაჭირვებას. 1919 წლის 1 ივნისს სამო-

ქალაქო სამართალში საპროფესოროდ მოსამ-
ზადებლად დატოვებულ იქნა ყაზანის უნივერ-
სიტეტის კურსდამთავრებული მოსე შანიძე,
საფინანსო სამართალში უნივერსიტეტის საბჭომ
1918 წლის 8 ნოემბერს დატოვა ვლ. ემხვარ-
ი. ისინი მივილინებულ იქნენ საზღვარგარეთ.
მათ იქ უღარესად მწვავე მატერიალური სიძ-
ნედეები შეექმნათ. უმძიმეს მატერიალურ და
სულიერ მდგომარეობას აღწერს თვითონ
ვლ. ემხვარი წერილში უნივერსიტეტის რე-
ქტორის ივ. ჭავჭავაძის სახელზე, რომელსაც
იგი გერმანიიდან 1923 წლის 8 ნოემბერს გზა-
ვინს.

„ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესო-
რო!

გიგზავნით რა განათლების კომისარიატის
სახელზე თხოვნას, უმორჩილესად გთხოვთ იგი
თქვენის დასკვნით შემოხსენებულ კომისარია-
ტს გადაუგზავნოთ და თანაც მასში აღნიშნულ
თხოვნას მხარი დაუჭიროთ. საქმის დასაჩქარე-
ბლად გთხოვთ საგარეო ვაჭრობის კომისარია-
ტთან შეთანხმებით ფულის ჩემთვის გადმოცე-
მა ამ კომისარიატის წარმომადგენელს ბერ-
ლინში, ბ-ნ გ. მგალობლიშვილისათვის დაავა-
ლებიოთ. თუ ამახოზაში ჩვენ მიერ ნათხოვნა
გზის ფული გამოგზავნილი იქნა, გთხოვთ ბ.
პროფესორო, დაჩქარების ნებართვა გამოგზავ-
ნოთ ამ ფულის გამოყენებისა იმ მიზნისათვის,
რომელიც ჩემ შემოხსენებულ თხოვნაში კომი-
სარიატისადმი აღნიშნულია.

ბევრი ტანჯვა გადავიტანე, ბატონო პროფეს-
სორო, თანაც აუტანელი წნეობრივი დამცი-
რებაც, მაგრამ ჩემთვის ერთად-ერთი ნუგეში
იყო მომავალში უნივერსიტეტში მოღვაწეობა.

თუ კი, ბატონო პროფესორო ჩემი თხოვნა უყ-
ურადღებოთ იქნა დატოვებული და ამით ეს
უკანასკნელი ნუგეშიც გამიქარწყლდა, მე ამა-
საც ავიტან ბატონო პროფესორო, მხოლოდ
გთხოვთ პასუხი მაინც დაჩქარებით შემატყო-
ბინოთ. ვინაიდან მე ავადმყოფობის გამო ბევ-
რი დრო დავკარგე, გთხოვთ ჩემი საკითხი ცა-
ლკე დასვათ და დანარჩენ უნივერსიტეტის
სტიპენდიანტების საკითხს არ დაუკავშიროთ,
ვინაიდან მათთვის ესლა მხოლოდ ერთად ერ-
თი აქტიუალური საკითხია — უკან დაბრუნება
და უნივერსიტეტის წინაშე თავის მოვალეობს
მოსნა. იმედია, რომ უნივერსიტეტი მისცემთ
სამისო საშუალებას მათ, ვისაც ეს სურს და
დაბრუნების საქმეს მოაგვარებს.

თქვენი მორჩილი ვლადიმერ ემხვარი“.

საბოლოოდ მ. შანიძე და ვლ. ემხვარი კა-
პიტულაციის ახდენენ სიძნელეთა წინაშე, ისი-



ნი ჩამოშორდნენ მეცნიერებას, აღარ დაბრუნებულან საქართველოში და მათი ნიჭი უსარგებლო აღმოჩნდა სამშობლოსათვის.

ქართველმა სტუდენტობამ, როგორც მოსალოდნელი იყო დიდი ინტერესი გამოიჩინა ახალგაზსნილი სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტისადმი. ახალი ფაკულტეტის გახსნისთანავე აქ გაღარიცხენ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ის მსმენელნი, რომელნიც 1—4 სემესტრი ირიცხებოდნენ საეკონომიო დარგზე. ცალკე განისაზღვრა იმ სტუდენტთა მდგომარეობა, რომელთაც კიდევ მეტი სემესტრი ჰქონდათ მოსმენილი და საგნები ჩაბარებული.

ძირითადი შევსება სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტისა ხდება, რა თქმა უნდა, ახალმოდებულთა ხარგზე, აგრეთვე სხვადასხვა ფაკულტეტებიდან გადმოსულების ჩარიცხვით.

1928 წლის იანვრისათვის, ე. ი. უნივერსიტეტის არსებობის 5 წლისთავზე უნივერსიტეტში 4196 სტუდენტი ირიცხებოდა; მათ შორის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე მისი არსებობის პირველ სემესტრშივე — 745 კაცი, ამათგან 565 — საეკონომიო დარგზე, ხოლო 180 იურიდიულ (სოციალურ) დარგზე. პირველი სასწავლო წელი უკვე აყენებს სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტზე ახალი სასწავლო დისციპლინებისა და კურსების დამატების საკითხს, რაც შემდეგი სასწავლო წლიდან მრავალ მხრივ ხორციელდება.

1928 წელს გაიმართა დეკანატის არჩევნები. დეკანად პროფ. დ. უზნაძეს ირჩევენ, მდივნად ალ. ვაჩიშვილს.



ლეჩხსაბ ანდრონიკაშვილი შავკაზმაღ ზეკოჩისშთა ნინაალმღე

პროფ. თ. წერეთელი, ე. მისპარიანი

რუსეთის მემარცხენე პოლიტიკური ადვოკატურის წარმომადგენლები ზოგჯერ სასამართლოში გამოდიოდნენ არა როგორც დამცველნი, არამედ როგორც ბრალმდებელნი. ეს იყო მაშინ, როცა საბრალდებო სკამზე ისხდნენ შავკაზმელები, ეგრეთ წოდებული „რუსი ხალხის კავშირის“ («Сюзь русского народа») წევრები, უანდარმერისა და პოლიციის მოხელენი. ლ. ანდრონიკაშვილმა რამდენიმე ასეთ საქმეში მიიღო მონაწილეობა. ფორმალურად იგი გამოდიოდა როგორც სამოქალაქო მოსარჩლის წარმომადგენელი, არსებითად კი სამოქალაქო მოსარჩლის კათედრას იყენებდა მეფის მოხელეების ტერორისტული საქმიანობის მხილებისათვის. ერთ-ერთი ასეთი პროცესი, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, იყო „რუსი ხალხის კავშირის“ საბრძოლო რაზმის მეთაურის იუსკევიჩ-კრასკოვსკის საქმე. იუსკევიჩ-კრასკოვსკის ბრალად ედებოდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის მ. გერცენშტეინის მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელობა.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს დაშლისთანავე მეფის ხელისუფლება მიმართავდა ტერორისტულ აქტებს არა მარტო რევოლუციონერების, არამედ აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს იმ შედარებით ზომიერი წევრების მიმართაც, რომლებიც უფროსობრილ მონებად ვერ გადააქცია და თავისი მიზნების განსახორციელებლად ვერ გამოიყენა. შავკაზმელთა ტერორისტული საქმიანობის პირველი მსხვერპლი პროფ. მ. გერცენშტეინი გახდა. ეს იმით აიხსნება, რომ მან სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიასზე 1906 წლის 19 სექტემბერს წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც მოითხოვა მემამულეთა მიწების ექსპროპრიაცია და მათი გლე-

ხობისათვის გადაცემა. კერძოდ, მან თქვა: „მემამულეებმა კი არ უნდა დააკმაყოფილონ გლეხები, არამედ სახელმწიფომ. ჩვენ მას ვურდგენთ მოთხოვნას — დააკმაყოფილოს გლეხობა. თუ ვინმეს უნდა დაეკისროს მოვალეობა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, — ეს უნდა იყოს სახელმწიფო და მხოლოდ სახელმწიფო!“ და შემდეგ: „რადან ელოდებით? თქვენ გასურთ, რომ ხანძარი მოედოს მთელ რიგ გუბერნიებს?! იქნებ თქვენ გეცოტავებათ შარშანდელი მაისის ილუმინაციების გამოცდილება, როდესაც სარატოვის გუბერნიაში ერთი დღის განმავლობაში 150 მეურნეობა განადგურდა? შეუძლებელია ეხლა ისეთი ზომების გამოყენება, რომელთა შესრულებას ხანგრძლივი დრო უნდა, საჭიროა სასწრაფო ღონისძიება და ასეთი სასწრაფო ღონისძიება — იძულებითი გასხვისება...“¹

მ. გერცენშტეინი მოკლეს 1906 წლის 18 (21) ივლისს ფინეთის სოფელ ტერიოკში, სადაც იგი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად ისვენებდა.

მკვლელობა შემდეგ გარემოებებში მოხდა: საღამოს 8 საათზე გერცენშტეინი, თავის ცოლთან და ქალიშვილთან ერთად, გამოვიდა სასტუმრო „ბელვედერიდან“ და ჩვეულებისამებრ ზღვის ნაპირისაკენ გასასეირნებლად გაემართა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, გაისმა სროლის ხმა. გაისროლეს ორჯერ. ერთი ტყვია მოხვდა გერცენშტეინს, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო მეორე ტყვიით მისი ქალიშვილი ხელში დაიჭრა. 1 აგვისტოს სასტუმრო „ბელვედერიში“ მოვიდა პაკეტი შემდეგი მისამართით: „პაკეტი გამოგზავნილი იყო ამავე დღეს. მასში აღმოჩნდა ბარათი, რომელზედაც გამოსახული იყო თავის ქალა და ქვემოდ მოთავსებული იყო წარწერა — «С.-Петербургская каморра

¹ ამონაწერი სახელმწიფო სათათბიროს მეთორმეტე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან დატულია ლ. ანდრონიკაშვილის არქივში; იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, II—66.

народной расправы». საქმე ფინეთის (კიუვენების მაზრის) სასამართლოს უნდა გაერჩია.² საქმის გამოძიებას და განხილვას მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლებამ ცდილობდა ხელი დაეფარებინა მკვლელობის მთავარი მონაწილეებისათვის და აეცდინა მათთვის პასუხისმგებლობა. იგი უგულებელყოფდა ფინეთის სასამართლოს მოთხოვნას გადაეცათ მისთვის მთავარი დამანაშავენი. ამიტომ საქმე რამდენიმე წლით გაჭიანურდა. მკვლელობის თანამონაწილეთა გამოვლინების კვალობაზე, ცალ-ცალკე სამი პროცესი ჩატარდა. თავდაპირველად, 1907 წლის აპრილში შეიპყრეს და გაასამართლეს მეორეხარისხოვანი თანამონაწილე ალექსანდროვი. ფინეთის სასამართლომ ვერ შესძლო ზუსტად დაედგინა მისი როლი ამ დანაშაულის ჩადენაში და დამტკიცებულად ცნო მხოლოდ მკვლელობის განუტყვადებლობა, რისთვისაც ალექსანდროვს მიუხაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი თვის ვადით. 1908 წელს ფინეთის პროკურატურაში ნებაყოფლობით გამოცხადდა მკვლელობის ერთ-ერთი უშუალო მონაწილე პოლოვნი. პოლოვნიც გამოცხადების მიზეზი ის იყო, რომ იგი ცდილობდა ხელიდან დასხლეთოდა „რუსი ხალხის კავშირის“ საბრძოლო რაზმულს, რომელმაც ვერ გამოიყენა რამდენიმე არაშავლა ტერორისტული აქტის ჩასადენად, შემდეგ კი გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა საშინო მოწყობები. მართლაც მ. გერცენშტეინის მოკვლის შემდეგ არ გახულა რამდენიმე დღე, რომ იპოვნეს მისი ერთ-ერთი მკვლელის „ოხრანკის“ თანამშრომლის კაზანცევის გვაში. მკვლელი პოლოვნიცაც მიუგზავნეს, მაგრამ იგი როგორღაც დაუსხლტა მას და კიუვენების სასამართლოში გამოცხადდა. ამჯობინა ფინეთის ციხეში ჩამჯდარიყო, ვიდრე თავისივე თანამშრომლებთან მსხვერპლი გამხდარიყო. პოლოვნი 1908 წლის ოქტომბერში გაასამართლეს. მან ყველაფერი აღიარა და მკვლელობის სხვა თანამონაწილეებიც დაასახელა. კერძოდ მიუთითა „საბრძოლო რაზმის“ უფროსზე იუსკევიჩ-კრასკოვსკოზე, როგორც მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელზე, რომელიც სხვა მკვლელებთან ერთად ჩავადა გერცენშტეინის მოხაკლავად ტერიოკში; პოლოვნიცა გათქვა აგრეთვე დუბროვინიც — „რუსი ხალხის კავშირის“ თავმჯდომარე და შავრაზმული გაზეთის „რუს-


კოე წინამის“ რედაქტორი, რომელიც შავრაზმელთა ტერორისტული აქტებისა და რბევთა მთავარი ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო. პოლოვნიც მიუხაჯეს თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით. 1909 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში რუსეთის მთავრობამ, როგორც იქნა, გადასცა ფინეთის სასამართლოს იუსკევიჩ-კრასკოვსკი, რადგან ვეღარ შესძლო დაემალა მისი მონაწილეობა მკვლელობაში. აგვისტოს დასაწყისშივე ფინეთის სასამართლოში გამოცხადდა ბრალის აღიარებით მკვლელობის კიდევ ერთი მონაწილე, ლარიჩკინი, რომელიც აგრეთვე ძლივს გადაურჩა მოკვლას. ვერ ჩაიგდეს ხელში მხოლოდ დუბროვინი. მეფის მთავრობა თავის ერთგულ მოხელეს ვერ ელევოდა.³

საქმის განხილვა დანიშნული იყო 1909 წლის 12 აგვისტოს. დაჯარალებულის — გერცენშტეინის ქვრივის ინტერესებს იცავდა გამოჩენილი პეტერბურგელი ნაფიცი ექვსი წარუდნი. ზარუდნიმ სხდომაზე წარადგინა ახსნა-განმარტება, რომელიც უტყუარ საბუთებზე იყო აგებული, და მოითხოვა „რუსეთის ხალხის კავშირის“ თავმჯდომარის დუბროვინის მიცემა პასუხისგებაში გერცენშტეინის მკვლელობისათვის. ამავე სხდომაზე ბრალდებულმა ლარიჩკინმა და მოწმებმა — „რუსი ხალხის კავშირის“ ყოფილმა წევრებმა დადასტურეს დუბროვინის მონაწილეობა არა მარტო გერცენშტეინის მკვლელობაში, არამედ მთელ რიგ ტერორისტულ აქტებში. ამიტომ ფინეთის (კიუვენების) მაზრის სასამართლომ საქმის განხილვა გადადო და მოთხოვა იუსტიციის მინისტრს ექვსიტანილი დუბროვინის იძულებით მოყვანა ფინეთის სასამართლოში. სხდომა გადაიდო 9 ოქტომბრისათვის. იუსტიციის მინისტრმა კიუვენების მაზრის სასამართლოს ამ სამართლიან მოთხოვნას უარით უპასუხა. ამით მას უნდოდა სასამართლოსათვის შესაძლებლობა მოესპო ემხილებინა მკვლელობის წამდელი ინიციატორები და სულისჩამდგმელები, ე. ი. არა მარტო „რუსი ხალხის კავშირის“ შავრაზმული ორგანიზაცია, არამედ პეტერბურგის ქალაქის მმართველი ლაუნციცი, პეტერბურგის პოლიტიკური პოლიცია (ყანდარმერია), და ბოლოს თვით უმაღლესი მთავრობაც, რომლებსაც ხელი ჰქონდათ გაცვრილი ამ საქმეში.

ამრიგად, 9 ოქტომბერს საქმე გაიჩა უღუმ-

² რუსეთის „ძირითადი სახელმწიფო კანონების კრებულის“ თანახმად ფინეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის ვანუყოფელ ნაწილად ითვლებოდა, მაგრამ ამავე დროს თავის შინაგან საქმეებს განაგებდა განსაკუთრებული კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი საგანგებო წესის თანახმად.

³ იხ. В. Водовозов. Финляндский суд и дело об убийстве Герценштейна. «Право» от 6 сентября 1909 г., № 36, столб. 1907—1908.



როვინოდ, თუმცა, როგორც დავინახავთ, ფართო საზოგადოებისათვის დუბროვინისა და სხვათა „მოღვაწეობა“ მინც აშკარა გახდა.

ამგერად სამოქალაქო მოსარჩილის წარმომადგენლად, ზარულდნის მაგიერად, ლ. ანდრონიკაშვილი გამოდიოდა. ამ საქმეში მემარცხენე ადვოკატის მონაწილეობა განპირობებული იყო, რა თქმა უნდა, არა დაზარალებულის ქონებრივი ინტერესების დაცვის სურვილით (სამოქალაქო სარჩილი წარდგენილი იყო 10 მანეთზე), არამედ მეფის მთავრობისა და მისი ერთგული მოხელეების შავნინელი საქმიანობის საქვეყნოდ გამომწეურების განზრახვით. და მართლაც, იუსკევიჩ-კრასკოვსკის პროცესი, ლ. ანდრონიკაშვილის გაბედული და თავდადებული ბრძოლის წყალობით, მეფის რეჟიმის უღიბობედ მხილვად გადაიქცა. საბრალდებო სკამზე იჯდა არა ერთი გაკორტრებული და ფულის შოვნის მანიით შეპურობილი აზნაური, ნაძირალა და წენი-დაცემული იუსკევიჩ-კრასკოვსკი, არამედ მთელი თვითმპურობელობის გახრწილი რეჟიმი.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში მდიდარი მასალა მოიპოვება ამ საქმეზე. აქ ვხვდებით ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის ხელნაწერს, პროცესის ანგარიშს სხვადასხვა მიმართულების გაზეთებში — «Новая Русь», «Речь», «Биржевые ведомости» და სხვ. ყოველივე ეს საქმოდ ნათელ წარმოდგენას ვვაძლევს მთელ პროცესზე და მასში ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობაზე.⁴ გარდა ამისა, პროცესის ზოგიერთი მხარე გაშუქებულია მოხსენებით ბარათში, რომელიც ანდრონიკაშვილს წარუდგენია ნაფიც ვეჟილთა საბჭოს სახელზე იუსკევიჩ-კრასკოვსკის დამცველის — ნიკიტინის მიერ ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური საქმის გამო.

კერძოდ, ამ მოხსენებით ბარათში ნათქვამია: „გასული წლის 9 ოქტომბერს სასამართლო სხდომა კიუვენების სასამართლოში შემდეგ გარემოებებში გაიხსნა: სასამართლოს შენობასთან იდგა პოლიციის გამდიერებული რაზმი, რათა ხელი შეეშალათ „რუსი ხალხის კავშირის“ მხრივ მოსალოდნელი დემონსტრაციისათვის. სასამართლოს მოხსენდა, რომ იუსტიციის მინისტრმა უარი თქვა დუბროვინის იძულებით მიყვანაზე კიუვენების სასამართლოში. ეს უარი იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ წინასწარ იცოდა და ამიტომ იმედი შეეცა, რომ ფინეთის სასამართლო მასაც არ გაასამართლებდა. სასამართლო სხდომის განხილვის მან წაიკითხა თავისი ახალი ჩვენება, რომელშიც იგი ... პირდაპირ თავს ესხმოდა

თავის ბრალმდებლებს. თუ მისი მტკვლი ჩვენება წარმოდგენდა დანაშაულში მონაწილეობის რამდენადმე შენიღბულ აღიარებას, თავის ახალ ჩვენებაში იგი უკვე მთელ ბრალდებას არაკეთილსინდისიერ ცილისწამებად აცხადებდა.⁵

იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ და მისმა დამცველმა ნაფიცი ვეჟილის თანაშემწემ ნიკიტინმა სასამართლოში ისეთი პოზიცია აირჩიეს, თითქოს გერცენშტეინი მოკლეს სოციალ-დემოკრატებმა, რათა შემდეგ მკვლელობა „რუსი ხალხის კავშირისათვის“ გადაებრალდებინათ და ამით მისი მოღვაწეობისათვის ჩირქი მოეცხვით. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესისათვის ნიადაგი მათ წინასწარ მოამზადეს. სახელდობრ, როცა მკვლელების ბანდა — კაზანცევი, პოლოვნიევი, ლარიჩკინი, ალექსანდროვი და სხვ. ტერიოკში ჩვიდნენ, სასტუმროში ისინი ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს რევოლუციონერები იყვნენ. სასტუმროს თანაშორიელს ბრონსლავ იანოვიჩს ასე უთხრებს — სოციალ-დემოკრატები ვართ და ფინეთში იმითომ ჩამოვდით, რომ ჯაშუშებს ვუთვალთვალოთო. როგორც იანოვიჩმა სასამართლოში განაცხადა, იგი მასინვე მიხვდა, რომ ეს პირები სტუჟოდნენ, სოციალ-დემოკრატები კი არა, ჯაშუშები და „ოხრანის“ წევრები იყვნენ. — მათ ისიც კი არ იცოდნენ, — თქვა მოწმემ, — თუ ვინ იყო ლუნაჩარსკი. ვანა შეიძლება, სოციალ-დემოკრატებს ლუნაჩარსკის სახელი არ სცოდნოდათ? მთი უმეტეს, რომ სწორედ იმ დღეებში ფინეთის სასამართლოში ლუნაჩარსკის პროცესი მიმდინარეობდა.

მაგრამ იუსკევიჩ-კრასკოვსკის წინააღმდეგ ფაქტები დალაგებდნენ. უკვე წინა პროცესებიდან (ალექსანდროვის, პოლოვნიევის) დადგენილი იყო, რომ გერცენშტეინის მკვლელობის წინა დღეებში სოფელ ტერიოკში ჩამოვიდა ბანდიტების დიდი ჯგუფი (პოლოვნიევი, ლარიჩკინი, კაზანცევი და სხვ), რომელიც თვალყურს ადევნებდა გერცენშტეინს. ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო ბრალუნიებებით, დანებით და ყუმბარებით; ტანზე ჯავშანი ეცვათ. სასტუმროში მაგიდაზე მათ უნახეს შავსოლიანი ბარათი, რომელზედაც ამობეჭდილი იყო თავის ქალა და ეწერა: «С.-Петербургская каморра народной расправы». სწორედ ასეთივე ბარათი იპოვნეს გერცენშტეინის მკვლელობის ადგილას და ასეთივე ბარათი მიიღო გერცენშტეინის მეუღლემ მკვლელობის დღეს. აღსანიშნავია, რომ კაზანცევის მკვლელობის ადგილზედაც მკვლელებმა ეს „სავიზიტო ბარათი“ დატოვეს.

⁴ იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, II—36.

⁵ იქვე, II—66.



თვით ბრალდებულთა (პოლოვნიევის, ლარიჩკინის) და მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ მკვლელობის წინა დღეს ტერიოკში ჩამოვიდა იუსკევიჩი-კრასკოვსკი, რომელიც იმავე სასტუმროში გაჩერდა, სადაც სხვა მკვლელები. მას დახვდნენ და დიდხანს ესაუბრნენ ზანდის წევრები, ხოლო მკვლელობის დღეს იუსკევიჩი-კრასკოვსკი სადგურში ელოდებოდა და პეტერბურგში მათთან ერთად დაბრუნდა. პოლოვნიემა და ლარიჩკინმა აჩვენეს აგრეთვე, რომ გერცენშტეინის მკვლელობისათვის ფული მათ იუსკევიჩი-კრასკოვსკიმ მისცა. მანვე უყიდა ტანსაცმელი; თვითონაც დიდი თანხა ჩაიჭიბა. იუსკევიჩი ცდილობდა ყოველივე ამის უარყოფას, მაგრამ მას პირზე დაადგინ ბრალდებულნი ლარიჩკინი და მოწმეები — „რუსი ხალხის კავშირის“ ყოფილი წევრები — პრუსაკოვი, იაკოვლევი და სხვები.

მიუხედავად უტყუარი საბუთების არსებობისა, იუსკევიჩი ჭიუტად განაგრძობდა მტკიცებას, რომ გერცენშტეინი მოკლა „სოციალდემოკრატმა“ კაზანცევმა, რომ კაზანცევს იგი არც იცნობდა და პირველად ნახა ტერიოკში, რომ მისი კაცები თვალუფრს ადევნებდნენ კაზანცევს, მაგრამ კაზანცევმა ისინი მოატყუა და ა. შ.

იუსკევიჩი და მისი დამცველი განსაკუთრებით ცდილობდნენ ამ საქმიდან „კავშირის“ მთავარი საბუთს თავმჯდომარე დუბროვინი გამოეთიშათ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „კავშირის“ საერთოდ არავითარი საბრძოლო რაზმები არა ჰყავს. მართალია, ფაბრიკა-ქარხნებში მეფის ერთგულმა პირებმა შექმნეს თავდაცვის ორგანიზაციები, რომლებსაც „კავშირის“ მტრები „საბრძოლო რაზმებს“ უწოდებდნენ, მაგრამ ამ ორგანიზაციებს მიზნად ჰქონდათ მხოლოდ ბრძოლა გაფიცვების წინააღმდეგ და რევოლუციონერთა თავდასხმის მოგერიება. იუსკევიჩი-კრასკოვსკი, უდავო მტკიცებულებათა ზეგავლენით, ძიუღებულნი იყო ელიარბინა, რომ ეს იარაღი და ჭავჭავები მან პეტერბურგის ქალაქის მმართველის დაუნიცისაგან მიიღო. მან ისიც ვერ უარჰყო, რომ გერცენშტეინის მკვლელობის შემდეგ დიდხანს იმალეობოდა და დუბროვინისაგან ყოველთვის უარად დახმარების სახით 100 მანეთს ღებულობდა. დაბოლოს აღიარა ისიც, რომ მას უფრო ადრე უნდოდა წამდგარიყო ფინეთის სასამართლოს წინაშე, ვითომდა თავის გამართლების მიზნით, მაგრამ დუბროვინმა ეს მას არ უარჩია. და მაინც იგი ჭიუტად უარჰყოფდა როგორც დუბროვინის, ისე თავის მოწმეობას გერცენშტეინის მკვლელობაში.

გაუთი „ნოვია რუს“ 1909 წლის 11 ნო-

ემბერს ასე აღწერს ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლას ფინეთის სასამართლოს წინაშე:

„ნაფიცი ვეჟილი ლ. ნ. ანდრონიკოვი აცხადებს, რომ მისი სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება: 1) ბრალდების ფორმულირება და 2) პროცესის დასასაითება.

ბრალდების ფორმულირება:

ფინეთის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სამოქალაქო მოსარჩელე კითხულობს ბრალდების ფორმულირებას დაწერილი ქალაქის მიხედვით. ლ. ნ. ანდრონიკოვი თავის სიტყვას იმით იწყებს. რომ განსახჯელი იუსკევიჩი-კრასკოვსკი და დუბროვინი ერთმანეთთან ვანუქვეტლივ კავშირში არიან. ამას თვით იუსკევიჩი-კრასკოვსკის ჩვენებაც ადასტურებს. მან ხომ განაცხადა, — როდესაც დავპირე ფინეთის სასამართლოში გამოცხადებულნიყავი, დუბროვინმა მე ეს არ მიჩიოა.

რა გულამაჩუყებელი ერთსულოვნებაა და ამავე დროს როგორი მორჩილება საბრძოლო რაზმის მეთაურისა „კავშირის“ თავმჯდომარისადმი“.

უწყებების მიხედვით ბრალდების ფორმულირება ასეთი იყო:

„1. დუბროვინმა მოაწყო საბრძოლო რაზმი, მოამარაგა იგი იარაღით და ჭავჭავებით. დუბროვინი იყო ერთადერთი პატრონი „რუსეთის ხალხის კავშირის“ შენობისა, სადაც ინახებოდა ფეთქებადი ნივთიერებანი. და თუ საბრძოლო რაზმეული „სახალხო ანგარიშსწორების კამორა“, რომლის მიზნები წერილობითი დოკუმენტებით სავსებით დადასტურებულია, — სწორედ დუბროვინია მისი შემქმნელი“.

„გადაღის რა მსჯავრდებულ — ალექსანდროვისა და განსახჯელი ლარიჩკინის ახსნა-განმარტებაზე, — განაგრძობს გაუთი, — ანდრონიკოვი იმ დასკვნამდე მიდის, რომ დუბროვინმა იცოდა დანაშაულის შესახებ, დაკავშირებული იყო ბოროტმოქმედებთან როგორც თანამონაწილე და ამიტომ მაღავედა მკვლელებს, რომლებიც დაიყოლია დანაშაულის ჩასადენად მატერიალური გამორჩენის დაპირებით. შემდეგ იგი აღწერილობით ჩერდება იუსკევიჩი-კრასკოვსკის ჩვენებაზე, რომელმაც განაცხადა, რომ დუბროვინმა წარმატება უსურვა თავის თანამშრომლებს, როდესაც ისინი ტერიოკში მიემგზავრებოდნენ. ხოლო რა საქმეში უნდა ყოფილიყო ეს წარმატება, — ეს ცხლა ძალიან კარგად ვიცით. დუბროვინმა „დალოცა“ მოკავშირეები, რომლებიც დანაშაულზე მიდიოდნენ, მაშასადამე, იგი მოწმეობას იღებდა დანაშაულში“.

ისეთი აღმანიის მოძებნა, რომელიც 15 ათა-



სი მანეთისათვის გერცენშტეინის მკვლელობას იყისრებდა, — ვანა ეს საუკეთესო საბუთი არ არის იმისი, რომ დუბროვინის სურს დაჰზაროს თავისი დანაშაული გერცენშტეინის მკვლელობაში, დაჰზაროს საკუთარი უშიშროებისთვის.

ყოველივე აღნიშნულის გამო სამოქალაქო მოსარჩელემ ბრალი დასდო:

იუსკევიჩ-კრასკოვსკის — „რუსი ხალხის კავშირის“ საბრძოლო რაზმის უფროსს, — რომ მან, სხვა პირებთან წინასწარი შეთანხმებით, მატერიალური გამორჩენისა და ფულით დაპირებით დაიყოლია სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვ. ი. გერცენშტეინის მოსაკლავად კაზანცევი, ლარიჩკინი, პოლოვნიევი და სხვები, თანაც ხელმძღვანელობას უწევდა აღნიშნული პირების მოქმედებას;

დუბროვინს — „რუსი ხალხის კავშირის“ მთავარი საბჭოს თავმჯდომარეს, — რომ მან იუსკევიჩ-კრასკოვსკის მეშვეობით დაიყოლია ლარიჩკინი, პოლოვნიევი და კაზანცევი მკვლელობის ჩასადენად, მისცა ამისათვის ფულადი თანხა, ხოლო მკვლელობის შემდეგ იღებდა დონისძიებებს, რათა დაეფარა როგორც ჩადენილი დანაშაულის კვალი, ისე დამნაშავე პირები“.

გაზეთი გვამცნობს, რომ წერილობით წარდგნილი ბრალდების წაკითხვის შემდეგ სამოქალაქო მოსარჩელემ დაახასიათა გერცენშტეინის ყველა მკვლელი და „რუსი ხალხის კავშირი“ როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.

— ვინ მოკლეს? — კითხულობს ანდრონიკოვი.

— მოკლეს პირველი პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი წევრი, რომელზედაც თვით ლარიჩკინმაც კი თქვა, რომ იგი გლეხებსა და მიწას იცავდაო. და აი, ამ გლეხმა ლარიჩკინმა და მასთან ერთად სხვებმაც, იუსკევიჩ-კრასკოვსკის ზეგავლენით, მასზე ხელი აღმართეს.

როცა იუსკევიჩის ახასიათებდა, ბრალმდებელმა აღნიშნა:

— ეს არის ადამიანი, რომელმაც ადრე დეკარგა თავისი კაპიტალი, ადამიანი, რომელსაც თავი მოაქვს თავისი აწანაწარმით, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მთელი სიცოცხლე ოცნებობს კაპიტალზე და მყუდრო მამულზე, რადაც არ უნდა დაუჭდეს მათი შოვნა. ასეთი ადამიანები მზად არიან თავისი მიწის განსახორციელებლად დანაშაულიც კი ჩაიდინონ, მათ ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

პოლოვნიევი — ეს შუშისთვალა კაცი? ვანა იგი სიმბოლო არ არის „ოხრანის ფბიზელი თვალისა“, რომელიც ფულისათვის ყველაფერს ჩაიდენს, მკვლელობასაც კი, როგორც ეს მან დამამტკიცა გერცენშტეინის მოკვლით.

დუბროვინი? — იგი თავს გვაჩვენებს, თითქოს დღისმოსავლი წყნარა მოსტვი იყოს და ყოველ ნაბიჯზე ქრისტეს ახსენებს. მას პირზე აკერია მართლმადიდებლობა და ხალხურობა, თითონ კი დაცინის ერთსაც და მეორესაც. შეხედეთ, ბატონებო, ამ ფიგურას, რომელიც ყოველ დღე ლოცულობს და ამავე დროს გზას უღლიცავს მკვლევებს, როცა ისინი თავისი სისხლიანი საქმის ჩასადენად მიდიან.

აი, ამ კვარტეტისაგან შედგება „სახალხო ანგარიშსწორების“ დანაშაულებრივი „კამორა“ ან სხვაგვარად — მკვლელობის ბანდა.

ეს ბანდა საუკუნეების განმავლობაში ახრჩობს რუსეთის ხალხს, ახრჩობს და ხმის ამოდების უფლებასაც არ აძლევს.

ესლა კი, როცა ამ ბანდის ერთ-ერთი წევრი აქ არის, როცა მიუხედავად ყოველგვარი მფარველობისა, იგი ვერ დაუტყრა სასამართლოს, მეფულემა მაქვს მოვთხოვო სასამართლოს ისეთი განაჩენი, რომელიც, როგორც მეხი, დასწავს ყველანა, ვის სინიღისედაც არის პროცესორ მ. ი. გერცენშტეინის ნათელი პიროვნების მოსპობა“.

ამის შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„თავისი შესანიშნავად დასაბუთებული და მგზნებარე სიტყვა ლ. ანდრონიკოვმა იმით დაამთავრა, რომ მიუთითა იუსკევიჩის ორტიფობაზე სასამართლოში: ერთის მხრივ, მას ეშინა სასჯელისა და ცლილობს როგორმე თავი დააღწიოს ამ საქმეს თავისი თანამშრომლებების, მფარველებისა და თანამდგომების გაცემით. მეორე მხრივ სურს შეინარჩუნოს კარგი დამოკიდებულება „მოკავშირეებთან“, რომლებისაც აგრეთვე ეშინა, და ამიტომ მათ ქათინაურებით ამკობს. ომ! იუსკევიჩის რომ „მოკავშირეებისა“ არ ეშინოდეს, ბევრ რამეს იტყუოდა“.

სტატიაში ნათქვამია იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ლ. ანდრონიკოვილის სიტყვას ბრალდებულზე და მის დამცველ ნიკიტინზე მოუხდენია: „იუსკევიჩ-კრასკოვსკი და მისი დამცველი ნიკიტინი ისე იყვნენ დარტყანილებული იმ ბრალდებებით, რომლებიც ლ. ანდრონიკოვილიმა წამოაყენა, რომ დიდხანს არ იცოდნენ, რა ემოქმედათ და ბოლოს ნახვეარსათთან შესვენიება ითხოვეს. თანაც ნიკიტინმა განაცხადა, რომ იგი არანაკლებ მჭევრმეტყველებრად ილაპარაკებს, ვიდრე ანდრონიკოვი, რომელიც ტაშით დააჭილდოვეს, მაგრამ ამისათვის მოსამზადებელი დროა საქიროო“.

თავის დამატებით გამოსვლაში, ანდრონიკოვილიმა, გარდა იმისა, რომ მოითხოვა მკაცრად დაესაჯათ იუსკევიჩ-კრასკოვსკი, როგორც გერცენშტეინის მკვლელობის წამქეზებელი და უშუალო ორგანიზატორი, დასძინა:

„ვინაიდან საქმეში მოიპოვება მასალები, რომლებიც მიუთითებენ, რომ დუბროვინი იყო მკვლელობის წამქეზებელი, ვთხოვთ საქმე ამ ნაწილში გადავლოთ და შეადგინოთ განჩინება, რათა დუბროვინი და პატიმრებულ იქნეს როგორც ბრალდებული“.

იუსტიციის-კრასკოვსკიმ, დარწმუნებულმა, რომ ფინეთის სასამართლო მას განართლებს, თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა გენთავისუფლებიან დაუყოვნებლივ, განაჩენის გამოტანისთანავე, როგორც ეს მიღებულია რუსეთის სასამართლოებში, ვინაიდან პატიმრობა ცუდად მოქმედობს მის განმრთელობაზე“. მაგრამ იუსტიციის მოლოდინი არ გაუმართლდა: ფინეთის სასამართლომ მას მიუსჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა (მოსარჩულბელ სხლში); უნდა ითქვას, რომ იუსტიციის საპრობილემში დიდხანს არ დარჩენილა: მეფემ თავის ერთგულ მსახურს დანაშაული აპატია და მალე გამოუშვა.

დუბროვინს, მიუხედავად ფინეთის სასამართლოს დადგენილებისა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, გასამართლება ასცდა.

მთელი პროცესის განმავლობაში ბრალდებულ იუსტიციის-კრასკოვსკის და მის დამცველს ნიკიტინს თავი მტად გამომწვევად და თავზედურად ეჭირათ. უკვე პირველხავე ახსნა-განმარტებაში, რომელიც იუსტიციისმა 9 ოქტომბრის სხდომის გახსნისთანავე ფინეთის სასამართლოს წერილობით წარუდგინა, იგი თავს ესმოდა საოქალაქო მოსარჩელს. ხოლო, რადგან მანამდე საოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლად ზარუდნი გამოდიოდა და იუსტიციის არ ელოდა მის შეცვლას, მისი წერილობითი წარდგინება ზარუდნის დანაშაულებით იყო სახე. იგი ახასიათებდა ზარუდნის, როგორც ფლიდ ადამიანს, რომელიც „სპეკულიანტობს მიცვალებული გერცენშტიინის სახელით“, ადამიანს, „რომელმაც სინილისი და რწმენა ფინეთის საზღვარზე დატოვა“. განსაკუთრებით გაცოფდნენ იუსტიციის და ნიკიტინს, როდესაც ზოგიერთმა მოწმემ — „რუსი ხალხის კავშირის“ ყოფილმა წევრებმა — პროსაკოვმა, იაკოვლევა და სხვებმა მისცეს ჩვენება იუსტიციისა და დუბროვინის წინააღმდეგ. პროსაკოვს ჩვენების გასაბათილებლად ნიკიტინმა განაცხადა, რომ პროსაკოვი ნაწყენია დუბროვინზე, რომელმაც იგი სამსახურიდან განათავისუფლა, იგი მტერია „რუსი ხალხის კავშირის“, პირადი მტერია დუბროვინისა და ამიტომ მისი სიტყვებმა სანდო არ არის. თანაც ნიკიტინმა მოითხოვა დაერთოთ საქმისათვის პროსაკოვის კომედია — „დოქტორის ზუბროვინი“, რომელიც დუბროვინის ცილის-

წამებას წარმოადგენს. მოსამართლემ ნიკიტინს თხოვნა არ დააკმაყოფილა. მან მიუთითა, რომ ამჟამად ირჩევა არა დუბროვინის. არამედ იუსტიციის-კრასკოვსკის საქმე და ამიტომ პროსაკოვის წიგნს ამ საქმესთან კავშირი არა აქვს.

ამის შემდეგ, როგორც იმდროინდელი გაზეთები იუწყებიან, ადგილი ჰქონია ასეთ ინციდენტს: როცა ნიკიტინმა პროსაკოვი დაახსიათა როგორც უმადური ადამიანი, რომელმაც თავის მფარველს დუბროვინს ბოროტად გადაუხადა მისი ამაგი, სრულიად მოულოდნელად და უადგილოდ მან წარმოიტვა ზარუდნის შესახებ, როგორც ჩანს, წინასწარ მომზადებული სიტყვები: „თუცა ის, რაც აქ ხდება, არ უნდა გავივივარდეს. რატომ არ უნდა ჩააფურთხოვ პროსაკოვმა იმ „ქაში“, რომელიც მას კვებავდა, როცა არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ადამიანებს მგლის ბილითთ პროსაკოვრადან აგდებენ და ამის შემდეგ მათ ადვოკატურაში იღებენ“... ნიკიტინის ამ უმსგავსო განცხადებას მტად აღუვლევებია ანდრონიკაშვილი, რომელიც წამომხტარა ადგილიდან და განუცხადებია, რომ ის ნებას არ მისცემს ნიკიტინს ასეთი სიბინძურე ილაპარაკოს პეტერბურგის ნაფიც ვეჟილთა საბჭოზე და ნაფიც ვეჟილზე ზარუდნიზე, რომელიც ველრე საპროკურორო შედამხედველობაში მოშაობდა, პროკურატურის მშვენება იყო, ხოლო ამჟამად რუსეთის ადვოკატურის მშვენება და სიამაყე არის. ანდრონიკაშვილმა მოითხოვა, ნიკიტინის სიტყვები ოქმში შეეტანათ. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ამით ნასიამოვნებმა ნიკიტინმა ანდრონიკაშვილს ირონიული ღიმილით გადახედა. ანდრონიკაშვილმა მოსთხოვა ნიკიტინს ან უარი ეთქვა თავის სიტყვებზე ან პირდაპირ ეთქვა, ზარუდნი ჰყავდა თუ არა მხედველობაში, როცა პროკურატურიდან გამოგდებულ ადამიანებზე ლაპარაკობდა. ნიკიტინი ისევ ირონიულად იღიმებოდა და სდუმდა. მაშინ ანდრონიკაშვილმა განაცხადა: „ახე იქცვიან მსოლოდ არამზადები და ლაჩრები, რომელთაც წესად აქვთ მიკიბულ-მოკიბული ცილისწამება, მაგრამ ვერ ბედავენ იმ ადამიანის დასახელებას, ვისაც ცილის წამებენ“. ნიკიტინმა თავხედურად უპასუხა, რომ ისეთი ადამიანის სიტყვას, როგორც ანდრონიკაშვილია, ის შეურაცხყოფად ვერ მიიღებს.

სხდომის განახლების შემდეგ ნიკიტინმა მოულოდნელად განაცხადა, რომ მან იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „დღეს კოუვენების მზარის სასამართლოს სხდომაზე კერძო ბრალმდებელმა გერცენშტიინის საქმეზე, პეტერბურგის ოლქის სა-



სამართლო პალატის ნაფიცმა ვეკილმა ლ. ანდრონიკოვმა, პარტიული მტრობის ნიადაგზე, „არამზადა“ (подлец) მიწოდა. გაცნობებთ ამას, თქვენ ალმატბეულეზზე, როგორც გენერალურ პრეკურორს“. ნაფიცმა ვეკილმა ანდრონიკაშვილმა არ ჩათვალა საქიროდ ამ დეპეშის თაობაზე რაიმე რეაგირება“.⁶

როგორც ვაზეთი „რეჩ“ იუწყებოდა, ნიკიტინმა ისევ მიაყენა შეურაცხყოფა სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს, მაგრამ ესლა უკვე ანდრონიკაშვილს: „როცა იგი ანდრონიკოვს უპასუხებდა, მან ნება მისცა თავის თავს მის შესახებ ეთქვა: ანდრონიკოვს სასამართლოში ისე ექირა თავი, როგორც სამიკიტნოში“, რაზედაც ლ. ანდრონიკოვმა, დამატებითი ახსნა-განმარტების შემდეგ, ასე უპასუხა: „ბ-ნი ნიკიტინი თვლის, რომ მე ისე ვიქცევი, თითქოს სამიკიტნოში ვიყო. ნება მიზოძეთ, შევეციოთო მას: პატიოსან საქმედ მიანინა სასამართლო დარბაზიდან ადვოკატის დაბეზღება იუსტიციის მინისტრთან? ასეთი ბეზღი ჩვეულებრივად რუსი ხალხის კავშირის სამიკიტნოებიდან იგზავნება“.⁷

ამ ინციდენტს გერცენშტეინის პროცესის დამთავრების შემდეგ თავისი გავრძელება ჰქონდა.

1909 წლის 21 ოქტომბერს ნიკიტინმა გაუგზავნა ანდრონიკაშვილს შემდეგი შინაარსის წერილი:

„მოწყალეო ხელმწიფე!

10 ოქტომბერს კიუვენების სასამართლოს სხდომაზე თქვენ შეეცადეთ ჩემთვის შეურაცხყოფა მოგყენებინათ და მე ლაჩარი და არამზადა — მიწოლეთ.

ვიმეორებ ისევ, რომ რადგან ეს სიტყვები თქვენს მიერ იყო ნათქვამი, მე მათ ჩემთვის შეურაცხყოფედ აღიარებ და ვფვლი, რაც მაშინვე გავიცხადებ.

ვინაიდან ჩემი ასეთი განცხადება, აგრეთვე ჩემს მიერ თქვენი თანდასწრებით წაკითხული დებეზა იუსტიციის მინისტრის სახელზე გამოხატავს უდიდეს უპატივცემულობას თქვენს მიმართ, მე მზადა ვარ, როდესაც გნებავთ და სადაც გნებავთ, მოგცეთ დაკმაყოფილება⁸ თქვენი პირველი მოთხოვნისთანავე, რომელსაც უკვე მეორე კვირაა ამაოდ ველი.

ეგვენი ნიკიტინი“.

რადგან ანდრონიკაშვილმა ამ თავხედურ წერილზე პასუხი არ ვასცა, გათამამებულმა ნიკიტინმა 20 ოქტომბერს მას მეორე წერილი მისწერა:

„მოწყალეო ხელმწიფე!

21 ოქტომბერს მე თქვენ გამოგზავნეთ ფორმითაც და შინაარსითაც სავსებით კორექტული წერილი, რომელზედაც პასუხი არ მიმიღია.

როგორც ჩანს, მე შედუმეტი პატივი გეცით, როდესაც ვიფიქრე, რომ რაინდული წესები შეიძლება ცნობილი იყოს კავკასიური მოდგმის ადამიანისათვის, რომელმაც სწორად და უაქცენტოდ რუსულად ლაპარაკიც კი ვერ ისწავლა და რომელსაც მხოლოდ ლანძღვა-გინების უნარი აქვს, როცა იცის, რომ ფინეთის ტერიტორია უზრუნველყოფს მისთვის ამ მხრივ „სიტყვის თავისუფლებას“.

ყოველივე ეს ერთად აღებული, უფლებას მაძლევს არა მარტო მე, არამედ ყოველ ადამიანს, ვისაც შეუძლია შვი თეთრისაგან გაარჩიოს, გიწოდოთ თქვენ არამზადა და ლაჩარი. ეგვენი აღუქსანდრეს ძე ნიკიტინი“.

ამ მეორე წერილზე ანდრონიკაშვილს უკვე პასუხი გაუგზავნია. აი, მისი პასუხიც:

„მოწყალეო ხელმწიფე!

თქვენს მიერ 21 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: „10 ოქტომბერს კიუვენების სასამართლოს სხდომაზე თქვენ შეეცადეთ ჩემთვის შეურაცხყოფა მოგყენებინათ და მე არამზადა და ლაჩარი მიწოდეთ“. შემდეგ: „მე ამ სიტყვებს ჩემთვის შეურაცხოვლად არ ვფვლი, როგორც თქვენს მიერ ნათქვამს“.

კიუვენების სასამართლოს იმავე სხდომაზე ჩემი სიტყვის შემდეგ თქვენ განაცხადეთ: „მე შეემძლო მეტყვა ბ-ნ ანდრონიკოვზე უფრო ლამაზი სიტყვა, მაგრამ ვაცხადებ, რომ მე გავუგზავნი დებეზა მის უდიდესუფლებობას იუსტიციის მინისტრს, რომელმაც ვაცნობე, რომ ნაფიცმა ვეკილმა ანდრონიკოვმა ჩემი მისამართით ისროლა სიტყვები „ლაჩარი და არამზადა“ და სასამართლომ მე არ დამიცვა“...

ზემოთმოტანილი სიტყვების გარდა თქვენ ჩემი მისამართით სხვა არაფერი ვითქვამთ...

ამგვარად თქვენი რეაქცია წარუდნის ინციდენტთან დაკავშირებით ის იყო, რომ თქვენ მიმართეთ საჩივრით ჩემზე და სასამართლოზე იუსტიციის მინისტრს. აქედან ნათელია, რომ მე საბაზი არ მქონდა ჩემი ღირსება აღმედგინა.

ხოლო თუ თქვენ სერიოზულად გინდოდათ ჩემგან დაკმაყოფილება მიგელოთ, ამისათვის: ჯერ-ერთი, არ უნდა გავცხადებინათ, რომ ჩემისთანა ადამიანის მიერ ნათქვამ სიტყვებს თქვენ შეურაცხოვად ვერ ჩათვლით; თანაც

⁶ ეს ინციდენტი აღწერილია ვაზეთში „ნოვაია რუს“, 1909 წ., 11 ნოემბერი, № 279.
⁷ „რეჩი“, 1909 წლის 13 ოქტომბერი, № 284.
⁸ ნიკიტინს მხედველობაში ჰქონდა, რომ ანდრონიკაშვილს იგი დღეულში უნდა გამოეწვია.

თუ ხაკითხს ასე დააყენებთ, მაშინ ისიც უნდა აღიაროთ, რომ არც მე შემძლია ჩავთვალო შეურაცხყოფად თქვენისთანა ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვები.

მეორე: ზემოთ მოტანილი ინციდენტის შემდეგ თქვენ არ უნდა მიგემატათ იუსტიციის მინისტრისათვის საჩივრით ჩემზე და სასამართლოზე. ასეთი გზის არჩევა თქვენ გიყარავთ უფლებას მოითხოვთ სხვა ფორმის დაკმაყოფილება.

მაგრამ მე მზადა ვარ შემოგთავაზოთ გამოხადვა: განაცხადებთ ან საჯაროდ ან ნაფიც ვეჭილთა საბჭოს სახელზე, თუნდაც თქვენი პატივისცემის მეშვეობით, რომ სწორად არ მოიქცით, როცა იუსტიციის მინისტრს საჩივრით მიმართეთ ჩემზე და სასამართლოზე, და განუცხადებთ რომელიმე მესამე პირს, რომ ჩემს მიერ თქვენი მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს თქვენ შეურაცხყოფლად თვლით. როცა შევიტყობ, რომ ეს ორი პირობა შეასრულებულია, მაშინ თქვენს ორივე წერილს გამოიწვევად ჩავთვლი და მზად ვიქნები დაკმაყოფილება მოვცეთ.

მაგრამ თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ ან იმიტომ, რომ ვერ გაიგეთ ჩემი წინადადება ან იმიტომ, რომ არ მოისურვებთ ამის გაკეთება, მე თქვენ ჩავთვლით მორალურად ჩლუნგ პიროვნებად (моральный тупица), რომელთაც დღისთვის შესახებ სერიოზული დაპარაკი შეუძლებელია.

ნაფიცი ვეჭილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი“.

ამ ბარათის მიღების შემდეგ ნიკიტინი ამდგარა და თავისი ორივე წერილი გაზეთში გამოუქვეყნებია. მაშინ ლუარსაბ ანდრონიკაშვილსაც მიუმართავს გაზეთისათვის. ანდრონიკაშვილის პასუხი, ისევე როგორც ნიკიტინის ორივე წერილი, დაცულია ანდრონიკაშვილის არქივში. აქვე დაცულია საინტერესო სტატია, მოთავსებული გაზეთში „ორენბურგსკი კრაი“ (1909 წ. 14 ნოემბერი, №356). მოგვყავს ფრაგმენტები ამ წერილიდან:

„რუსი ხალხის კავშირის წევრი ნაფიცი ვეჭილის თანაშემწე ევგენი ნიკიტინი, რომელმაც „სახელი გაითქვა“ გერცენშტეინის პროცესზე, ამჟამად აგზნებულია და სხვადასხვა მიმართულების გაზეთებში საღამოდავ წერილებს გზავნის. ამ თანაშემწის „ლიტერატურული“ მოღვაწეობა ორი ფორმით ვლინდება — თავდაცვითი და თავდასხმითი.

„იურისტ“ ნიკიტინს წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია, რომ ყოველი სხვაგვარად

მოაზროვნე პოლიციაში წაათროს. მაგრამ რადგან უხერხული იქნებოდა პოლიციაში გაზეთი „ბირჟევი ვედომოსტი“ წაეთრია, ამიტომ ნიკიტინმა მოსკოვის ბექდვითი სიტყვის კომიტეტს მიმართა და სთხოვა მას დაიცვან იგი შინაური და გარეშე მტრებისაგან. კომიტეტმა ნიკიტინს თხოვნა შეუსრულა და დაავალა ამ გაზეთს „აუცილებლად დაებეჭდა უახლოეს ნომერში ნიკიტინის წერილი“.

რადას იზამდა გაზეთი. იგი იძულებული გახდა მოეთავსებინა „უფასო კორესპონდენტის“ ნიკიტინის წერილი, სადაც ეწერა: „რუსი ევდომოსტი“-ს 13 ოქტომბრის ნომრის ცნობაში გერცენშტეინის პროცესის შესახებ მე მომაწერეს ასეთი სიტყვები: „რევოლუციასთან ბრძოლა და მეძებრობა (СЫСК) ყოველი პატიოსანი რუსი ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა“. ეს სიტყვები მე არასოდეს არ მითქვამს და არც შემძლო მეთქვა. აი ჩემი ფრაზა: „რევოლუციასთან ბრძოლა ყოველი პატიოსანი რუსი ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა“. ეს ვერ გაუგიათ მხოლოდ კავკასიელ სეპარატისტებს და მათ დამკაშებს, რომლებიც მზად არიან მეძებრობის (СЫСК-ის) სახელით მონათლონ ყოველგვარი საქმიანობა, რაც მათთვის სასარგებლო არ არის“.

ასეთი „პატივცემული“ ნაფიცი ვეჭილის თანაშემწის თავდაცვითი საქმიანობა ლიტერატურული მოღვაწეობის სფეროში.

რაც შეეხება ამ სუბიექტის თავდასხმით საგმირო საქმეებს, ეს იმით გამოიხატა, რომ მან გაზეთებში „სვეტ“ და „რუსკოე ზნამია“ გაგზავნა ორი საღამოდავი წერილი ნაფიცი ვეჭილის ანდრონიკოვის მისამართით.

ამ წერილებს ჩვენ არ მოვიყვანთ, ვინაიდან ისინი დაწერილია იმ მონომოლისტური სტილით, რომელიც ახასიათებს „რუსი ხალხის კავშირის“ სამიკიტნოების გალაღებულ შეზარხოშებულ სტუმრებს.

ამ წერილების საპასუხოდ ანდრონიკაშვილმა ურჩია ნიკიტინს შეესრულებინა ლოკიესხა და პატიოსნების ზოგიერთი ელემენტარული წესი“. ამის შემდეგ გაზეთში სიტყვა-სიტყვითაა მოყვანილი ლ. ანდრონიკაშვილის პასუხი ნიკიტინის წერილებზე და ბოლოს ნათქვამია:

„განა ღირს პასუხის გაცემა ისეთი პირისათვის, ვის მოღვაწეობასაც თან ახლავს „მოკავშირეების“ „გარმოშვის“ დარღვიანდული აკომპანიმენტო: «аи, дернень, дернень, Калуга»...

გერცენშტეინის პროცესს ლ. ანდრონიკაშვილისათვის მრავალი სხვა უსიამოვნებაც მოყვა.

9 იგულისხმება ნაფიცი ვეჭილი, რომელთანაც თანაშემწედ იყო მიმაგრებული ნიკიტინი.

როგორც თვით ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და მისი ახლობლებისაგან გამიგონია, როდესაც პროცესის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი გელსინფორსიდან პეტერბურგში დაბრუნებას აპირებდა, მის მანქანას ესროლეს, თუმცა უშედეგოდ. პეტერბურგში დაბრუნებისას, შავრაწმელებმა ღამით შეამტვრიეს ლ. ანდრონიკაშვილის ბინა, მაგრამ ანდრონიკაშვილი მეორე გამოსასვლელიდან გამოვიდა და თავი შეაფარა ცოლის ნათესავეებს, რომლებიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ. ამის შემდეგ იგი რამდენიმე ხნის განმავლობაში რიანში ცხოვრობდა. გავიდა რვა წელი. და აი 1917 წლის 27 თებერვალს — თებერვლის რევოლუციის პირველ დღეს, როდესაც ანდრონიკაშვილის

უმცროსი ვაჟი — ექვსი წლის ელფთერი თავისი სახლის ეზოში თამაშობდა, გაისმა სროლის ხმა და დაეცა ბავშვის გვერდით მდგარი მეეზოვე. ტყვია გაისროლა თურმე გენერალმა იელიტა ფონ ვოლსკიმ, რომელიც გამოდიოდა იუსკევიჩ-კრასკოვსკის მოწმედ გერცენშტეინის პროცესზე. როგორც იგი შემდეგ გამოტყდა, მას უნდოდა სამაგიერო გადაეხადა მამისათვის და შვილს ესროლა¹⁰.

გერცენშტეინის პროცესი საუკეთესო დამატურებელია, თუ რა პროგრესულ პოზიციებს იცავდა რუსეთის „პოლიტიკური დაცვის ჯგუფის“ ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლ. ანდრონიკაშვილი, რა გაბედულად ამხილებდა იგი მეფის ხელისუფლებას.

¹⁰ ეს ამბავი აღწერილია ირაკლი ანდრონიკაშვილის მოგონებებში ლ. ანდრონიკაშვილზე, რომელიც მან გასაცნობად გადმოგვცა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის ბიოგრაფიის პირველი ნაწილი

ბ. სარატიზმი

დიდმა მსახიობმა და დრამატურგმა ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილ-იუჟინმა (1857 — 1927), რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსული და ქართული თეატრების განვითარებაში (იგი ავტორია ცნობილი დრამის „ლალატი-სა“), 1877 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად. იმავე წელს იგი ჩაირიცხა, ხოლო 1881 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ იურიდიული საქმიანობისათვის სვლი არ მოუკლდა, მთელი ცხოვრება თეატრსა და დრამატურგიას შესწირა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის წლებში ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი დიდი მონაწილეობით სწავლობდა იურიდიული მეცნიერების დისციპლინებს, კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდა მოქმედ კანონმდებლობაზე. ჯერ კიდევ სტუდენტმა ცალკე წიგნად გამოსცა იმ დროს ცნობილი პროფესორის — ა. დ. გრადოვსკის ლექციების კურსი სახელმწიფო სამართლის თეორიაში თავისი სალექციო ჩანაწერების მიხედვით. 1880 — 1881 წლებში თანამშრომლობდა ვაჟთ „მინუტა“-ში. აქვეყნებდა საინტერესო წერილებს როგორც პოლიტიკურ, ასევე იურიდიულ საკითხებზე. მაგალითად, იგი ავტორია ვრცელი რეპორტაჟისა „მეფის მკვლელების სიკვდილით დასჯა“ და პოლემიკური სტატიისა — „შეურიგებელი წინააღმდეგობანი“. პირველში აღწერილია ხალხოსანი-რევოლუციონერების ა. ჟელიაბოვის, ს. პეროვსკაიას, ა. მისალოვის, გ. რისაკოვისა და ნ. კიბალიჩის (რომელთაც მოჰკლეს მეფე ალექსანდრე II), მიმართ სიკვდილით დასჯის განაჩენის სისრულეში მოყვანა. ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის რეპორტაჟი არსებითად განსხვავდება იმ უამრავი წერილისაგან, რომლებიც იმავე დღეებში პეტერბურგის სხვა გაზეთებში გამოქვეყნდა ამავე შემთხვევის გამო. წერილში ჩანს ავტორის სიმპათია ხალხოსანი-რევოლუციონერთა მიმართ. ვრცელ სტატიაში „შეურიგებელი წინააღმდეგობანი“, რომელიც 1880 წელს გამოქვეყნდა „მინუტა“-ს ფურცლებზე, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი — 23 წლისაა. ა. ი. სუმბათა-

შვილ-იუჟინი, მკაცრად, მაგრამ დასაბუთებულად, ცხოვრებიდან აღებული არგუმენტაციით, აკრიტიკებს მეფის რუსეთის კანონმდებლობას ქორწინებისა და მეუღლეთა ქონებრივი უფლების შესახებ.

ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის პეტერბურგში სწავლის წლები დაემთხვა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მეტად მღელვარე და საინტერესო პერიოდს, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობას, როდესაც ხალხოსნების ფარული ორგანიზაცია „ზვონა“ ი ვალდა“ შეტევაზე გადავიდა და მთელი რიგი ტერორისტული აქტები განახორციელა, მათ შორის ალექსანდრე II-ის მკვლელობა. ასე, რომ სახელმწიფო და სამოქალაქო სამართლით დაინტერესებული ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი შექმნილ ვითარებას უფრო პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე უნდა გამოეყვანა, მაგრამ ასე არ მოხდა: იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე იგი პროფესიონალი მსახიობი და დრამატურგი გახდა.

რატომ მოხდა, რომ ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინმა მშობლების სურვილის წინააღმდეგ იურიდიული საქმიანობის ნაცვლად თავის სამოღვაწეო ასპარეზად თეატრი აირჩია? ეს იყო შემთხვევითი მოვლენა თუ აქ რაიმე კანონზომიერებასაც ჰქონდა აღვლით?

ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის მაგალითი მეტ განზოგადობას და გამოკვლევას საჭიროებს, ვინაიდან იურისტ ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის დაინტერესება თეატრით არ არის გამოჩაკლსი, პირიქით, ასეთ შემთხვევებს ე. ი. იურისტების თეატრალური ხელოვნებით დაინტერესების უამრავ მაგალითებს ვიცნობთ როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე რუსეთსა და საქართველოში.

ჩვენი აზრით რევოლუციამდელი რუსეთის და საქართველოს იურისტების პროგრესული ნაწილის მჭიდრო კავშირს თეატრთან კანონზომიერების სასაითი აქვს. იურისტების დიდი ნაწილი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ და სხვადასხვა ხასიით მონაწილეობდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. თვითმპყრობელობა ყოველმხრივ ზღუდვდა პროგრესული ინტელიგენციის აქტივობას, ცენზურა მთე-



ლი სისახტიკით უწევდა კონტროლს პრესის ორგანოებს, იხურებოდა ჟურნალ-გაზეთები, იკრძალებოდა კრებები და სხვ. ასეთ პირობებში 1864 წლის სასამართლო რეფორმა, რომელმაც შემოიღო სასამართლოში საქმის საჯაროდ განხილვა ნაფიც ვეჟილთა მონაწილეობით, წარმოადგენდა დემოკრატიული იდეების გავრცელების კარგ საშუალებას. შემთხვევითი არ იყო რომ ყველაზე რეაქციულმა „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს რედაქტორმა გ. კატკოვმა გაზეთის ფურცლებზე საკითხიც დააყენა, შეეზღუდათ ნაფიც ვეჟილთა უფლებანი სასამართლოს პროცესზე იმ მხრივ, რომ მათ ელაპარაკათ მხოლოდ „კანონის აზრით“ და არაფერი ეთქვათ როგორც კანონის აკარგაინობაზე, ასევე კანონის დარღვევის სოციალურ საფუძვლებზე. პროგრესულად განწყობილი იურისტები ეძებდნენ ტრიბუნას და ასეთს ხედავდნენ თეატრში, საიდანაც შესაძლებელი იყო ცხოვრების მახინჯი მხარეების მხილება.

ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში (1898 წ.) აქვს ფურცელი, რომელიც გვისჩვენებს ავტორის თეატრსა და დრამატურგიაში მისვლისა და შემდგომ მისი სამსახიობო და დრამატურგიულ მოღვაწეობის რეალისტურ-რომანტიკული ხასიათის ფაქტორებს.

ჩვენს მხედველობაში გააქვს ავტობიოგრაფიის შემდეგი ადგილი:

— «Этот вечер в малом театре, эту лекцию А. Д. Гродовского, и зимой того же года заключительную речь Анатолия Федоровича Кони по делу Засулич я считаю откровенной точкой всего, что я старался сделать в своей жизни, и случайно я связал эти три эстрады — сцена малого театра, кафедра профессора, возвышение судьи. Они убедили меня в том, что красота и талант неразлучны с правдой. Что человек подходя к театру ли, к кафедре ли, к суду ли, одинаково подходит к источнику, откуда он ждет утверждения лучшего в себе»¹.

აზრი ნათლად არის ჩამოყალიბებული. სიღამაზე უნდა სინამდვილეში ვეძიოთ, სიღამაზე მხოლოდ სამართლიანობაშია, მეცნიერი, თეატრის მოღვაწე, სამართლის მუშაკი მხოლოდ სამართლიანობისადმი სწრაფვით გამოიმუშავებს საუკეთესო თვისებებს. მეცნიერება, თეატრი და სასამართლო ერთი და იგივე მიზანს უნდა ისახავდეს — დაამკვიდროს სამართლიანობა.

კონკრეტულად, რომ მიიზიდა ახალგაზრდა ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი ა. დ. გრადოვსკის ლექციებში, რა ნახა ასეთი მცირე თეატრში და რა საერთო დაინახა სასცენო შემოქმედებასა და

სასამართლოს თავმჯდომარის ა. თ. კონის სიტყვებში?

ა. დ. გრადოვსკი რუსეთის ლიბერალური პროფესურის იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც თანაუგრძნობდა ხალხოსნურ მოძრაობას და ამ მოძრაობის საფუძველს სამართალში ხედავდა. ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი ავტობიოგრაფიაში იგონებს ა. დ. გრადოვსკის ერთ-ერთ ლექციას, რომელიც პროფესორმა შექსპირის სიტყვებით დაამთავრა — «А. Д. Гродовский закончил, весь бледный и взволнованный говоря о значении права человечества, цитатой слов Шейлока: «Разве у жиды нет глаз? Нет органов чувств, страстей?» — и еще более побледнев, бросил последнее слово своей цитаты: «А когда Вы отравляете нас, — разве мы не умираем?»².

მცირე თეატრის გახსენების დროს ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინს მხედველობაში აქვს დრამატურგ ა. ტარნოვსკის ფრანგულიდან გადმოკეთებული და რუსეთის სინამდვილესთან შეფარებული პიესა „მწვერი ვერ აფრინდება ხეზე“, რომელიც მან ნახა 1877 წლის აგვისტოში, როდესაც თბილისიდან პეტერბურგს მიემგზავრებოდა და მოსკოვში რამდენიმე დღით შეჩერდა. ა. ტარნოვსკის პიესა არ არის მწვავე სოციალური კონფლიქტების ნაწარმოები, მაგრამ ვოლდეილის სახით საქმაოდ დამაჯერებლად ასახავდა გადაჯვარებული ფეოდალური არისტოკრატის ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ პიესის მხოლოდ სიუჟეტს არ მოუხიბლავს ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი. იგი მოიხიბლა შექსპირის მოწაფეების, დიდი არტისტების ს. გ. შუმსკის (1820-1878) და ი. გ. სამარინის (1819-1885) თამაშით, მათ მიერ როლებიან ისეთი რეალისტური დამაჯერებლობით განსახიერებთ, რომ თვალწინ წარმოუდგა თვითმპყრობელური რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საშინელებანი.

ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი 1878 წლის 24 იანვარს, როდესაც ვ. ზასულიჩმა ტყვია ესროლა გენერალ ტრუპოვს, იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო და დაესწრო სასამართლო პროცესს, რომელიც ა. თ. კონის თავმჯდომარეობით იმავე წლის 31 მარტს შედგა. მიუხედავად მეფის და იუსტიციის მოხელეების ცდისა, სანიმუშოდ დაესაჯათ ზასულიჩი და ამით სხვებიც დაეშინებიათ, იგი ნაფიც-მსახულთა სასამართლომ გაამართლა. ცნობილია, რომ ნაფიცი მსახულები, რომელთაც გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს რევოლუციონერ ვ. ზასულიჩს, ხელმძღვანელობდნენ იმ დასკვნით, რომელიც ა. თ. კონიმ გააკეთა სასამართლო გამოძი-

¹ А. Н. Сумбатов-Южин. «Записи, статьи, письма», 1951, стр. 45.

² იქვე.



ების დამთავრების შემდეგ პატიოსანი მოქალაქე და სამართლის ნამდვილი მსახური ა. თ. კონის თავის სიტყვაში ისე ღრმად ჩასწვდა ვ. ზასულაიჩის სულიერ სამყაროს, მის ფსიქოლოგიას და ისე დამაჭერებლად დახატა ის უსამართლობა, რომელიც ჩაიდინა გენერალმა ტრეპოვმა პოლიტიკური პატიმრის ბოგოლიუბოვის გაროზგვით, რომ ნაფიც მსჯულებს არაფერი აღარ დარჩათ გარდა იმისა, რომ ვ. ზასულაიჩი ჩაეთვალიათ სამართლიანობისათვის მეტროლოდ და გაემართლებინათ. «И тогда и потом я ясно осознал, что вершины художественности и общественности синтезируются в одном общем в глыбомом проникновении высшей правды, без которого нет искусства. Вот почему здесь я счел нужным и возможным сопоставить значение для меня в жизни этих трех моментов моей ранней молодости: спектакли малого театра, лекции Градовского точно нарочно связанной с великим драматургом, и суда Кони» წერს ა. თ. სუმბათაშვილი-იუენი და შემდეგ დაასკვნის — «Мастер — это художественный отклик на общественные запросы, разрешение их не средствами или приемами кафедры или трибуны, а путем воплощения на сцене в живых людях самых сложных коллизий общественной и личной психики».

ა. თ. კონი, რომელმაც ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ა. თ. სუმბათაშვილი-იუენზე და ხელოვნების და ლიტერატურის სხვა მოღვაწეებზე, თვით განიცდიდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა ზეგავლენას. მისი სამართლებრივი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა დემოკრატიულ-რევოლუციური ხელოვნებისა და ლიტერატურის გავლენით. ცნობილია ა. თ. კონის პირადი კონტაქტი ლ. ტოლსტოისთან, ი. ტურგენევთან, თ. დოსტოევსკისთან, ა. ჩეხოვთან, კ. სტანისლავსკისთან, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან. 80-იანი წლების ბოლოს ა. თ. სუმბათაშვილი-იუენი უადრესად პოპულარული პიროვნება გახდა რუსეთში. ა. თ. კონსა და მის შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც დასტურდება მრავალრიცხოვანი საქმიანი ხასიათის წერილებით, რომელთა შორის, ჩვენ ამჟერად მხოლოდ ორი უნდა დავახა-

ხელოთ. 1920 წლის 29 ივლისს ა. თ. კონი ა. თ. სუმბათაშვილი-იუენს წერდა — «Хочу поделиться с Вами моим глубоким восхищением перед поэтом Руставели, поэму и стихи которого я только, что прочел («Носащий барсову шкуру» в переводе Бальмонта), какая музыка, какое оригинальное стихосложение, какая нежность мысли и образность выражений! Остается завидовать Вашей родине, имевшей уже так давно такого поэта. Когда читается Руставели и вспоминаешь про стиль наших декадентов и футуристов, то кажется, что в удушливую атмосферу комнаты, проникнутой гнилостными испарениями, открыли форточку и в нее влился свежий, ароматный воздух, и вместе с ним вторгся луч яркого света»³.

მეორე წერილი ა. თ. კონის გაუგზავნია 1924 წლის 18 თებერვალს და აქ იგი უკვე ლაპარაკობს იმ ზეგავლენაზე, რომელიც მასზე ახალგაზრდობის წლებში ჰქონდა მოსკოვის მცირე თეატრის ცნობილ მსახიობებს — შჩეპკინს, სამარინს, უივოცინს, აფიმოვას, შემსკის, საღოვსკის, ფედოტოვას, შემდეგ კი ა. თ. სუმბათაშვილი-იუენსა და მ. ნ. ერმოლოვას: «Нужно ли говорить Вам, как меня, старого московского студента начала 60-х годов, тронуло, одобрило и душевно приподняло раскошное приветствие дорогого мне по воспоминаниям малого театра, по отношению к которому я могу сказать словами Тютчева: «Душа моя — элизиум теней», и каких, каких теней! — Щепкина, Самарина, Живокни, Якимовой, Шумского, Садовского, живого образца Федотовой к этому присоединяется и была позднее родственное воспоминание о Вас и М. Н. Ермоловой»⁴.

ა. თ. სუმბათაშვილი-იუენის და ა. თ. კონის ურთიერთობა მხოლოდ ფაქტებით არ ამოწურულა. ის უფრო ფართო, ღრმა, საქმიანი იყო და წლების მანძილზე ნამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა. ორ დიდ მოქალაქეს და შემოქმედებს, მსახიობს და იურისტს ერთი და იგივე იდეალი აკავშირებდათ: ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერების პირველი წყარო — სიმართლე და სიღამააზე.

³ А. Ф. Кони, Полное собр. соч., т. VIII, стр. 309.

⁴ იქვე, 88. 319—320.

სხეულებრივი სასჯელები XI—XIV საუკუნეების საქართველოში

ბ. ნადარეიშვილი

უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ სხეულებრივი სასჯელების გავრცელების და განვითარების დროისა და სივრცის საკითხი.

სხეულებრივი სასჯელები კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე გვხვდება. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სხეულებრივი სასჯელები დიდად იყო გავრცელებული. მათ ვხვდებით აგრეთვე ძველ საბერძნეთსა და რომშიც. სხეულებრივი სასჯელები დასჯის სისტემის ცენტრალური პუნქტია შუა საუკუნეების თითქმის ყველა ქვეყანაში. სხეულებრივი სასჯელების ამოკვეთა ევროპამ შესძლო მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისისათვის, ხოლო რუსეთმა — XX საუკუნის დასაწყისში.

სხეულებრივ სასჯელებს ჩვეულებრივ ყოფენ სამ სახეობად: 1) ასოთ დამაზიანებელ (დამასახინებელ, გამახეობებელ) სასჯელებად, რომლებიც მდგომარეობს ადამიანისათვის სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა-დაზიანებაში. ასეთი სახის სასჯელებს მიეკუთვნება: ენის, ცხვირის, ხელის, ტუჩის მოჭრა და სხვ; 2) მტკივნეული სახის სხეულებრივ სასჯელებად, რომლებიც ადამიანს ფიზიკურ ტანჯვას აყენებს სხეულის ორგანოების მოუკვეთლად. ასეთი სახის სასჯელები უმთავრესად გამოიხატება ცემაში მათხარით, შპიცრუტენით, როჯით, ჯოხით და სხვა სახის დასასჯელი იარაღით; 3) სხეულებრივ სასჯელთა მესამე სახეობას მიეკუთვნება ე. წ. გამაწილებელი სხეულებრივი სასჯელები, რომელთა მიზანიც იმდენად ფიზიკური ტანჯვის მიყენება კი არ არის, რაც აქ უმნიშვნელო როლს ასრულებს, არამედ დამნაშავის წევობრივად დამცირება, მისი შერცხვენა. როგორც ერთი მკვლევარი წერდა:

Боль побочная сторона в них, цель их наложить вечный позор, обозначить преступление»¹.

ძველ ეგვიპტეში იმდენად ყოფილა ცემა და სხეულებრივი სასჯელები გავრცელებული, რომ დიდი სახელმწიფო მოხელეებიც კი თურმე იშვიათად გადაურჩებოდნენ ხოლმე მას. სამეფო

კარის ერთი დიდი მოხელე თავის სამარხია წარწერაში ამაყობს იმით, რომ იგი არ უცემიათ. ძველი ჩინური კანონების მიხედვით სამასი სხვადასხვა დანაშაულისათვის დამნაშავეებს შეეფარდებოდათ კასტრაცია, ათასისათვის — ფეხის მოჭრა, დაბრმავება, დადაღვა და სხვ.²

საბერძნეთსა და რომშიც, სიკვდილით დასჯის გვერდით, ვხვდებით სხეულებრივი სასჯელების ფართოდ გამოყენებას. სასჯელთა სისტემა საბერძნეთსა და რომში სახეს იცვლიდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური კულტურული დონის, აგრეთვე სხვა მოვლენების გავლენის შესაბამისად. საბერძნეთისა და რომის ისტორიის ისეთ მონაკვეთებზე, როდესაც ქვეყანა სოციალურ კრიზისს განიცდიდა, როდესაც ქვეყნის კულტურული დონე დაბლა ეცემოდა, სხეულებრივი სასჯელებიც უფრო ფართოდ ვრცელდებოდა.

ბერძნულ სახელმწიფოებში და რომის რესპუბლიკაში მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარებისა და აყვავების ეპოქაში სხეულებრივი სასჯელების გამოყენება მკვეთრად შეიზღუდა მოქალაქეების მიმართ. დასასრულ, ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში რომში პორციას კანონით აიკრძალა რომელიმე მოქალაქეთა მიმართ სხეულებრივი სასჯელების გამოყენება. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. ამავე დროს, რა თქმა უნდა, მონებისა და არარომელების მიმართ გამოიყენებოდა ასოთდამაზიანებელი და დამასახინებელი სასჯელები.

ძველ რომში თავდაპირველად მცირე მნიშვნელობის დანაშაულებისათვის დასჯის სისტემა დამყარებული იყო კომპოზიციებზე, ხოლო უფრო სერიოზული დანაშაულებისათვის — საკრაციების ინსტიტუტზე (დამნაშავეს სწირავდნენ ღვთაებას. მისთვის აკრძალული იყო თავშესაფრის მიცემა); გარდა იმისა, რომ დამნაშავე მოკვლად იყო თავშესაფრის უფლებას, შეპყრობის შემთხვევაში მას სიკვდილით დას-

¹ Шишкин. Телесные наказания. Юридик. Вестник. изд. Калачовым, 1860—1861 гг. вып. X, стр. 52.
² Wrede. Die Körperstrafen bei allen Völkern. Dresden, 1898, s. 298

ჯა მოელოდა. რაც შეეხება მოქალაქეებს, მათ ხსენებული სასჯელის აცილება შეეძლოთ სამშობლოდან გაქცევით. ნაკლებად მძიმე დანაშაულებებისათვის დისციპლინარული ხელისუფლება უფარდებდა სასჯელებს. ოჯახის უფროსი და ცენზორი იყვნენ ის საუბიექტები, რომლებიც ახორციელებდნენ ასეთ დამსჯელ ხელისუფლებას.

ზოგჯერ ისინი ნამდვილ სასჯელებს უფარდებენ თავიანთ გამგებლობაში მყოფ დამნაშავეებს. ცენზორს თავისი ნოტიო ერთპიროვნულად შეეძლო სენატიდან გაერიცხა დამნაშავე, გარდა ამისა შეეძლო სამსახურიდან გადაყენება, მხედართა კლასიდან ამორიცხვა და სხვ. ცენზორთა ასეთი უფლებამოსილება უქმდება წმ წელს ძვ. წ. მთელი დასჯითი ხელისუფლება თანდათანობით სახელმწიფო ხელისუფლებას ხელში იყრის თავს. ეს პროცესი დასრულდა იმპერატორების ეპოქაში.

როგორც ცნობილია, ბარბაროსთა შემოსევებისა და მონათა აჯანყებების შედეგად რომის იმპერია დაინგრა, მის ნანგრევებზე აღმოცენდნენ ახალი ხალხები და სახელმწიფოები. დასავლეთ ევროპაში ამიტომ შუა საუკუნეები სრულიად პირველყოფილი მდგომარეობიდან ვითარდება. იქ, როგორც ამას ფ. ენგელსი შენიშნავდა, ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია და იურიზპრუდენცია სახვებით მოისრა. ყოველივე ამის შედეგად დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის პირველი პერიოდი კულტურის დონით (და არა უშუალო მწარმოებლის მდგომარეობით) დაბლა იდგა ანტიკურობასთან შედარებით.

სულ სხვა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში. აქ, ბიზანტიაში, ძველი ცივილიზაცია და იურიზპრუდენცია, ძველი ქალაქები და სახელმწიფოებრიობა ბარბაროსებს არ გაუნადგურებიათ.³

ბიზანტიაში მნიშვნელოვნად შეიწოვა ძველი რომის სამართალი, ძველი რომის სახელმწიფოებრიობა, ძველი სასჯელთა სისტემა.

თუ ავიღებთ მაგალითისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, აქ ფეოდალური საზოგადოების არსებობის მანძილზე (XVII-XVIII საუკუნეებამდე) სხეულებრივი სასჯელები, ასევე წლების მანძილზე იმ სისტემის ცენტრი იყო, რომელსაც მეთოდურად ეყრდნობოდა სისხლის სამართალი, ასევე იყო რუსეთშიც — „სხეულებრივ სასჯელთა კლასიკურ

ქვეყანაში“, ხალაც XX საუკუნემდე მათი ამოცვეთა შეუძლებელი გახდა.

X-XI საუკუნეებამდე ბიზანტიაშიც დიდად იყო გავრცელებული სხეულებრივი სასჯელები, მათ შორის ნაწილობრივ, ძველი რომიდან შემკვიდრებით მიღებული, ნაწილობრივ კი — ბიზანტიაში გამოგონებული, ან ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან შეთვისებული. მაგალითად, ბიზანტიური სამართალი იცნობს ზოგ სიმბოლური ხასიათის სხეულებრივ სასჯელს, მაგალითად, ენის მოჭრას ცრუ ფიცისათვის, სასჯესო ასოს მოჭრას მამაკაცისათვის სოდომური ცოდვისათვის, ცხვირის მოჭრას მრუში ქალისათვის და მრავალი სხვ. ბერნარდ ზინოვიცი გამოსთქვამს აზრს, რომ ცხვირის მოჭრა მრუშობისათვის უკვე ლეონ III დროს უნდა იყოს შემოდებული და დამკვიდრებული.⁴

ზმირად დამნაშავეს ხელებს ჭრიდნენ. ამ სასჯელს ვხვდებით როგორც ქონებრივი დანაშაულობისათვის სამაგიეროს მიზღვის საშუალებას.

საერთოდ ბიზანტიური სამართალი ზმირად მიმართავს დამნაშავეს დასჯას — ცხვირის მოჭრით. ეკლოგაში სასჯელის ამ სახის გამოყენება შეზღუდულია. იგი გამოიყენება მხოლოდ სექსუალური ხასიათის დანაშაულობის წინააღმდეგ სასჯელის ღონისძიებად. მაგალითად, ეკლოგით ცხვირის მოჭრით სჯაან მრუშობისათვის, ახლო ნათესავებთან სისხლის აღრვისათვის, გაუპატიურებისათვის, მოტაცებისათვის, მონაზონის შეცდენისათვის.⁵

სასჯელების სახეები საიმპერატორო კანონმდებლობას ძალიან ზმირად აღებული ჰქონდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებიდან. „ეკლოგაში“ და „ნომოს გეორგიკოს“-ში სასჯელების მთელი მასა აღებულია ჩვეულებითი სამართლიდან. ჩვეულებითი სამართალს ახასიათებდა, როგორც ზინოვიცი ამბობს,

ჭურდი უნდა დასჯილიყო იმ ორგანოს მოკვეთით, რაც უფრო მეტად სჭირდებოდა ჭურდობისათვის. მბზ. სმლის მშკვეთში. ანალოგიური სხეულებრივი სასჯელები ცნობილი იყო ძველ სპარსეთშიც.⁶

ზინოვიცი სამართლიანად აკრიტიკებს ცანარისა და ოსტროგორსკის შეხედულებას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთა აზრით, ბიზანტიურ კანონმდებლობაში ლეონ III დროს მოხდა სისხლის სამართლის სასჯელების ბარბარიზირება. მართალია, როგორც ოსტროგორსკი ამბობს, სასჯელები — ხელების, ცხვირის, ენის მოჭრა,

³ G. Ostrogorsky. Geschichte des Byzantinischen States. München, 1952.

⁴ ბ. ზინოვიცი, Studien zum Strafrecht der Ekloga. Athen, 1956, გვ. 19.

⁵ იქვე, გვ. 18—19.

⁶ Ali Akbar Khan Daftary. Geschichte und System des iranischen Strafrechts. Bohn. 1935, გვ. 104—112.



დაბრმავება და სხვა ასეთები არ არის ქრისტიანული კაცთმოყვარეობის სულით ნაყარნახევი, მაგრამ ეს სასჯელები ღვინო III ხომ არ მოუგონებია? პირიქით, მისმა კანონმდებლობამ შეამსუბუქა ისინი. თვით ღვინო III ფაქტიურად შთაგონებული იყო ჰუმანური იდეებით, მაგრამ მას არ შეეძლო რეალურად შექმნილი მდგომარეობისათვის გვერდი აეგვლო.

ეკლესიასთვის დამახასიათებელია დამახასიათებელი სხეულებრივი სასჯელების ჩამოყალიბებული სისტემა. კლასიკური ეპოქის რომის სისხლის სამართალში დამახასიათებელი სასჯელები იხე ფართოდ არ იყო გავრცელებული, როგორც იმპერატორების ეპოქაში. ბიზანტიაში კი თვით ისავრიელი იმპერატორების კანონმდებლობაც ხშირად მიმართავს მას (ხელის მოკვეთა, ენის მოჭრა, დაბრმავება, თვალების ამოთხრა-დაბრმავება, ცხვირის მოჭრა, სასქესო ასოს მოკვეთა). მღაბიოთათვის ჭოხით ცემაც სხეულებრივი სასჯელი იყო.⁷

რა თქმა უნდა, საქართველოში XI-XII საუკუნეებში, ან უფრო ადრეც, სხეულებრივ სასჯელების მრავალ სახეს იყენებდნენ. საკითხი მხოლოდ ის არის, თუ რა ზომით, რა ფარგლებში გამოიყენებოდა ისინი: შეზღუდული იყო თუ არა სხეულებრივი სასჯელების გამოყენების სფერო, სიკვდილით დასჯის მსგავსად? პირველ ყოვლისა, რა სახის სხეულებრივ სასჯელებს იცნობდა ქართული სინამდვილე? თვალების დაწვა, ენის მოჭრა, დასაჭურისება, ხელის და ფეხის მოკვეთა, ასე თუ ისე, სასჯელის დონისძიებად მოჩანს საქართველოში.

გამოსაჭურისება იმ იშვიათ სასჯელთა რიგს ეკუთვნოდა, რომლითაც ზოგჯერ სჯიდნენ განდგომილ ან მოღალატე უფლისწულებს, რათა მათთვის შთამომავლობის, მემკვიდრის ყოლის შესაძლებლობა მოეხსოთ. თვით საქურისი კი იმდროინდელი მართლშეგნების მიხედვით არ შეიძლებოდა მეფედ ეკურთხათ.

თვალების დაწვა ანუ „სიბრძითა დასჯა“ გამოიყენებოდა ძალიან მძიმე დანაშაულის ჩამდენთა მიმართ. მაგალითად, ასე სჯიდნენ აჯანყების მომწყობ უფლისწულებს. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, გიორგი მეფის მოღალატე უფლისწულს „პირველად თუაღნი დასწუნეს და მერმე გამოყვერეს და მოკულა“.⁸

მაშასადამე, ზოგჯერ ერთსადაიმავე დროს ორ სხვადასხვა სხეულებრივ სასჯელს იყენებდნენ. ეს სასჯელი ფაქტიურად სიკვდილით დასჯას უახლოვდებოდა. შემდეგში, ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისის დროს, მონღოლთა

ბატონობის ეპოქაშიაც უამთაღმწერლის ცნობით, სასჯელები უღმამებელი ყოფილა. რაჭის ერისთავს კახაბერს დალატისა და შინაგამცემლობისათვის სასტიკი სხეულებრივი სასჯელი შეეფარდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ხოლო რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლსა, და აქუნდა ქვეყანა ატენისა, და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან, ორგულობისათვის მეფეთასა. ამისათვის შეიწროებულნი ევერა მეფესა, რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი. ხოლო ტპილიმან და მოწყალემან მეფემან შეიწყალა და შეუნდო ფიცითა მტკიცითა, რათა არა აბრალოს პირველი შეცოდება და ეგოს ერთგულებასა ზედა მისსა, და მიუბოძა მამული მისი ყოველი, და კუალად აგო მამულსა მისსა რაჭას. ხოლო ვითარ-დაყო მცირელი უამი, იწყო მათვე მამურ-პაპურ კუალთა სღვად, და ვითარ ღორი ისწრაფდა მწვირეთა მიმართ, და ვითარ იქედნე გესლისა დათხევად, რამეთუ გვარისაგან მოაქუნდა ორგულობა; და დამეიწყებულმან ფიცთა საშინელთამან, იწყო დალატად მეფეთა და წარავლინა კაცი და წიგნი ალიყანს თანა ათასისთავსა, რომელი იღვის მათთა ჯავახეთისათა და კოლისათა, რათა პირველისებრ დაესხას მეფესა და ადვილად ხელთ იგდოს მეფე. გარნა უქმ ყოღმერთმან ზრახვა მისი, ვითარ აქიტომელისი დავითის მიმართ, და საცნაურ იქმნა წიგნი. ამისთვის მიეგო მისაგებელი ბორცბი, და სიცრუე მისი თხემსა მისსაზედა დასწუდა. შეიპყრა მეფემან და პირველ თუალ დასწუა, ღებ და მერმე ერთი ჯელი და ფეხი მოჰკუეთა, და ორნი შვილნი მისნი მისცნა ექსორიობად, კონსტანტინეპოლისს წარგზავნა, რამეთუ დედოფალი, ცოლი მისი, ასული იყო დიდაპ პალიალოლოს მეფისა. ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა და მოკულა, და მოხმო ყოველი სასხენებელი მისი, ბალუაშთა კახაბერის-ძეთა, არა დაშთა, და აღიყოცა ნათესავი მისი და საქსენებელი მათი“.⁹

უამთაღმწერლის თხზულებიდან ეს გრძელი ამონაწერი გვიჩვენებს, რომ დაბრმავება, ცალი ხელის და ფეხის მოკვეთა იმტომ შეეფარდა რაჭის ერისთავს, რომ მისი დანაშაული განსაკუთრებით მძიმე იყო. მეფის ორგულობისათვის, როცა ეს პირველი შემთხვევა იყო, კახაბერი ასე სასტიკად არ დაუსჯიათ. ის მხოლოდ მამულისა და თანამდებობის მხრივ „შეავიწროვეს“. იგი „შეიწირებული“ იყო. მას მცირე სამფლობელო მისცეს. შემდეგში „პირველი შეცოდება“ აპატიეს და დაუბრუნეს „მამული

⁷ ცხარე, *Geschichte des Griechisch-Römischen Rechts*, III გამ., 1892, გვ. 331-334.
⁸ იხ. *მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება*. I, თბ., 1955, გვ. 267-268.
⁹ *ქართლის ცხოვრება*. ტომი II. თბ. 1952, გვ. 275.

მისი ყოველი“; მაგრამ მან ისევ უღალატა მეფეს „დავიწყებულმან ფიცთა საშინელთამან“. მრავალჯგონის ორგულობისათვის იგი საშინლად დასაჯეს. ეს სასჯელი არსებითად კვალიფიცირებული სიკვდილით დასჯა და მხოლოდ ფორმალურად შეიძლება ჩაითვალოს სხეულბრივ სასჯელად. აღნიშნული შემთხვევა ქრონოლოგურად XI-XII საუკუნეებს სცილდება და უფრო დაწვრილებით არ არის საჭირო მასზე შეჩერება.

ჩვენს ნარატიულ წყაროებში, როგორც ვხედავთ, საკმაო ცნობებია დაცული მეფეთა მხრივ მძიმე სასჯელების გამოყენება-გამოყენებლობის შესახებ, ეს, სხვათა შორის, იმის შედეგად არის, რომ ისინი ხშირად არ გამოიყენებოდა. და როცა კი გამოიყენებოდა, ქართული საბართლის წესისა და რიგის მიხედვით, მეფის „შეკიფვა“ და „მცენიერება“ აუცილებელი იყო. სიკვდილით დასჯისა და მძიმე სხეულბრივი სასჯელების შეფარდება არ შეიძლებოდა თუ მეფის „ბრძანება“ დასტური არ იქნებოდა. ამის შესახებ სათანადო ცნობა აქვს დაცული ბასილი ელსმოდვარს, თამარის მეორე ისტორიკოსს. მისი სიტყვით, მოღალატე და ავაჯაკ გუზან ტაოსკარელს დავით მეფემ, თამარის მეუღლემ, ამ წესის დარღვევის შედეგად ამოსწვა თვალი. დავითმა „იცოდა დიდი მოწყალება თამარისა, ამისათვის მისსა შეკითხვამდის თუაღნი დასწუნა“.

ბიზანტიასა და საქართველოში ამ დროს სასჯელების შესახებ მომღვრებაში თეოლოგიური ჰუმანიზმის გავლენა შეიძლება შევამჩნიოთ. მაგრამ ცხადია, აქ მხოლოდ ამ გარემოებით არ შეიძლება აიხსნას სასჯელების შემსუბუქება. ამ მოვლენას ფაქტებით უფრო ღრმა სოციალ-ეკონომიური ფესვები გააჩნდა.

მეორე სახის სხეულბრივი სასჯელია ისეთი მტკივნეული სახისა, რომელიც ადამიანს ფიზიკურ ტანჯვას აყენებს სხეულის ორგანოების მოუკვეთლად. ასეთი სახის სხეულბრივი სასჯელები გამოიყენებოდა სამონასტრო ცხოვრების პრაქტიკაში. ასე იყო აღმოსავლეთში, და, რასაკვირველია, იგივე მოვლენას საქართველოშიც ვხვდებით.

ცხადია, მონასტრებში გამოიყენებოდა მტკივნეული სხეულბრივი სასჯელები ასოთა მოუკვეთლად. სხეულბრივ სასჯელთა საყოველთაო აღიარების ეპოქაში მონასტრებიც კი ვერ ასცდნენ მას.

სასჯელს მონასტრში შედარებით ჰუმანურად

სახე ჰქონდა და სიმკაცრით საერო სასჯელთაგან განსხვავდებოდა. იაკობ ხუცესის სიტყვით, პიტიახშის ბრძანებით შუშანიკს „სცეს კუერთხითა სამას ოდენ“.¹⁰

ექვთიმე მთაწმინდელი დამნაშავე ბერს თასმით აცემინებდა.

ექვთიმეს ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ მან „ვითარ-ძი იყვის შფოთი იგი, უკეთუ დიდი იყვის, დიდად წუბართის და, უკეთუ მცირემცირე; სამამოს მიიყვანის და უბრძანის განრთხმა. და ძმამან მან თაყუანის-სცის და განირთხის თავი თვისი. და ერთი ძმა თავსა უშქირავნ და ერთი ფერქვა ღა ერთთა ჩიხათა ზედა მიამთხვან ღუფლითა: რომელსამელ და რომელსამემ და რომელსამე სამოცი“.¹¹ როგორც ზემოდ მოტანილი ადგილიდან ვხედავთ, „ღუფლითა მიმთხუვა“ ანუ თასმით ცემა ქართულ მონასტრში დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად სამ ხარისხად ყოფილა დაწესებული. და თუ მსუბუქი შფოთისათვის ბერს მ-ჭერ დარტყმა მიესჯებოდა, უფრო სერიოზული დანაშაულისათვის თასმით 40-ჭერ ცემას უსჯიდნენ, ხოლო ამაზე ძლიერისათვის 40-ჭერ შეეფარდებოდა „ღუფლითა მიმთხუვა“.

სხეულბრივ სასჯელთა ისტორია საქართველოში კრიმინალისტიკისათვის დიდად საინტერესო თემაა, ვინაიდან იგი მრავალ, მეტად საჭირო მონაცემს იძლევა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაწყდეს საერთო საკითხი სასჯელის შესახებ.

ძველ ქართულში, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილს აქვს გამოკვეთული, ცემის აღსანიშნავად „გუმეა“ იხმარებოდა, შემდეგში „კრვა“ შემოდის, რომელიც დავკრის სახით ახლაც არსებობს, და „მიმთხვევა“.

გარკვეული მსუბუქი დანაშაულობისათვის სასჯელად ცემა იყო მიღებული. სცემდნენ ჭონით, თასმით ან მათრახით.

თასმით ცემა, რაც მონასტრში იყო მიღებული, ოცდაათიდან სამოცამდე დარტყმის სახით, არც ისე მსუბუქი სასჯელი ყოფილა. „ესცე რომ საქაოლ მძიმე სასჯელი ყოფილა, იქიდანაც ჩანს, რომ ასეთი სასჯელის მოხდის შემდგომ „ცემული“ ლოგინად იყო ხოლმე ჩაქარდნილი და „რომელიმანვე ორი მსგებსი“, ანუ შეიდეული „დაყვის ქუე-შწოლიარემან და რომელმანვე სამი“. ცხადია, რომ თოთხმეტი ან ოცდაერთი დღის განმავლობაში წოლის უფლებას არაფერ მისცემდა, თუ რომ ცე-

¹⁰ იხ. ი. ტურტაველი, მარტილობაჲ შუშანიკისი. 1938. თბ., ილ. აბულაძის გამოცემა. თავი მე-8.

¹¹ გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. თბ. 1946. ი. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 36.

მისაგან მას დაწყულულებული არ ექნებოდა ტანო, რომ წოლა აუცილებელი არ ყოფილიყო.¹²

სხეულებრივ სასჯელთა ცალკე, დამოუკიდებელი სახეობა იყო „ტაჭგანავის კრვა“. სულხან-საბა ორბელიანს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ტაჭგანალას სახით. „ტაჭგანალა — მათრახი (2 დიოლოლო).¹³ ზოგი ხელნაწერის მიხედვით საბას ტაჭგანალას ნაცვლად ტაჭგანავი აქვს ნახმარი, თუმცა განმარტებად იგივე მათრახია დატოვებული.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, როგორც საქებარ მოვლენას, აღნიშნავს, რომ თამარმა „არცა ტაჭგანავი უბრძანა ვისადმე კრვად, კიდე მქონებელი ყოვლისა მესისხლეობისაო“. ლაშა-გიორგის შესახებაც შემტანიან აღნიშნავს, რომ ეს ჭაბუკი მეფეც „მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი იყო“¹⁴. „ტაჭგანავი“ რომანოს ახლის წამებაშიც არის ტერმინად ნახმარი: „ვეც მას ტაჭგანავი“¹⁴.

ო. ჭავჭავაძის აღრით, „საბა ორბელიანის განმარტება „ტაჭგანავისა“ დაახლოებით მაინც სწორე უნდა იყოს, იქითგანა ჩანს, რომ ზემო მოყვანილი ორი წყაროს მსგავსი შინაარსის ცნობაში თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის შესახებ პირველი წყაროს „ტაჭგანავს“ მეორე წყაროს „მათრახს“ უღრის. მხოლოდ „ტაჭგანავი“, უძველესი, ჩვეულებრივი მათრახი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ განსაკუთრებით ცემით დასჯისათვის შემუშავებული“¹⁵.

მასადაამე, „ტაჭგანავით“ ცემა უნდა უღრიდეს რომაულ გარდა ამისა ცოდნით „კვერთხით ცემა“, რომელიც უღრის რომაულ

როგორც ვიცით, სხეულებრივ სასჯელთა მესამე სახეობაა ე. წ. გამაწილებელი სასჯელები, რომელთა მიზანი იმდენად ფიზიკური ტანჯვის მიყენება კი არ არის, რომელიც აქ უმნიშვნელად არ არსებობს, არამედ ნაცვლად დამნაშავეს ზნეობრივად დამცირება, მისი შერცხვენა. ამ სახის სასჯელების არსებობის შესახებ XI-XII საუკუნეების ან უფრო ადრინდელი ეპოქის საქართველოში ძალზე მცირე ცნობებია შემონახული. ასე რომ, ივ. ჭავჭავაძის თავის კაპიტალურ ნაშრომში — „ქართული სამართლის ისტორიაში“ მათ შესახებ არც კი ლაპარაკობს.

ზოგი გამაწილებელი სასჯელი ამავე დროს

აღამიანის პატივისა და ღირსების დამაპყრობელი სასჯელიც იყო. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას ვაძლავებთ მე-5 საუკუნის ქართველი მწერლის თხზულებაში.

იაკობ ცურტაველი წერს: „და მერმედ მოცოქულნი მოავლინა პიტიახშმან და ბრქუა: „ანუ ნება ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად: „უკეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორად წარგვე შენ ანუ კარად კარაულითა“¹⁶.

როგორც ვხედავთ, ვარსკენ პიტიახში თავის ცოლს „კარად“ ან „ჩორად“ ვირით (კარაულით) გაგზავნას ემუქრება. აქ ლაპარაკი უნდა იყოს ძველი ქართული ჩვეულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ქმარი დამნაშავე ცოლს ვირზე შესვამდა და ასე გაწილებულს გაგზავნებდა.

ვირზე შესმა, როგორც გამაწილებელი სასჯელი, არსებულია აგრეთვე ძველ კოლხეთშიაც, როგორც ამის შესახებ მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ავათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს.

დავით ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში ბევრი შემთხვევა იყო, როცა ავხორცობაში ან მისდამი ხელის შეწყობაში მხილებულ პირს თურმე ვირზე შესვამდნენ, ტალახით გათხუნიდნენ და ხალხის თავშეყრის ადგილებზე ჩამოატარებდნენ.

როგორც დავით ბატონიშვილის სიტყვებიდან ჩანს, მის დროს ასეთი რამ კანონით აკრძალული ყოფილა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ზოგჯერ ხალხის ჩვეულებებში მაინც განაგრძობდა არსებობას. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გამოჩაქვლის სახით მას მაინც მიმართავდნენ რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგაც. შემოსხნებული ჩვეულების გადმონაშთი უნდა ყოფილიყო ის, რომ „1805 წლის მაისში ბოლბიხვევლები (ქიზიუში) ხუთას კომლზე მეტად, გამოსულან და მარიამ კორდანაშვილის სახლიდან გამოუთრევიათ მისი ქალი ბარბარე, რომელსაც ქმრისათვის თავი დაუწინებებია და მეძაბოდა თურმე, შეუსვამთ ვირზე, სოფელში კარდაკარ ჩამოუტარებიათ და ყველანი ლაფს ასხამდნენ თავზე“¹⁷.

¹² ი. ჭავჭავაძის. ციტირ. თხზულება. გვ. 507—508.

¹³ ივ. ს. ორბელიანი. სიტყვის კონა. თბილისი, 1949, გვ. 335.

¹⁴ H. Marr. Агиографические материалы по грузинской рукописи, Ивера, ч. I, გვ. 66.

¹⁵ ი. ჭავჭავაძის, ციტ. თხზ., გვ. 508.

¹⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. I. 1946. გვ. 45.

¹⁷ Акты собранные Кавк. археогр. комиссией. Тифлис, 1863, გვ. 1064.

დამნაშავის გახამართლების ეს წესი ერთკლდე მეორის მეფობის დროსაც ყოფილა გამოყენებული. ცნობილია, რომ 1765 წელს მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. ერთი შეთქმულთაგანი, დიმიტრი ამილახვარი, მამა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის „გეორგიანული ისტორიის“ ავტორის — ალექსანდრე ამილახვარისა, იმით დასაჯეს, რომ ვირზე შესვებს და ისე შემოატარეს თურმე მთელი თბილისი.

ცხადია, რუსთაველის ეპოქაზე უფრო ადრე და უფრო გვიან დადასტურებული სასჯელები XI-XII საუკუნეებში არსებულადაც შეიძლება ჩავთვალოთ.

გამაწილებელი სასჯელების მიზანი იყო ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა, მისთვის ზნეობრივი, მორალური (და არა ფიზიკური) ტანჯვის მიყენება.

სასჯელთა სისტემაში გამაწილებელ სასჯელებს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის მნიშვნელობა ჰქონდა.

შუა საუკუნეების სამართალი გამაწილებელი სასჯელების მრავალ სახეს იცნობდა. ესენია: თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა, გატიტვლება, კისერზე თოკის გამოშმა და მრავალი სხვა.

დამამცირებელ ანუ გამაწილებელ სასჯელთა შორის — მძალიე წოდების წარმომადგენლების მიმართ — ზოგჯერ მონად გაყიდვასაც ვხვდებით. თუმცა მონად გაყიდა სხვა სასჯელთა სფეროში გადადის და დაბალი ფენებისათვის იგი უჩვეულო რამ არც იყო. ფეოდალიზმის დროს მეფეებისა და წარჩინებულებისათვის იგი მეტად მძიმე სასჯელი გახლდათ. ჩვენ მას აქ იმდენად შევეხებით, რამდენადაც იგი მიზნობრივად გამაწილებელი სასჯელის ნიშნებს შეიცავდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან. რუმის სულთანმა რუქნადინმა საქართველოს წინააღმდეგ თურქთა შეერთებული ძალებით დაშტრობა მოაწყო. რუქნადინმა თამარ მეფეს ბრიყვული თავსედობით აღსავსე წერილი გამოუგზავნა. როცა ამის შემდეგ ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა მტერი, რუქნადინი გაიქცა, მისი დროშა კი ხელთ ჩაუვარდათ ქართველებს. რუმის სულთანის მრავალი მოკავშირე მეფე ქართველებმა ხელთ იგდეს ტყვედ. მრავალ მათგანს პატივით მოექცნენ, მაგრამ ერზინკის სულთანს მეფე თამარმა მეტად მძიმე და ამავე დროს გამაწილებელი სასჯელი დაადო: მან ტყვე სულთანს მონად გაყიდა და მის საფასურად მხოლოდ ცხენის ნალი აიღო.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით თამარის მეორე ისტორიკოსი — ბასილი ევოს მოძღვა-

რი მოგვითხრობს, რომ თურქებზე გამარჯვების შემდეგ: „...შეეკაზმა მოქალაქეთა ღიღითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი და შევიდა თამარ და დავით ვითარცა მზისა შარავანდედი მიუფენითა დროშა ნუქარდინისი. შეიყვანეს პირველად ეზინკელი და მერმე სხვანი იგი წარჩინებულნი მიიყვანნა, რომელნი სთნდეს, წინაშე თუსხა. თამარ ყოველთა ნუგეშინის-სცა და ღიღად სახელოვნად სერთა ისტუმრნა და უბოძა ყოველთა შესატყუსად და წარგზავნა ცხეთა შინა ყოველსა ადგილსა, თვინიერ ეზინკელისა, არამედ იგი დამიქირა ტფილისს პატიმრად, პირველისა პატივისა და სიყუარულისა მისისა წილ, ხოლო უკანასკნელ ევოლენი სახელოვანი კაცი და დიდებული განყიდა ნალად ცხენთა, რომელ ესე ყო თამარ პატივად სახლისა თვისისა და დიდებად და საქსენებლად თუსა“.


როგორც ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, თამარ მეფემ ერზინკის სულთანს „ევოლენ სახელოვანი“ და „დიდებული“ კაცი ცხენის ნალის ფასად მონად იმიტომ გაყიდა, რომ თავისი ე. ი. ბაგრატიონების სახლის დიდება სახსენებელი და პატივი აემადლებინა. გამაწილებელ სასჯელებად ითვლებოდა აგრეთვე გაპარსვა, მამაკაცისთვის ლეჩაქის დახურვა და ა. შ.

მე-14 საუკუნის ქართველ ისტორიკოსს უამთაღმწერელს თავის თსზულებში აღნიშნული აქვს გამაწილებელი სასჯელის ერთი სახე — „თავზე ნაცრის დაყრა“.

რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარე სასჯელი XI-XII საუკუნეების საქართველოშიც ცნობილი იყო. თავზე ნაცრის დაყრა, როგორც გლოვის, მწუხარების, თავის დამცირების და შერცხვენის სიმბოლო, უკვე ძველ აღმოსავლეთში იყო ცნობილი. მას „დაბადება“ იხსენიებს: „ხოლო მარდოზე გულისხმა ჰყო განზრახული, დაიპო სამოსელი თვისი და შეიმოსა ძაძითა და დაისხა ნაცარი“ (დაბადება. ესთერი. IV. I.).

ძველად ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ გლოვის, მწუხარების და, საერთოდ, თავის დამცირების ნიშნად თავზე ნაცრის გადაყრა. მას იხსენიებს „ამირან-დარეჯანიანი“, „ომანიანი“ და სხვა წყაროები.

„თავსა გარდიყრის ნაცარსა ხელითა ღომთა მკლავითა“ — ნათქვამია ქაიხოსროს „ომანიანი“.



„იგლეჯა თმასა და წვერსა და ნაცარსა თავსა ზედა იყრიდა: რომელ რისხვა ღვთისა ეწეოდა“, — ნათქვამია „ამირან-დარეჯანისში“.¹⁸

ისტორიული ფაქტია: შალვა ქვენიფნეველი განუღდა ღვთი მებევს. 1301 წელს მეფეს მოლატისათვის გამაწილებელი სასჯელი მიუსჯია განდგომისათვის. მეფეს მოუთხოვნია: ჩვეულებითი სამართლის ნორმის მიხედვით ქვენიფნეველს საჯაროდ თავზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაული ელიარებინა. შალვაც ასე მოქცეულა.

ისტორიკოსი მოგვითხრობს:

„ხოლო ვითარ მოიწია სთუელი, ჩამოდგა ცხრაწმის ქვესა მეფე ღვთი და ახრებდა მამულსა შალვა ქვენიფნეველისას ორგულობისათვის. მაშინ უღონო იქმნა ქვენიფნეველი და ევედრა სურამელსა მსახურთუხუცესსა და ქართლის ერისთავსა ჰამადას, რათა იურგოს მეფეს წინაშე. მოაქსენა მეფესა და არა ინება მისთვის დაჰირვა, არამედ მიუბოძა ჰამადას. გარდყარა თავსა ნაცარი შალვა და იტყოდა: „ესემცა არის მისაგებელი ორგულთა მეფეთასა“. და შეუნდო მეფემან შალვას“.¹⁹

მძიმე გამაწილებელი სასჯელი იყო აგრეთვე „ლაშქართა შიგან არ შეშვება“. იგი მოხსენებულია ვახტანგის კრებულის მეშვეობით მოღწეული ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წესსაში (მუხსნი 22). თუ ძმა ძმას მოჰკლავს, ერთსახლი და გაუყოფელია თუ გაყოფილი, სასჯელად დაწესებულია ორკაცი სისხლი „გვარის“ მიხედვით, გარდახვეწა — „ქელთა გარეთ ყოფა“ და სხვა. დამნაშავეს მიმართ ერთერთი კონკრეტული სასჯელია აგრეთვე „პატრონისა და ლაშქართაგან გარდახდევასა არვისაგან მოკსენება“.

XIV საუკუნის კანონმდებლის გამოთქმა, რომ დამნაშავეს „ლაშქართაგან გარდაქდევასა არვისაგან მოკსენება უნდა“, როგორც ეს სამართლიანად აქვს სამართლის წიგნის გამოცემულს ლექსიკონში შენიშნული, ნიშნავს ლაშქარში სამსახურის აკრძალვას, სამხედრო და რაინდობის უფლებების ჩამორთმევას.

რა თქმა უნდა, ლაშქართა შინა არ შეშვება, როგორც სასჯელი, XIV საუკუნემდეც იყო საქართველოში ცნობილი.

აკად. ივანე ჯავახიშვილს შენიშნული აქვს,²⁰ რომ საშუალო საუკუნეების საქართველოში

ზოგიერთი დანაშაულებისათვის სასჯელბან დაკავშირებული იყო მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი ან სამუდამო ჩამორთმევა, რომელიც „მამულის დაჭირვითა“ და „ქვეყანათა აღხმითა“ და „ლაშქართა შიგან შეუშვებლობით გამოიხატებოდა ხოლმე. სამხედრო და რაინდობის უფლებების ჩამორთმევა საეკლესიო, სამართლის დადგენილებით დაწესებული „დაკრულვის“ შედეგად მკვლელობის ჩამდენსა და, რასაკვირველია, მეფისა და სახელმწიფოს მოლატეს მოელოდა მაშინაც კი, როდესაც სასჯელი ექსორიობას არ აღემატებოდა. რაკი საეკლესიო დაკრულვა ჩვეულებრივ ან მკრებელობისა, ან სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაულობისა და მკვლელობისათვის იყო ხოლმე დადებული, ამიტომ მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევა ზემოჩამოთვლილი დანაშაულობათა რიცხვს მხოლოდ წმინდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ დანაშაულებათა დარგით ავსებს“.

1263 წლის ახლო ხანებში შემდგარი საეკლესიო კრების მოხსენებაში (მეფის მიმართ) ვკითხულობთ:

„ვიწინავთ დაკრულვილა მიზეზითა და საქმითა თქვენ მიერ შერისხულა: „ან თუ ვის დაგპკრულვვთ, გამოიქვენებს თქვესნა დარბაზსა და თქუშნთ ვაზირთა მომმართებს; ბრძანებასა და კაცს უბოძებთ, ჭუარი დასწერეთ, გაწყრომისა და ავად გაქდის ნაცვლად. — ეხე უწეხო ნულარაოდეს იქმნების, ნუც დაგუშმართების. ვისაც დაკრულვიდეთ, თქუნც შერისხევდით და კრმლითა თან უღევით სჯულთა და წესთა სამღვდელთა საღრთოჲთა წერილთა მოძღურებისებრ“.

სწორია ის შეხედულება, რომ ეს სასჯელი მეტად მძიმე იყო და თუ საბოლოო იქნებოდა, დამნაშავეს სრულ ქონებრივ გალატაკებასა და სიკვდილს უქადადა.

საეკლესიო კრების დადგენილების ზემოთ ამოწერილი ნაწყვეტიდან ვხედავთ, რომ ამ კრების მესვეურები მეფეს უჩივიან, მანამდე არსებული წესი დღეს არ ხორციელდება. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ასეთი წესი XII საუკუნეში მაინც არსებობდა. ძველი ტრადი-

¹⁸ მოსე ხონელი. ამირან-დარეჯანისი. 1896. გვ. 131.

¹⁹ ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 307.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი. ციტ. თხზ. გვ. 524.

ციული რიგი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ეკლესიისაგან დაკრულვილი კაცი (რა მიზეზითაც და საქმითაც არ უნდა მომხდარიყო ეს დაკრულვა) მეფის მიერედაც შეიღისხებოდა, ე. ი. ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირი ორმაგ სასჯელს იხდიდა: საეკლესიოსა და საეროს. დაკრულვილ კაცს მამულს წაართმევდნენ და ლაშქარში არ შეუშვებდნენ.

საეკლესიო ხელისუფლებას გვერდით საერო სდგომია და ორივენი ხელიხელჩაკიდებულნი ახორციელებდნენ დასჯით ღონისძიებებს.

შემდგომში ეს მდგომარეობა შერყეულა ეკლესიის მიერ დასჯილი პირი მეფის დარბაზში ან ვეზირებთან იჩივლებდა, „ბრძანებასა და კაცს მიიღებდა“ და სასჯელს თავიდან აიცილებდა. საეკლესიო კრება კი მეფისაგან ძველი წესის აღდგენას მოითხოვდა: „ვისაც დაკრულვიდეთ, თქვენც შეპრისხევდით და ხრმლითა თან უდევით სჯულთა და წესთა სამღვდელთა საღმრთოთა წერილთა მოძღურებისაებრ“-ო.

გვიანფეოდალურ საქართველოში „ლაშქართა შინა არ შეშვება“ როგორც სასჯელი უკვე საერთოდ არა ჩანს.

ღ ა რ გ ე ნ ი დ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის
95-ე მუხლის სანქციის რედაქციული შესწორების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შესწორდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის 95-

მუხლი სანქციის ნაწილში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„ისჯება ჯარიმით გატაცებული ქონების ღირებულების სამმაგ ოდენობამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჩაძე**

თბილისი. 1978 წლის 25 ივლისი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ა


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების
მე-15 მუხლი ცვლილების შეტანის შესახებ

„იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს ენიჭებათ სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დაჯარიმების უფლება“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

უმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 11, მუხ. 159 და № 34 მუხ. 541; 1964 წ. № 4, მუხ. 80; 1966 წ. № 8, მუხ. 132; 1967 წ. № 6, მუხ. 350; 1968 წ. № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14; 1969 წ. № 10, მუხ. 182; 1970 წ. № 5, მუხ. 73; 1972 წ. № 8, მუხ. 164 და № 9, მუხ. 191) მე-15 მუხლის მეათე აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებს — სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით: „ორგანოებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას და



სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამელი-

ცინო სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას, — სანიტარიულ-პიეიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კანაშვანი.

თბილისი, 1973 წლის 13 სექტემბერი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ. № 12, მუხ. 202-ე) შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-18 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მამაკაცებს, რომლებსაც პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, ათავსებენ იმ მსჯავრდებულთაგან განცალკევებით, ვინც წინათ მოახდა თავისუფლების აღკვეთა, არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულთა და მძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულთ ვადით არაუმეტეს სამი წლისა — იმათგან განცალკევებით, ვინც პირველად არის მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის სამ წელზე მეტი ვადით“.

2. 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, და რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს სამი წლისა, აგრეთვე ქალები, რომლებსაც მის-

ჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, ანდა სიკვდილით დასჯა პატიების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით“.

3. 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც მძიმე დანაშაულისათვის პირველად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით“.

4. 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საპურობილეში სასჯელს იხდიან: განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა საპურობილეში მოხდით, პირები, რომლებმაც თერაპიტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ჩაიღინეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, პირები, რომლებმაც თერაპიტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ჩაიღინეს სხვა მძიმე დანაშაული, რისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით; პირები, რომლებიც ამ კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველზე გაღმოყვანილი არიან შრომა-გასწორების კოლონიებიდან“.

5. 37-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელით კოლონიებში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებსაც არამძიმე

„ქმნა გაითიღისა სეპარტიღისა“...



ხაზაღოს სასამართლოს წმლოშთა დარბაზი ხალ-
სით არის გატედილი. ჩანს, „საინტერესო“ საქმე
ინარევა. ამას დამსწრეთა დელეგა და დიდი ინტერეს-
სივ ადასტურებს.

თავმჯდომარე ხშირად ატყვის თითს ზარს და
დარბაზს აწყენარებს.

დანაშაულის მიზეზების გამორკვევაში დრო
სწრაფად გარბის. სასამართლო განაჩენის გამოსა-
ტანად გადის სათათბირო თთახში.

ეს მხოლოდ ერთი დაძაბული დღეა საგარეჯოს
სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ვახტანგ
ესაიაშვილის ცხოვრებისა. ვინ იცის, კიდევ რამდენ-
ნი ამისთანა დღე დადამებია მოსამართლეს მრავა-
ლი წლის მანძილზე, რამდენჯერ დასჭირვებია თა-
ვისი ცოდნის, უნარის, ოსტატობის გამოვლენა,
ენერჯის დახარჯვა, დომ მუდამ ეწემა სიმართ-
ლეს.

ვახტანგ ესაიაშვილის ცხოვრება თავიდანვე ისე
აეწყო, რომ შეუძლებელია ამ გზით ნავალ კაცს
დიდი გამოცდილება არ დაეგროვებინა: დღეით
ადრე დათბებულს მალე სამამულო თმმა მოუს-
წრო. მამამისი იმ მძიმე პერიოდის პირველ დღე-
ებშივე გაიწვიეს ფრონტზე. მარტოდ დარჩენილია
ჭაბუკმა იმდენი შეძლო, რომ საგარეჯოს საშუალო
სკოლა დაამთავრა და ომის დამთავრების შემდეგ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუჯდა
მერხს — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ

გახდა. საბედნიეროდ, ვახტანგს ბრძოლის ველიდან
მამაც დაუბრუნდა და მათი ოჯახის ცხოვრება კვლავ
ჩაღდა კალაპოტში.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ
ვახტანგი მშობლიურ საგარეჯოს დაუბრუნდა. ჯერ
რაიონის კულტურის განყოფილების ინსპექტორად
მოუწია მუშაობამ, შემდეგ — რაიონული გაზეთის
რედაქციის ლიტერატურულ მუშაკად, კინოთეატ-
რის დირექტორად, პარტიის საგარეჯოს რაიკომის
ინსტრუქტორად და რაიონის კულტურის განყო-
ფილების გამგედ.

მოგვიანებით, მაგრამ უკვე სრულიად ჩამოყალა-
ბებული დაუბრუნდა იგი თავის პირველ სპეცია-
ლობას — მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ სა-
ზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს
საგარეჯოს რაიონის საგამოძიებო ჯგუფის გამომ-
ძიებლად. ამ თანამდებობაზე ვახტანგი 1965 წლამდე
მუშაობდა. მერე რაიონის სახალხო მოსამარ-
თლედ აირჩიეს.

დღეს ვახტანგ ესაიაშვილი სამართლიანად დგას
რესპუბლიკის მოწინავე იურისტთა რიგებში. მან ეს
სახელი მოვალეობისადმი პასუხისმგებლური მიდგო-
მითა და დაუღალავი შრომით მოიპოვა. ადვილი
როდია ყოველთვის ისე იმუშაო, რომ არავის ჰქონ-
დეს პრეტენზია. საგარეჯოს სახალხო სასამართლოს
თავმჯდომარეს ვახტანგ ესაიაშვილს კი საქმე მე-
დამ ასე აქვს დაყენებული. ეს ამ ერთი წლის წი-
ნათ საქართველოს სსრ ოუსტიციის სამინისტრომაც
აღნიშნა, რომელმაც კოლეგიაზე განიხილა და მო-
იწონა საგარეჯოს სახალხო სასამართლოს მუშაობა.

საგარეჯოს სახალხო სასამართლო რომ დიდ ყუ-
რადღებას უთმობს დანაშაულის მიზეზების აღმოფ-
ხვრას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ წლეულს 9 თვეში
განხილული 76 სისხლის სამართლის საქმიდან
42-ზე, განაჩენთან ერთად, გამოტანილია კერძო
განჩინებაც, რაც აუცილებლად იგზავნება ადგილებ-
ზე და ზემდგომ ორგანოებში. კონტროლი ეწევა
აღძრული საკითხების სისრულეში მოყვანას, დამ-
ნაშავე პირთა აუცილებლად დასჯას.

მაგალითად, კოჭბანის სასოფლო საბჭომ ერთ-
ერთ მოქალაქეს ისე გაუფორმა ბინის ყიდვის ხელ-
შეკრულება, რომ ამაზე არ მიუღია ბინის მფლო-
ბელის ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თან-
ხმობა. სასამართლომ ბათილად სცნო ეს ხელშეკ-
რულება და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის უკა-
ნონო მოქმედებაზე გამოიტანა კერძო განჩინება,
რაც რაისაბჭოს აღმასკომს გადაეცა. აღმასკომ-
მა კი თავმჯდომარეს მკაცრი სასჯელი დაადო.

სასამართლოში კარგა ხანია დამკვიდრდა ასეთი



პრაქტიკა: ვასნილი აქეთ ყველა პირობით მსჯავრდებულის პირადი საქმე, სადაც შეაქვთ ყველა ცნობა, რაც კი მსჯავრდებულს შეეხება. თვითეულ მათგანს სახალხო მსაჯულს ამაგრებენ. მსაჯული ვალდებულია სისტემატურად შეამოწმოს მსჯავრდებული, მიაწოდოს სასამართლოს ცნობები მის საქმიანობაზე, ყოფაქცევაზე... პირობით მსჯავრდებულს სასამართლოს თხოვნით, ზედამხედველობას უწვევენ სასოფლო საბჭო და იმ ორგანიზაციის აღმინისტრაცია, სადაც ის მუშაობს.

ამან საუცხოო შედეგი გამოიღო: უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პირობით მსჯავრდებულთაგან არცერთს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული.

სახალხო მოსამართლე გულისყურით ეკიდება მეზობლური და ცილ-ქმრული დაკების მშვიდობიანად მოგვარებას. იგი მუდამ დიდი ტაქტიით აძლევს გონიერულ რჩევას მოდევნო, სთხოვს ღრმად მიიფიქროს, კარგად აწონ-დაწონოთ თავიანთი საქციელი და მხოლოდ შემდეგ მიმართოს სასამართლოს.

აი სულ ახლახან მანაველი მარიამ ოთიაშვილი უშიოდა თავის მეზობელ არტემ ოზგელაშვილს, ეწოში მისასვლელი გზა ჩამიკეტათ. დავასი ჩაურიენენ საბჭოთა მეურნეობის ღირვეცია, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, გამოიყო კომისიები, რამდენჯერმე აზომეს სადავო ტერიტორია, მოდავენი კი ვერა და ვერ შეთანხმდნენ. მარიამ ოთიაშვილი მაინც უკმაყოფილო იყო და ბოლოს სახალხო სასამართლოს მიმართა.

— რა თქმა უნდა, მაშინვე შეგვეძლო გადაწყვეტილების გამოტანა ამ საქმეზე, — ამბობს ვახტანგი, — მითუმეტეს, რომ არსებობდა კომისიების დასკვნები, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. მთავარი ის იყო, რომ ამ საქმის სასამართლოს საშუალებით გადაწყვეტის შემდეგაც არ ისპობოდა კონფლიქტი მეზობლებს შორის. ამას კი შეიძლება მომავალში არც თუ სასურველი შედეგი მოჰყოლოდა.

ამიტომ იყო, რომ მოსამართლე დაუყოვნებლივ ჩავიდა ადგილზე, ესაუბრა მხარეებს. მისი რჩევა იმდენად საფუძვლიანი იყო, რომ ორი კვირის შემდეგ მარიამ ოთიაშვილი კვლავ მოვიდა სასამართლოში და უკან დაიბრუნა განცხადება.

— არტემ ოზგელაშვილი მიხვდა, რომ მტყუანი იყო, საქმე გამოასწორა და ჩვევს შორის მეზობლური ურთიერთობაც აღდგაო, — განაცხადა მან.

ბევრი სამუშაო აქვს სახალხო მოსამართლეს. მას, დანაშაუვითა კანონიერად დასჯის გარდა, იმ ზარალის ანაზღაურებაც უხდება, რასაც სახალხო ქონების მითვისების მოყვარულები აყენებენ სახელმწიფოს და ეს ზარალი წლებადღეი წლის 9 თვეში მთლიანად ანაზღაურებულა.

სახალხო მოსამართლე ბევრს მუშაობს სახალხო მსაჯულებთან, კითხულობს ლექციებს მშრომელთათვის, ეხმარება მუშაობაში ამხანაგურ სასამართლო-

ებს, კავშირს არ წყვეტს რაისაბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მუდმივ კომისიებთან.

საღბთან, მშრომელებთან ურთიერთობის დამყარების, მათ შორის იურიდიული პროპაგანდის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად სავარგეოს სახალხო სასამართლოს გამსვლელი სესიების ჩატარება მიანია. წლეულს სისხლის სამართლის 76 საქმიდან სახალხო სასამართლომ 44 გამსვლელ სესიასე გაარჩია. საზოგადოებრივი ბრალმძებლის მონაწილეობით ყველა საქმის 30 პროცენტზე მეტია განხილული.

ქვეყნად სიმართლისა და სიკეთის ზეიმი ოდითგანვე იყო თაობების სანუკვარი ოცნება და ამ ოცნების ერთ-ერთი განმსწორებელი ფაქტორიც არის, რომელსაც სავარგეოელმა მშრომელებმა მიანდეს ეს დიდი საქმე. სავარგეოს სახალხო სასამართლოს ყოველთვის ახსოვს, რომ ვალდებულია ხალხის ამომრჩეველთა წინაშე და მუდამ თავის დროზე აბარებს მათ ანგარიშს, ყურადღებით ეკიდება მშრომელთა მიერ გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებს.

სავარგეოელებიც რაიონის სახალხო მოსამართლეს პატივისცემით ეპყრობიან. ნდობას უცხადებენ, — ვახტანგი არჩეულია უკანასკნელი მოწვევების რაისაბჭოს დებუტატად, არის პარტიის სავარგეოს რაიკომის წევრი, ხელმძღვანელობს სახალხო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

სანიშნოა მისი ოჯახიც: მუდამ პედაგოგია, უფროსმა ქალიშვილებმა ფრიალებზე დაამთავრეს საშუალო სკოლა და ახლა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები არიან, ფრიალოსანია ვაჟიც, რომელიც საშუალო სკოლის მეათე კლასში სწავლობს.

... მართლმსაჯულების მითიურ ქალღმერთს — თემიდას მუდამ თვალუბასეველს გამოსასაყენ სოლმე. იგი ასე არჩევს, თურმე, სამართალს. აქ კი პირიქით არის — მუდამ დაძაბული უნდა იყო, გამსვლელუბი უნდა გქონდეს ყურადღება, რათა სასამართლო პროცესზე წარმოთქმული არცერთი სიტყვა, სამართალში მიცემულის თუ მოწმის რაიმე მოქმედება არ გამოგრჩეს. ზოგჯერ უხილავი ბეჭედიც კი უნდა დაინახო, სიმართლის გზაზე რომ დაგაყენებს, ჩაგვიდო მას და მანამდე არ გაუშვა, ვიდრე საბოლოო მიზნამდე არ მიგიყვანს.

სწორედ ასე იქცევა სავარგეოს სახალხო მოსამართლე ვახტანგ ესაიაშვილი. იგი მხოლოდ მაშინ თვლის მიზანს მიღწეულად, როცა ზეიმობს მართლმსაჯულება, როცა ხალხი კმაყოფილია და საქმის გამო შინაგანი კმაყოფილების გრძნობა ეუფლება თვით მის არსებასაც.

ალექსანდრე ნიკოლაიშვილი,
სავარგეოს რაიკავით „ერის განთიადის“
პასუხისმგებელი მდივანი.

იუკრიდიული სამსახურის ღვაწდომოსილი გუზაკი



23 წელზე მეტია, რაც ოთარ ნიკოლოზის ძე კოტაშვილი კეთილსინდისიერად ემსახურება სოციალისტურ ორგანიზაციათა იურიდიული სამსახურის განმტკიცებას, თავდადებულად ემსახურება საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების საქმეს. ამ საქმიანობას ოთარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამოავრებისთანავე შეუდგა. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა: ჩაის გადამწონ ფაბრიკაში, საქსილმინწყლების ტრესტში,

საქქიმომარაგების სამმართველოში, საქ-ნორცკარაქთეფეზვაჭრობის რესპუბლიკურ კანტორაში. ყველგან ავტორიტეტი და სიყვარული მოიხვეჭა, როგორც ერთდირებულ-მა სპეციალისტმა.

რესპუბლიკაში იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბებისთანავე თ. კოტაშვილი აქტიურად ჩაება მის საქმიანობაში, როგორც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და პირნათლად ასრულებს ამ მოვალეობას, ზრუნავს იურიდიული სამსახურის ახალი ამოცანების დონეზე აყვანისა და იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ამასთანავე, კვალიფიციურად ასორციელებს საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის სამედიატორო მოსამართლის თანამდებობას (საზოგადოებრივ საწყისებზე).

რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა იურიდიული სამსახურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის თ. კოტაშვილს საქართველოს სსრ იუსტიციის "მინისტრმა" მაღლობა გამოუცხადა.

ამიტომ იყო, რომ მრავალრიცხოვანმა კოლეგებმა და ამხანაგებმა თ. კოტაშვილს მხურვალედ მიულოცეს დაბადების 50 წლისთავის შესრულება და უსურვეს ახალ-ახალი წარმატებები საპატიო სამსახურებრივ სარბიელზე.



იურიდიული სერვისის განვითარებისათვის

წლებს, 5 სექტემბერს განახლდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მსმენელთა მეცადინეობა. ამჯერად კვალიფიკაციას იმაღლებენ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები და იურიდიული კონსულტაციის გამგეები.

კურსებზე იუსტიციის მუშაკთა პროფესიული დაოსტატების მიზნით საერთო ხასიათის დიუკუსიებსა და მრავალ სხვა ღონისძიებასთან ერთად დაწერგილია შეხვედრა „მრავალ მაგიდასთან“.

კურსების მორიგი XVI ნაკადის მსმენელთა შეხვედრა „მრავალ მაგიდასთან“ მოეწყო 1 ოქტომბერს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვრ. ბიწაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. სოგორაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, სა-

ქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის, კადრებისა და სასამართლო ორგანოების სამმართველოების უფროსები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა. მან ილაპარაკა კურსების საქმიანობაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე, იმ მოთხოვნებზე, რასაც პარტია და მთავრობა უყენებენ მართლმსაჯულების ორგანოებს.

მსმენელთა შეკითხვები გამომდინარეობდა მათი ყოველდღიური, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული საქმიანობიდან. ყველა შეკითხვებზე მათ მიიღეს ამომწურავი პასუხი.

დასასრულ ზ. რატიანმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობს იუსტიციის ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მ. გუზგენიძე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს
მეთოდკაბინეტის გამგე



1973 წლის 8-9 ოქტომბერს უნივერსიტეტის სტდომათა დარბაზში ჩატარდა იენის ფრ. ში-ლერის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია თემაზე „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — თანამედროვე მუშათა ნოქრაობის იდეური დროშა“.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. დ. ჩხიკვიშვილმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. დ. ფრიკე (პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფალსიფიკაცია რევოლუციონისტების მიერ), პროფ. მ. ვეგნერი (ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის დიალექტიკა, როგორც პრინციპი და საგანი სოციალისტური რეალიზმისა მხატვრულ შემოქმედებაში), პროფ. ა. ებრაელიძე (ადამიანთა

ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი), პროფ. გ. რიგე, (სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქისადმი წაყენებული ინტერნაციონალური მოთხოვნები), პროფ. გ. ჰანაი (სოციალისტური სახელმწიფოს ინტერნაციონალური არსი), დოც. რ. გრძელიძე (საეროვნებათშორისო კავშირთა ერთობა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში (საქართველოს სსრ მაგალითზე), პროფ. ჰ. კოხში (ინტერნაციონალიზმი და ერთიანობა იდეოლოგიურ თეორიულ სფეროში), პროფ. გ. ჭანუყვაძე (პროლეტარული ინტერნაციონალიზმი „ინტფორმუნგის“ მრუდე სარკეში), დოც. ა. ჩხარტიშვილი (ზოგადკაცობრიულობა და კლასობრივის, ხალხურისა და პარტიულის ურთიერთობისათვის ხელოვნებაში).

1. ხელშეკრულების პროექტის მიღებისას თუ მხარე არ დაეთანხმა რომელიმე მის პირობას, იგი ათი დღის ვადაში ადგენს უთანხმოების ოქმს და ორ ცალკე უგზავნის მეორე მხარეს ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად, ამასთან აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება ხელშეკრულებას.

ბათუმის რეზინისა და ტექნიკური ნაწარმის ქარხანამ (მიმწოდებელმა) აღძრა საქმე საქმე-ფესხაქმელვაჭრობის ბათუმის ბაზის (მყიდველი) მიმართ მიწოდების ხელშეკრულების დადებისათვის იძულებისა და ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდებისათვის ჯარიმის გადახდების თაობაზე.

სახელმწიფო არბიტრაჟში დავის განხილვის დროს მყიდველმა განაცხადა, რომ მან 10 დღის ვადაში მიმწოდებელს გაუგზავნა ხელშეკრულების შესწორებული პროექტი. არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა ბათუმის ქარხნის მოთხოვნა. ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივრის განხილვის პროცესში გამოირკვა, რომ მყიდველმა, 1973 წლის 6 იანვარს მიიღო რა მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პროექტი, ნაცვლად უთანხმოების ოქმის შედგენისა, შეადგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, სპეციფიკაციით და გაუგზავნა იგი მიმწოდებელს, ხოლო არბიტრაჟში საქმის აღძვრის შემდეგ, უკვე აპრილში დააბრუნა პირველი პროექტი, ხელმოწერილი სახით, უთანხმოების ოქმის დათვით.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა. ძიება ჯარიმის ნაწილში დაკმაყოფილდა სრულად, ვინაიდან მყიდველის მოქმედება ეწინააღმდეგება დებულებას სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, რომლის თანახმად ხელშეკრულების პროექტს ადგენს მიმწოდებელი (გარდა ერთი გამოწვევისა), ხოლო მყიდველი, თუ მას წამოეჭრება საწინააღმდეგო მოსაზრება ხელშეკრულების პირობაზე, ათი დღის განმავლობაში შეადგენს უთანხმოების ოქმს და ორ ცალკე უგზავნის მეორე მხარეს ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად, ამასთან აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება ხელშეკრულებას. საქმეფესხაქმელვაჭრობის ბათუმის ბაზა დაჯარიმდა, ვინაიდან მან ეს ვალდებულება მხოლოდ არბიტრაჟში დავის აღძვრის შემდეგ შეასრულა.

2. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სანქციები ისეთ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, რომელთა დარღვევისათვის კანონმდებლობა სანქციებს არ ითვალისწინებს.

ქ. სემლის მანქანათმშენებელმა ქარხანამ აღძრა ძიება სამტრედიის ზესტაფონის ქარხნის სამმართველოსთან 18452 მანეთის გადახდევინებაზე. ძიების თანხა შედგებოდა ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული ემალცისტერნების ღირებულებისა და ჯარიმისაგან ანგარიშის გაუნაღმდებლობისათვის. მხარეებმა შეიტანეს ხელშეკრულებაში პირობა, რომლის თანახმად, თუ ბანკი არ გაანაღდება მიმწოდებლის ანგარიშს დაფინანსების უქონლობის გამო მყიდველი უხდოდა მიმწოდებელს ჯარიმას გაუნაღმდებელი თანხის 8 პროცენტის ოდენობით. ძირითადი დავალიანება მოპასუხემ დაფარა ნებაყოფლობით, ხოლო ჯარიმაში არბიტრაჟმა მაძიებელს უარი უთხრა, იმ მოტივით, რომ ჯარიმა ასეთი დარღვევისათვის არ არის გათვალისწინებული არცერთი ნორმატიული აქტით.

ზედამხედველობის წესით დავის განხილვის დროს მიღებულ იქნა მხედველობაში, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება ჯარიმის ნაწილში ეწინააღმდეგება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 85-ე მუხლს, რომლის თანახმად ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნას სანქციები ისეთ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, რომელთა დარღვევისათვის არსებული კანონმდებლობით სანქციები არ არის დაწესებული. სახარბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნა სათანადო ცვლილება.

3. პროდუქციის მიწოდების ვადები ხელშეკრულებაში განისაზღვრება მკლდელთა შეუფერხებელი მომარაგების საჭიროებათა და წარმოების რიტმულობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.


ორ სამეურნეო ორგანიზაციის შორის წამოკრილ წინასახელშეკრულებო დავის განხილვის დროს მიმწოდებელი არ დაეთანხმა მყიდველის წინადადებას მიწოდების ყოველთვიური ვადების დაწესების შესახებ და მიუთითებდა, რომ მაკომპლექტებელი ნაკეთობის მიწოდების გეგმით დაწესებულია მიწოდების კვარტალური ვადები. სახარბიტრმა ამ ნაწილში მიიღო მიმწოდებლის რედაქცია და დააწესა პროდუქციის მიწოდების კვარტალური ვადები. სახელმწიფო არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება შეცვილ იქნა ზედამხედველობის წესით გამოტანილი დადგენილებით. მთავარმა არბიტრმა მიიღო მხედველობაში, რომ არბიტრის ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საწარმო-ტექნიკური დანაშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 29-ე მუხლს, რომლის თანხმად პროდუქციის მიწოდების (კვარტალური, ყოველთვიური, დეკალური და სხვ.) ვადები ხელშეკრულებაში განისაზღვრება მყიდველთა შეუფერხებელი მომარაგების საჭიროებათა და წარმოების რიტმულობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

4. საქონლის მიწოდების ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდევენება შეიძლება მხოლოდ მოდავე მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთობის არსებობის შემთხვევაში.

ცეკავშირის უნივერსალურმა ბაზამ აღძრა ძიება ცხაკაიას ხალიჩების კომბინატთან პირგასამტეხლოს გადახდევენებაზე (თანხა — 3633 მან.). ძიებით განცხადებაში მითითებული იყო ფონდით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის უქმარმიწოდება. ძიება დაკმაყოფილდა. ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივრის განხილვის პროცესში გამოირკვა, რომ ძიებითი განცხადებას ცეკავშირის უნივერსალურმა ბაზამ დაურთო ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ცხაკაიას ხალიჩების კომბინატსა და ცეკავშირის საბითუმო-საცალო ვაჭრობის კანტორას შორის, ე. ი. სხვა დამოუკიდებელ იურიდიულ პირთან (თუშო ისიც ცეკავშირის სისტემისა). ამ საქმეზე მაძიებელს, უნივერსალურ ბაზას, მოხასუხედ დასახელებულ კომბინატთან ხელშეკრულება დადებული არ ჰქონია. სახარბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა. მაძიებელს ძიებაში უარი ეთქვა. სსრ კავშირის სახარბიტრაჟის 1969 წლის 29 ივლისის № ი-1-28 ინსტრუქციის 13 მუხლის „ა“ პუნქტის თანხმად საქონლის უქმარმიწოდებისათვის პირგასამტეხლოს გადახდევენება შეიძლება მხოლოდ მოდავე მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთობის არსებობის შემთხვევაში.

5. თუ ხელშეკრულების დადების დროს მხარეებმა არ შეთანხმეს მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტი და ფასი, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.

სოსუმის საჩამომსხმელო მექანიკურმა ქარხანამ საქუტტვაჭრობის ბაზას წარუდგინა ხელშეკრულების პროექტი ბავშვთა სათამაშოების მიწოდებაზე. ხელშეკრულებას არ ერთვოდა სპეციფიკაცია და არ იყო დაზუსტებული მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტი. მყიდველმა თავის მხრივ შეადგინა სპეციფიკაცია უთანხმოების ოქმის სახით, რომელშიც ჩაწერა: „სათამაშოები სხვადასხვა“. ეს უთანხმოება არბიტრაჟის განსახილველად არ გადაცემულა. შემდეგში მყიდველმა აღძრა საჩივრი პირგასამტეხლოს გადახდევენებაზე, ვინაიდან მიმწოდებელმა სრულად არ მიაწოდა მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. უქმარმიწოდების თანხა განაგაროშებული იყო ძიების საერთო თანხიდან. სახარბიტრმა ძიება დააკმაყოფილა. საქმის გასაჩივრების დროს მიმწოდებელმა დასვა საკითხი, რომ ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვლოს დადებულად, ვინაიდან მასში არ იყო დაზუსტებული ასორტიმენტი და არ იყო დამტკიცებული საქონლის ფასი. ამასთან დაკავშირებით შეკითხვა გაეგზავნა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკის განზოგადებისა და ინსტრუქციის განყოფილებამ 1972 წლის 5 სექტემბრის № ის-17/99 წერილით აცნობა არბიტრაჟს, რომ, როდესაც ხელშეკრულებით არ არის შეთანხმებული არსებითი პირობები — ასორტიმენტი და ფასი, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება.



6. პირგასამტეხლოს გადახდის მიუხედავად ხელშეკრულების მხარე აუნაზღაურებს მეორე მხარეს ამ დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის პირგასამტეხლოთი დაუფარავ ნაწილს.

მაიაკოვსკის რაიმრეწვეკომბინატმა აღძრა სარჩელი საქსოვილვაპრობის ქუთაისის ბაზის მიმართ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბამბეულის ქსოვილის უკმარმიწოდებისათვის კუთვნილი პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე, აგრეთვე მოითხოვა პირგასამტეხლოს იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც მან თავის მხრივ გადაუხადა თავის მიყიდველს, საქტანსაცმელვაპრობას — მზა ნაწარმის მიუწოდებლობისათვის. მაიაკოვსკის რაიმრეწვეკომბინატი ამტკიცებდა, რომ საქტანსაცმელვაპრობასთან მზანაწარმის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულების დარღვევა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქსოვილების მიუწოდებლობით. სახარბიტრაჟომა ძიება ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ხელშეკრულების დარღვევისათვის კუთვნილი პირგასამტეხლოს ნაწილში ზარალის ანაზღაურებაში მამჩიებელს უარი იმ მოსახრებით ეთქვა, რომ მოპასუხეს არა აქვს კავშირი საქტანსაცმელვაპრობასთან დადებულ ხელშეკრულებასთან. არბიტრაჟის ეს გადაწყვეტილება შეცვლილ იქნა ზედამხედველობის წესით. მთავარი არბიტრის დადგენილებაში აღინიშნა, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მიწოდების დებულების 90-ე მუხლს, რომლის თანახმად პირგასამტეხლოს გადახდის მიუხედავად ხელშეკრულების დამრღვევი მხარე აუნაზღაურებს მეორე მხარეს ამ დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის პირგასამტეხლოს დაუფარავ ნაწილს. საქმის მასალებით არბიტრაჟმა დადგენილად ცნო სადაო პერიოდში 159,0 ათასი მან. ქსოვილების უკმარმიწოდება. თავის მხრივ მაიაკოვსკის რაიმრეწვეკომბინატმა არბიტრაჟის გადაწყვეტილებით გადაუხადა საქტანსაცმელვაპრობას პირგასამტეხლო ამავე პერიოდში შეკერილი მზა ნაწარმის უკმარმიწოდებისათვის. ვინაიდან მაიაკოვსკის რაიმრეწვეკომბინატმა განიცადა ეს ზარალი, თავის მიმწოდებლის ამ საქმეზე მოპასუხის მიერ დამეხებული დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალი იმ ნაწილში, რომელიც არ იფარება პირგასამტეხლოს თანხით, უნდა აუნაზღაურდეს მას. ძიება ულად დაკმაყოფილდა.



ფასი 50 კპპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР